პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

ხუთშაბათი, 15 ივლისი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 160 (1705)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

- ამხ. ჩიჩერინის ნოტა ბულგარეთის მთავრობას.
- სტალინგრადში გაიხსნა სატრაქტორო ქარხანა.
- იტალიის ახალშენში ნირენაიკში მოხდა აჯანყება იტალიის წინააღმდეგ.
- გაიხსნა სპარსეთის მეჯლისი.
- ბელასტოკში (პოლონეთშია) დაიწყო ფეიქართა საერთო გაფიცვა.
- პარიზში ჩავიდა ესპანეთის დიქტატორი პრიმა-დე-რივერა.

დაზმარება უნდა გავაძლიეროთ

სრული ორი თვე ნახევარი გრძელდება მილიონ ორას ათას ინგლისელ მემაღაროეს უმაგალითო გაფიცვა. კუკი აცხადებს, რომ გაფიცვამ შეიძლება ამ წლის ბოლომდე გასტანოსო. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ან სიკვდილი, ან გამარჯვება იმ სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლაში, რომელშიაც ისინი მრეწველებმა გამოიწვიეს. დიახ, გამოიწვიეს, შეტევას აწარმოებენ კაპიტალისტები, ხოლო მუშები თავს იცავენ, რომ შეინარჩუნონ წინანდელი პირობები მაინც: პირველ მაისამდე არსებული ხელფასი, შვიდი საათის სამუშაო დღე, ნაციონალური მასშტაბით ხელშეკრულების დადების უფლება. მრეწველები ყველა ამას ხელაღებით უარყოფენ: ხელფასის დაკლება, 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, ოლქობრივი ხელშეკრულებათა სისტემის დაწესება, რათა დაარღვიონ მემაღაროების მთლიანი ფრონტი,—აი, რას ესწრაფვიან ისინი; მუშების განუსაზღვრელი ექსპლოატაციით სურთ მათ თავისი შერყეული მდგომარეობის გამოკეთება.

ამ მტაცებლური მიზნების მისაღწევად ბურჟუაზია არ ჩერდება არავითარ ღონისძიებათა წინაშე. ის იყენებს მთელ თავის სახელმწიფოებრივ აპარატს, მატერიალურ საშუალებებს და „იდეურ“ ზემოქმედების მეთოდებს, რომ მემაღაროები გასტეხოს და გააშავოს „ფართე საზოგადოების“ თვალში. ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა რვა საათის სამუშაო დღის დაკანონება პარლამენტის მიერ.

კონსერვატორების მთავრობამ ამით საბოლოოდ ჩამოიფხრიწა პირიდან ნიღაბი და ყველასათვის აშკარა გახადა, რომ ის „ზეკლასიური“, „ნაციონალური“ მთავრობა კი არ არის, არამედ მხოლოდ კაპიტალისტების აღმასრულებელი ძალაა, მუშების წინააღმდეგ კლასობრივი ინტერესების დამცველი. ბალდუინები სხვანაირად ვერ მოიქცეოდენ, როგორც იმიტომ, რომ ისინი ბურჟუაზიის წარმომადგენლები არიან, აგრეთვე იმიტომაც, რომ ისინი პირადათაც არა ნაკლებ არიან დაინტერესებული მემაღაროების დამარცხებაში, ვინემ მემაღაროეთა პატრონები, ვინაიდან ბალდუინი და მისი კოლეგები თვითონ ფლობენ მსხვილ სანახშირო წარმოებებს და სხვა სამრეწველო დარგებს. ისინი სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებას იყენებენ პირადი ინტერესებისათვის.

რვა საათის სამუშაო დღის კანონის მიღებით მთავრობა ფიქრობდა დაეშინებია მუშები. ჩვენ ვიცით, რომ პარლამენტი ინგლისში ყოვლის შემძლედ ითვლება. ბურჟუაზიულ კანონისა და კონსტიტუციისადმი მოკრძალება არსად არ არის ისე მძლავრი და უსაზღვრო, როგორც ინგლისში. რა თქმა უნდა, როცა ბურჟუაზიას ესაჭიროება, ის მის მიერ გამოცემულ კანონს თვითონ ფეხქვეშ გათელავს. ამას მოწმობს, სხვათა შორის, საგანგებო წესების გამოცხადება და მთავრობისათვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება გაფიცვასთან დაკავშირებით. ამას მოწმობს კანონით დაშვებულ „სამრეწველო კონფლიქტში“ მთავრობის უხეში ჩარევა კაპიტალისტების სასარგებლოდ და რვა საათის სამუშაო დღის დაკანონება. აგრეთვე ვიცით, რომ კანონის სახელით გამოვიდა მთავრობა საყოველთაო გაფიცვის წინააღმდეგ და ის უკანონო, არა კონსტიტუციურ აქტად გამოაცხადა. და ამან თავისი გავლენა მოახდინა რეფორმისტულ ლიდერებზე, რომელნიც ბურჟუაზიულ კანონის და კონსტიტუციის ხსენებაზე ცახცახებენ: გენსაბჭომ საყოველთაო გაფიცვა, როგორც „უკანონო“ აქტი, ჩაშალა.

მთავრობამ ასევე მოინდომა კანონით მემაღაროების დაშინება. მაგრამ ამ ფანდმა არ გასჭრა. ისინი სრულებით არ ფიქრობენ წამოიჩოქონ ბურჟუაზიულ კანონის წინაშე, არ თანხმდებიან თავის დამონებაზე, თუნდაც ეს კანონმდებლობითი გზით მოხდეს. მემაღაროები მტკიცედ დგანან თავის პოზიციებზე და მათ გადაწყვეტილი აქვთ ბრძოლის ბოლომდე გაგრძელება.

უაღრესად მძიმე პირობებში მიმდინარეობს ეს ბრძოლა. მაშინ როცა ბურჟუაზია მთლიანი ფრონტით გამოდის გაფიცულთა წინააღმდეგ, ეს ოდნავადაც არ ითქმის მუშათა კლასზე. ინგლისში მათ დახმარებას არ უწევენ პროლეტარიატის დანარჩენი რაზმები. გენერალური საბჭო ხელსაც არ სძრავს გაფიცულთათვის ფინანსების მისაწოდებლად და მასების მობილიზაციისათვის. გრძელდება ქვა-ნახშირის გადაზიდვა. კიდევ მეტი: გენსაბჭო თავის მოხსენებაში ილაშქრებს მემაღაროეთა ფედერაციის წინააღმდეგ და მოითხოვს მისგან გაფიცვის შეწყვეტას. პარლამენტის მუშათა ფრაქციის ოპოზიციას 8 საათის კანონის მიმართ უბრალო სიტყვიერების ხასიათი ჰქონდა და „სინდისის დასამშვიდებლად“ იყო წარმოებული.

სდუმან აგრეთვე ამსტერდამის ინტერნაციონალი და ცალკე რეფორმისტული პროფკავშირები სხვა ქვეყნებში. მათ ერთხელ კიდევ ჩაჰკრეს წიხლი საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობის იდეას და საბოტაჟის პოლიტიკას ადგანან გაფიცულთა მიმართ. ევროპის და ამერიკის მუშათა კლასის ფულადი დახმარება ინგლისელ მემაღაროებისადმი სახსენებელიც არ არის. ევროპიდან ქვანახშირი დაუბრკოლებლად შედის ინგლისში.

ამავე დროს ცხადზე უცხადესია, რომ ინგლისელი მემაღაროები ვერ გასძლებენ, თუ მათ საერთაშორისო პროლეტარიატმა სწრაფი და უხვი დახმარება არ მიაწოდინა, თუ ის ერთიანი ფრონტით არ გამოვიდა მისთვის გვერდში ამოსადგომად.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ამ მხრივ ყოველგვარ ღონეს იღებს. მან უკვე გადაუგზავნა ინგლისელ მებრძოლ ამხანაგებს ოთხი მილიონი მანეთი. ყველამ იცის, თუ რა განგაშია ამტყდარი ინგლისში „საბჭოთა ფულების“ გარშემო. ინგლისის ბურჟუაზია არაფერს არ ერიდება, რომ ჩვენი და ინგლისის მუშათა კლასის სოლიდარობა ჩაშალოს და შეუძლებელი გახადოს მემაღაროებისათვის ჩვენგან დახმარების მიწოდება. მაგრამ ვერავითარი ხრიკი და ინსინუაცია ვერ მოქმედობს. საბჭოთა მშრომელთ ვერავინ აალებინებს ხელს ინგლისელ თანამოძმეებისათვის დახმარების აღმოჩენაზე. თვით უკანასკნელნი არავითარ ანგარიშს არ უწევენ ინგლისის ბურჟუაზიის პროვოკაციულ გამოსვლებს და ითხოვენ დახმარების გაგრძელებას.

ჩვენი მოვალეობაა უფრო გავაძლიეროთ დახმარება. არ უნდა დარჩეს არც ერთი მუშა, არც ერთი მოსამსახურე, რომელიც შესაძლებელ წვლილს არ გაიღებს მემაღაროეთა დახმარების ფონდისათვის. დაყოვნება შეუძლებელია. ინგლისელ კაპიტალისტებს უნდათ სიმშილით წელში მოხარონ მემაღაროები. უკანასკნელთა საშუალებები ამოწურულია. ისინი მოელიან დახმარებას საერთაშორისო და პირველ ყოვლისა საბჭოთა პროლეტარიატისაგან. დამშეული ინგლისელი მემაღაროები და მათი ოჯახები ჩვენ შემოგვცქერიან. კაპიტალისტებს ჩვენ არ უნდა მივსცეთ საშუალება თავისი ჯოჯოხეთური განზრახვა სისრულეში მოიყვანონ—მემაღაროეთა დამშევით მათი ნებისყოფა გასტეხონ და ისინი თავის სამოწყალოდ გახადონ. დაუყოვნებლივ ყველგან უნდა ჩატარდეს ფართე კამპანია დახმარების შესაგროვებლად. ჩვენმა მუშათა კლასმა დღემდე პირნათლად მოიხადა თავისი მოვალეობა ინგლისელ მებრძოლების წინაშე. შემდეგშიც იგი იდგომება თავის მოწოდების სიმაღლეზე. ამას მოითხოვს პროლეტარული სოლიდარობა. ამას მოითხოვენ როგორც ინგლისის, ისე მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესები.

დიპლომატიური სკანდალი

ესტონეთის ყოფილ მოსკოველ ელჩის, ბირკის განცხადება, რომელიც დღეს იბეჭდება ჩვენს გაზეთში, სხვანაირად არ შეიძლება დახასიათდეს, თუ არა დიპლომატიური სკანდალი. საერთაშორისო დიპლომატიის ისტორიაში ამის მსგავს რამეს ვერ წააწყდებით. არა სხვა ვინმე, არამედ ესტონეთის მთავრობის ყოფ. უმაღლესი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში ფარდას ხდის თავის ქვეყნის მთავრობას და გენერალურ შტაბის ფარულ ზრახვებს, რამდენადაც საქმე ეხება მათ ჩვენთან დამოკიდებულებას. ეს განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს გამოქვეყნებულ დოკუმენტს. რაც უნდა შეეცადონ ესტონეთის ხელმძღვანელი წრეები მათთვის ამ არა სასიამოვნო დოკუმენტის მნიშვნელობის გაქარწყლებას ბირკის გაშავებით და სხვა ხრიკებით, ეს მოუხერხებელი იქნება. ესტონეთის მთავრობის აგრესიული პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ დღის სინათლეზეა გამოტანილი სწორედ იმ ოფიციალურ პირის მიერ, რომელიც ყველაზე უფრო იცნობს ამ პოლიტიკას.

რაში მდგომარეობს ეს პოლიტიკა? როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირმა წინადადება მისცა ბალტიის სახელმწიფოებს და მათ შორის ესტონეთსაც დაედვათ საგარანტიო და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება, როგორიც ჩვენ უკვე გვაქვს შეკრული ოსმალეთთან და გერმანიასთან. ასეთი ხელშეკრულება, თავის-თავად ცხადია, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში. კერძოდ ის სასარგებლოა არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ პირველ ყოვლისა ბალტიის ქვეყნებისათვის.

პატარა სახელმწიფოები, როგორიც არიან ბალტიის ქვეყნები, მხოლოდ მაშინ უზრუნველყოფენ თავის დამოუკიდებლობას, თუ ისინი მტკიცედ დაიცავენ ნეიტრალურ პოზიციას საერთაშორისო ურთიერთობაში, მით უმეტეს, როცა ისინი იმყოფებიან საბჭოთა კავშირის და დასავლეთ ევროპის მიჯნაზე, რის გამო უკანასკნელის იმპერიალისტური ძალები ცდილობენ მათ ჩვენ წინააღმდეგ იარაღად გამოყენებას. ისტორიამ მრავალჯერ დაადასტურა, რომ თუ რომელიმე პატარა ქვეყანა მიემხრო დიდ სახელმწიფოს მეორე დიდ ქვეყნის წინააღმდეგ, ის საბოლოო ანგარიშით ყოველთვის წაგებული რჩება, მას ვერ აცდება „კოზაკის“ ბედი „აქლემების წაჩხუბების“ დროს.

როგორც ეტყობა, ეს გაკვეთილი ჯერ კიდევ საკმაოდ არ აქვთ შეგნებული ბალტიის სახელმწიფოთა ზოგიერთ ხელმძღვანელებს. ჩვენ ვიცით, რომ პოლონეთი აპირებდა მათთან სამხედრო კავშირის შეკვრას საბჭოების წინააღმდეგ. აგრეთვე ინგლისი ცდილობდა ბალტიის ქვეყნების ჩათრევას ანტისაბჭოთა ბლოკში, როცა ეს ცდები დამარცხდა, ინგლისის ხელმძღვანელობით წამოიჭრა იდეა ბალტიის ქვეყნების კავშირის შექმნისა „საბჭოთა იმპერიალიზმისაგან“ თავდასაცავად.

რომ „საბჭოთა იმპერიალიზმი“ მოჭორილი ამბავია, ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს. საბჭოთა მთავრობა კერძოდ უაღრესად დაინტერესებულია ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და მათთან მეზობლურ თანამშრომლობის დამყარებაში. სხვათა შორის, ამის საუკეთესო საბუთს წარმოადგენს ჩვენი მთავრობის წინადადება ბალტიის თვითეულ სახელმწიფოსთან საგარანტიო და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების დადების შესახებ.

ბალტიის ქვეყანათა ხელმძღვანელი წრეები ამ იდეას პირველად თითქო თანაგრძნობით შეხვდენ, თუმცა ერთგვარი მერყეობა ემჩნეოდათ. ეს მერყეობა აიხსნება არა მარტო იმით, რომ მათ კარგად არ აქვთ შეგნებული საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები, არამედ იმითაც, რომ ისინი განიცდიან იმპერიალისტების გავლენას, რომელნიც მათ ხელს უშლიან ჩვენთან დაახლოვებაში. ესტონეთის მთავრობის მოქმედებაში, რომელზედაც ბირკი მოგვითხრობს, აშკარად მოსჩანს ინგლისის და პოლონეთის ხელი.

მაგრამ ბალტიის სახელმწიფოთა უფრო გონიერ წრეებს მშვენივრად ესმით ასეთი გზის დამღუპველობა თავიანთი ხალხებისათვის, მათ შეგნებული აქვთ საბჭოთა კავშირთან დაახლოვების და ნორმალურ ურთიერთობის დამყარების მნიშვნელობა. ამაზე მეტყველებს ბირკის საქციელიც. ის გადაუდგა თავის მთავრობას სწორედ იმიტომ, რომ მისი ანტისაბჭოთა პოლიტიკა ვერაფერ სახეიროს მოუტანდა თავის ქვეყანას.

სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ ბირკის ასეთი ნაბიჯის გამო ესტონეთის გენერალურ შტაბს გადაეწყვიტა მისი ჩუმად მოკვლა და ამისათვის სათანადო ზომებიც მიეღო. ეს მკვლელობა უნდა მომხდარიყო საბჭოთა ტერიტორიაზე. ეს რომ განხორციელებულიყო, არაფერი იქნებოდა საკვირველი, თუ ესტონეთის მთავრობა ამას საბჭოთა ხელისუფლებას გადააბრალებდა, რომ ამით თავისი ანტისაბჭოთა პოლიტიკისათვის „მორალური გამართლება“ გამოენახა.

მაგრამ ყველაფერი გამოაშკარავდა. თუ როგორ შეეცდება ესტონეთის მთავრობა თავის დაძვრენას ამ დიპლომატიურ სკანდალიდან, ამას მალე ვნახავთ. საეჭვოა ამ მხრივ რაიმე გაუვიდეს: ესტონეთის მთავრობა „დაჭერილია დანაშაულობის ადგილზე“.

ჩვენთვის მთელი ამ „ისტორიიდან“ საგულისხმოა არა მარტო ის, რომ ესტონეთის მთავრობის ზრახვები მზის სინათლეზეა გამოტანილი, არამედ ისიც, რომ თვით ესტონეთში შექმნილია მძლავრი მოძრაობა ესტონეთის მთავრობის ანტისაბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ და ჩვენთან დაახლოვებისათვის. ბირკის უჩვეულო საქციელი ამას მჭერმეტყველურად ადასტურებს. მხოლოდ ბირკების პოლიტიკის გამარჯვება უზრუნველყოფს ესტონეთისა და ბალტიის დანარჩენ ქვეყნებისათვის თავისი დამოუკიდებელ არსებობისათვის და განვითარების შესაძლებლობას.

მ. ლ.—ძე.

ესტონეთის ელჩი (მოსკოვში) ესტონეთის მთავრობის წინააღმდეგ

ესტონეთი იმპერიალისტური სახელმწიფოების ტყვეა

საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის სადარაჯოზე

ინგლისთან შეთანხმების ძალით, საფრანგეთმა ყოველწლიურად უნდა იხადოს 20 მილ. გირვ. სტერლინგი

ბირკის მხილება

ესტონეთის მთავრობის ზრახვები

მოსკოვი, 14 ივლისი. „იზვესტიაში“ მოთავსებულია ესტონეთის ყოფილი ელჩის საბჭოთა კავშირში **ბირკის** წერილი (მისი გადადგომის დასაბუთების ასლი).

რედაქციის მიმართ გაგზავნილ წერილში ნათქვამია:

„ა. წ. 18 ივლისს ესტონეთის სახელმწიფოს მეთაურს მე გაუგზავნე გადადგომის ქაღალდი. გადავაბარე რა სრული წესრიგით მთავრობისაგან დასახელებულ პირს მისიის ყველა საქმეები, მე სამხრეთის გზით გავემგზავრე საფრანგეთისკენ იმ მიზნით, რომ იქ აღმედგინა ჩემი ჯანმრთელობა. გზის გამგზავრების მოლოდინში მე შეუხვიე ნათესავებთან, რომელნიც უკრაინის ერთ-ერთ ქალაქში სცხოვრობენ. იქ პოლიტიკურ ცხოვრების დაშორებით, მე შემთხვევით შევიტყვე, რომ ესტონეთის გენერალურ შტაბს ჯერ კიდევ ჩემს მიერ მისიის დატოვებამდე, დაუვალებია თავისი აგენტებისათვის მოეწყოთ თავდასხმა ჩემს მოსაკლავად; რაკი ეს შევიტყვე მე გადავსწყვიტე შემეცვალა მარშრუტი, და პირველად გავმგზავრებულიყავ ფინეთში და იქიდან ესტონეთში.

ლენინგრადში მე გავიგე, რომ ჩემი ელჩობიდან გადადგომის გარშემო სხვადასხვა სახელმწიფოების პრესაში ამტყდარა წარმოუდგენელი განგაში. თურმე ჩემს წინააღმდეგ ვრცელდებოდა ფანტასტიური ჭორები.

ფინური გაზეთებიდან მე გავიგე აგრეთვე, რომ ფინეთის საგარეო მინისტრს გაზეთების კორესპონდენტებისათვის მიუცია ჩემს შესახებ ინტერვიუ, რომელიც ჩემს პიროვნებას ჩირქსა სცხებს.

ცხადია, ასეთი მდგომარეობის შექმნის შემდეგ, მე არ შემეძლო გამგზავრებულიყავი ფინეთში. ამ გარემოებამ მაიძულა—გადამედო ჩემი გამგზავრება საბჭოთა კავშირიდან და პრესაში გამომექვეყნებია ჩემი თანამდებობიდან გადადგომის ნამდვილი მიზეზები.

მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევდი და ვაძლევ საბჭოთა კავშირის და ესტონეთის ურთიერთობის მოწესრიგების და გაუმჯობესების საკითხებს. როცა საბჭოთა კავშირის მთავრობამ წინადადება მოგვცა დაგვედო საგარანტიო ხელშეკრულება, მე მივესალმე ამ ნაბიჯს და ვმუშაობდი ამ წინადადების განსახორციელებლად.

მე დარწმუნებული ვარ, მოლაპარაკება, რომ დაგვეწყო, მივაღწევდით ორივე მხარისათვის სასურველ შედეგებს. ასეთი პოლიტიკის გატარების დროს მე შევეჩეხე ესტონეთის დღევანდელ საგარეო საქმეთა მინისტრის **პიიკის** და მის მომხრე გენერალურ შტაბის წინააღმდეგობას. **ამ უკანასკნელთ გამბედაობა არ ეყოფნით აშკარად გამოაცხადონ თავიანთი გეგმები და თავისი პოლიტიკით სცდილობენ ჩაშალონ ეს მოლაპარაკება და ამით ქვეყანა ესტონეთის ინტერესებისათვის სრულიად გამოუდეგარ გზაზე დააყენონ.**

შექმნილი მდგომარეობის შეფასებამ მე ღრმად დამარწმუნა, **რომ პიიკის და ესტონეთში გავლენიანი გენერალური შტაბის პოლიტიკას ესტონეთის ხალხი დაღუპვისაკენ მიჰყავს. დავრწმუნდი, რომ ეს პირები არიან არა თავის ხალხის ინტერესების დამცველნი, არამედ უცხოელების გავლენის მატარებელნი.** აქ მარხია ჩემი უთანხმოების საფუძველი ესტონეთის პოლიტიკის დღევანდელ ხელმძღვანელებთან და ამიტომ ისინი ცდილობენ ჩემს ჩამოშორებას, რადგან მე არ მსურდა მათ იარაღად გამხდარიყავი. მაგრამ ეს ვაჟბატონები არ დასჯერდენ ჩემს თანამდებობიდან გადადგომას და სურთ ბინძური საშუალებით მომკლან პოლიტიკურად და, შეიძლება, ფიზიკურადაც.

შემდეგ მოყვანილია ბირკის განცხადება გადადგომის შესახებ, სადაც ნათქვამია:

„1923 წელს საგარეო საქმეთა მინისტრმა პიიკმა წინადადება მომცა მეკისრა ესტონეთის ელჩობა საბჭოთა კავშირში. 4 წლის განმავლობაში მე ვმუშაობდი აქ მეტად მძიმე პერიოდში. დამოკიდებულების დამყარება და მისი განვითარება ახალი სახელმწიფოებს შორის მეტად მძიმეა, განსაკუთრებით ესტონეთისა და საბჭოთა რუსეთის, შემდგომ საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიური და პოლიტიკური სისტემების განსხვავების გამო. წარმოშობილი დაბრკოლებანი გადალახულ იქნა და ჩვენი ურთიერთობა თანდათან მტკიცდებოდა და ვითარდებოდა.

უკანასკნელ თვეების განმავლობაში ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, უფრო სწორად, მისი დღევანდელი ხელმძღვანელები ისეთ მეთოდებს და ხერხებს მიმართავდენ, რომ არა თუ შეუძლებელს ხდიან აქაურ—მისიის მუშაობას, არამედ იწვევენ და გამოიწვევს კიდეც გართულებანი საბჭოთა კავშირის და ესტონეთის ურთიერთობის საქმეში.

ამჟამად ჩვენი მისია ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მისი მოქმედება უკვე ლიკვიდაციაქმნილად უნდა ჩაითვალოს. ამჟამად მე მიწვევენ უკან ესტონეთში ხანგრძლივი ვადით, როგორც სამინისტროსთან ახლო მდგომი გაზეთები იუწყებიან.

ყველაზე სერიოზულად უნდა ჩაითვალოს ის აზრთა სხვადასხვაობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩემსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის საბჭოთა კავშირის და ესტონეთის ამჟამად არსებულ ურთიერთობის შეფასების შესახებ.

საბჭოთა კავშირმა წამოაყენა წინადადება ჩვენთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების და აგრეთვე ერთი მეორის წინააღმდეგ გაულაშქრებლობის შესახებ. ასეთი წინადადების და ღონისძიების შესახებ შეიძლება სხვადასხვა აზრი და შეხედულება არსებობდეს. მაგრამ, ერთი კი უდავო ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს: **ამ წინადადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი შეიცავს დიდს შედეგებს და ღირსია მეტად სერიოზული ყურადღების და მოპყრობის.**

ეჭვს გარეშეა, რომ ესტონეთის ყოველი მოქალაქე აშკარად გრძნობს, თუ რა არსებითი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთით მყოფ მეზობლებთან ურთიერთობის უფრო მტკიცე ნიადაგზე დაყენებას, ვიდრე უკანასკნელ დრომდე იყო. მოსული ცნობები მოწმობენ, რომ ესტონეთში ამბები და შეხედულებანი იმ მიმართულებით ვითარდებიან, რომ შეუძლებელს ხდიან ხელშეკრულების დადებას, და წარმოიდგინეთ, მოლაპარაკების დაწყებასაც კი. ამ გარემოებას შეუძლია გამოიწვიოს მეტად საბედისწერო შედეგები და სრულიად გააუქმოს ესტონეთის დამოუკიდებელი პოლიტიკა. ჩვენ, როგორც პატარა ერს და სახელმწიფოს, არსებითად გვაინტერესებს ყოველი ნაბიჯი, რომელსაც მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ მივჰყავართ, და თუ ჩვენ ამას მხედველობიდან გაუშვებთ, ჩვენ შევტოპავთ ჩვენი ქვეყნისათვის დამღუპველ პოლიტიკაში და გადავიქცევით სხვების იარაღად. თავს მოვალეთ ვსთვლი—გაუკეთო სათანადო დასკვნები სამინისტროს შეხედულებებს და ნაბიჯებს.

გთხოვთ მიიღოთ ცნობად, რომ მე არ მსურს მონაწილეობა ზემოდმოხსენებულ პოლიტიკაში და ვსტოვებ ესტონეთის ელჩის თანამდებობას მოსკოვში“.

ბირკის დახასიათება

რიგა, 13 ივლისი. ლატვიის პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ლატვიის ელჩმა საბჭოთა კავშირში **ოზოლსმა** დაახასიათა ესტონეთის მოსკოველი ელჩი ბირკი, როგორც შორსმჭვრეტელი და ფრთხილი თავდაჭერილი დიპლომატი. ოზოლსმა დასძინა, რომ მიუხედავად ბირკის ჩვეულებრივი თავდაჭერილობისა, მასში ყოველთვის შესამჩნევი იყო პრინციპიალური შეუთანხმებლობა ესტონეთის მთავრობასთან.

კაიო-ჩერჩილის შეთანხმება

რამდენს გადაიხდის საფრანგეთი

ლონდონი, 13 ივლისი. ფინანსთა მინისტრმა **ჩერჩილმა** თემთა პალატაში გამოაქვეყნა უკვე ხელმოწერილი შეთანხმების შინაარსი საფრანგეთის ვალის შესახებ და განაცხადა, რომ ეს შეთანხმება გულისხმობს არა მარტო საფრანგეთის სამხედრო ვალების, არამედ საფრანგეთის ყველა იმ ფინანსიურ ვალდებულებათა მოწესრიგებას, რომელიც საფრანგეთს აქვს ინგლისის მიმართ. **პირველი წლის განმავლობაში საფრანგეთი 4 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის. შემდეგ შესატანი თანხა გაიზრდება 2 მილიონი სტერლინგით წლიურად. 1930 წლიდან 1936 წლამდე შესატანი თანხა ყოველწლიურად 12 მილიონი სტერლინგი იქნება, ხოლო შემდეგ** 1987 წლამდე—(ვალის გადახდა განზრახულია 62 წლის განმავლობაში) 14 მილიონი სტერლინგი. ჩერჩილმა აღნიშნა, რომ შეთანხმებაში არ მოიპოვება მუხლი, რომელიც საფრანგეთის ვალის გადახდას გერმანიის სარეპარაციო თანხების შემოტანას უკავშირებდეს; მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ გერმანული სარეპარაციო თანხები არ შემოვიდნენ და ნაკლებ შემოვიდნენ, საფრანგეთს **უფლება ეძლევა იშუამდგომლოს** ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ. მხოლოდ ამ შემთხვევაში ინგლისსაც უფლება ეძლევა საწინააღმდეგო მოსაზრებანი წარმოადგინოს, მაგალითად აღნიშნოს, რომ გერმანიის რეპარაციების გადახდა აზიანებს არა მარტო საფრანგეთს, არამედ ინგლისსაც.

ჩერჩილი შეეხო იმ ოქროს საკითხს, რომელიც საფრანგეთმა ომის დროს ინგლისის ბანკში შეინახა და სთქვა: „საფრანგეთი წინანდებულად, ამ შეთანხმების ჩარჩოების გარეშე, ჰფლობს 53½ მილ. სტერლინგს, რომელსაც პროცენტები არ მიერიცხება. ხოლო ჩვენ წინანდებულად საფრანგეთს სესხად მივსცემთ ამ თანხებს პროცენტების მიურიცხავად. ამ საკითხის საბოლოოთ მოწესრიგება გადადებულია საგანგებო ხელშეკრულობის დადებამდე ორივე სახელმწიფოს შორის“. ბოლოს ჩერჩილმა განაცხადა, რომ შეთანხმება საფრანგეთის ვალის მოწესრიგების შესახებ არ საჭიროებს პარლამენტის რატიფიკაციას, მაგრამ მთავრობა პალატას შეძლებას მისცემს მსჯელობა იქონიოს მის შესახებ.

ფრანკი კიდევ ეცემა

პარიზი, 13 ივლისი. ბურჟუაზიული პრესა ეხება ფრანკის კურსის ხელ-ახალ დაცემას და ამის **მიზეზად ასახელებს მთავრობის სისუსტეს პალატაში და მთავრობის მიერ საფინანსო პროექტის წარმოდგენის დაგვიანებას.**

საფრანგეთის ვალების საკითხი

ლონდონი, 14 ივლისი. საფრანგეთის მიერ ინგლისისაგან მიღებულ სამხედრო ვალების მოწესრიგების შესახებ განცხადებას პრესა კმაყოფილებით შეხვდა, მაგრამ არა ენტუზიაზმით. აღნიშნავენ, რომ თუ საფრანგეთი ვალებს სულ გადაიხდის იმ პირობების მიხედვით, რომლებშიაც ფული იყო პირველად მიღებული, მაშინ მარტო პროცენტები ყოველწლიურად 30 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. ეს დაახლოებით უდრის იმ თანხას, რომელსაც ყოველწლიურად იხდის ინგლისის მთავრობა იმ ფულში, რომელიც მან ისესხა ინგლისის კრედიტორებისაგან და საფრანგეთს ასესხა.

ჩერჩილი მთავრობის სახელით დასთანხმდა, ყოველწლიურ თანხად მიღებულ იქმნას დაახლოვებით 12,5 მილ. გირ. სტერლინგი შემდგომი 62 წლისათვის ვალდებულებათა გასასტუმრებლად.

ეს შეთანხმება არ მოითხოვს რატიფიკაციას ინგლისის პარლამენტის მიერ და განხილული იქნება ორშაბათს, როცა დებატებს გახსნის ლოიდ-ჯორჯი და სავსებით იქნება გამოთქმული ოპოზიციის შეხედულებანი.

ლიბერალური გაზეთები ხაზს უსვამენ სულგრძელ დათმობებს საფრანგეთის მიმართ და იმ მძიმე ტვირთს, რომელიც ზურგზე აწვება ინგლისელ გადასახადის გადამხდელთ.

„დეილი ქრონიკლი“ ამბობს: „საფრანგეთის კრედიტი აღდგენილია, საფრანგეთის ფულის კურსი განმტკიცდა და იწყება ვალების საკითხის მოგვარება“.

საერთაშორისო შეტევა 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ

(„პრავდა“-ს მოწინავე)

„პრავდა“ მოწინავეში ამ სათაურით აღნიშნავს, რომ ვერსალის ხელშეკრულებაში შეტანილია მთელი თავი, რომელიც შეიცავს პროლეტარიატის შრომის პირობების გაუმჯობესების გარანტიას და მათ რიცხვში 8 საათის სამუშაო დღის ყველგან შემოღებას. „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ“,—რომელიც დაარსებულ იქმნა ვერსალის ზავის მოთხოვნილებათა მიხედვით და რომელსაც დაარსების დღიდანვე ხელმძღვანელობდა სოციალ-იმპერიალისტი ალბერტ ტომა,—1919 წელს ვაშინგტონში მოიწვია 40 სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელზედაც დადგენილ იქმნა 8 საათის სამუშაო დღის შემოღება ყველგან, ინდოეთისა, ჩინეთისა, სპარსეთისა და სიამის გამოკლებით, სადაც ევროპის კაპიტალმა არ მოისურვა ხელის აღება ადგილობრივ მუშათა განუსაზღვრელ ექსპლოატაციაზე.

1919 წელს, როცა მძლავრად აგორდა მსოფლიო რევოლიუციის ტალღა, შეუძლებელი იყო ფაქტიური ჯილდო მაინც არ მიეცათ მუშებისთვის, რომელნიც ენდობოდენ რეფორმისტ ბელადებს და რომელნიც უკანასკნელები ბურჟუაზიისა და მეშარ სახელმწიფოთა ინტერესების გულისათვის სახაკლაოზე ერეკებოდენ.

მაგრამ შემდეგ, როცა კაპიტალიზმი წელში გაიმართა, ის შეუდგა ძალების მოგროვებას პროლეტარიატისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. რეფორმიზმმა შესძლო მუშათა კლასის შეჩერება რევოლიუციონურ გამოსვლებისაგან და ამიტომ ბურჟუაზიას აღარ ესაჭიროებოდა დათმობაზე წასვლა მუშების მიმართ.

ვაშინგტონის ხელშეკრულების რატიფიკაცია ყოველთვის იდებოდა და მხოლოდ 1926 წლის მარტში ინგლისის ინიციატივით მოწვეულ იქნა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის და ბელგიის წარმომადგენელთა კონფერენცია მრეწველობაში რვა საათის სამუშაო დღის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესათანხმებლად.

ინგლისის ინიციატივა აიხსნებოდა იმით, რომ ინგლისს მთავრობას მაშინ არ ქონდა არავითარი შანსი იმისა, რომ აეძულებინა ინგლისის მუშები ემუშავნათ დღეში 10 საათი. ამიტომ იგი შეეცადა გერმანიის კონკურენციის ჩაშლას გერმანიის მრეწველობაში 8 საათის სამუშაო დღის შემოღებით.

ბურჟუაზიის ეხლანდელი შეტევა ყველა ევროპიულ ქვეყნებში რვა საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ მოწმობს იმას, რომ ამ ტაქტიკამ ნაყოფი ვერ გამოიღო.

იტალიაში შემოღებულია 9 საათის სამუშაო დღე, გერმანიაში დღემდე, მიუხედავად ლონდონში ხელშეკრულების დადებისა, ჯერ კიდევ არაა შემოღებული 8 საათის სამუშაო დღე. ინგლისის მთავრობა სანახშირო მრეწველობაში ადიდებს სამუშაო დღეს 8 საათამდე, რაიც ფაქტიურად 8½ საათს ნიშნავს, ვინაიდან ის დრო, რომელიც საჭიროა მაღაროში ჩასვლისა და იქიდან ამოსვლისათვის, სამუშაო დროში არ შედის.

ბელგიაში და საფრანგეთში, სადაც კანონი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ „ლიბერალურად“ იყო გაგებული, ეხლა სდგას მისი გაუქმების საკითხი ფინანსიურ „გაჯანსაღების“ აუცილებლობის გამო.

8 საათის სამუშაო დღე ეხლა უმეტეს შემთხვევაში ფიქციას წარმოადგენს, ახლო მომავალში კი საკანონმდებლო წესით იქნება გაუქმებული.

შეტევა ინგლისის სამთა-მადნო მუშების წინააღმდეგ მხოლოდ დასაწყისია საერთო ბრძოლისა ინგლისის პროლეტარიატის შრომის პირობების წინააღმდეგ.

ჩვენს წინაშე არის საუცხოვო მაგალითი, შეთანხმებელთა ილიუზიების გაკოტრებისა, იმ ილიუზიების, რომლითაც სცოცხლობდა უკანასკნელ წლებში ევროპის პროლეტარიატის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ევროპის პროლეტარიატს ბურჟუაზიის შემოტევის მოგერიება მხოლოდ ევროპის კომპარტიის ხელმძღვანელობით შეუძლია.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 14 ივლისი.

საბჭოთა პრესა

ხელმძღვანელობა ძირითად პროფუჯრედებზე

საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების შარშანდელი არჩევნები ჩატარდა ძირითად საკავშირო უჯრედების შემადგენლობის განახლების ლოზუნგით. უკანასკნელ არჩევნების დროს, წინანდელ გამოცდილების მიხედვით, საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ, ამ კომიტეტების შემადგენლობის ნაწილობრივ განახლებასთან ერთად, მათში დარჩენილიყვენ ის მუშაკები, რომელთაც დაამტკიცეს თავისი მომზადება, გამოცდილება ან უნარიანობა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაში, რათა პროფორგანიზაციების მუშაობა არ შეფერხებულიყო მათ ხელმძღვანელ ორგანოებში ახალ, გამოუცდელ პირების გადაჭარბებული რიცხვის გაყვანით. მიუხედავათ ამისა ახლად არჩეულები შეადგენენ საერთოდ 60—70 პროცენტამდე. რით აიხსნება ეს მოვლენა? ამაზე გაზ. „ტრუდ“ ასე უპასუხებს:

„აქ სამი მიზეზი მოქმედებდა. ერთი მხრივ, განახლება იყო პროფკავშირულ დემოკრატიის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითგანმტკიცების პრაქტიკული გამოხატულება. და ეს ფაქტი, უეჭველად, დადებითია. ის მოწმობს, რომ საერთოდ და მთლიანად არჩევნები, მართლაც, დემოკრატიული წესით ტარდება. მეორე მხრივ—აქ ითამაშა როლი ქვედა პროფმუშაობის სისტემამ, რომელი მუშაობა, როგორც ეტყობა, მიუხედავათ აშკარა გაუმჯობესებისა, მაინც ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მუშების გაზრდილ მოთხოვნებს. და, ბოლოს, უკანასკნელი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ წარსულ წლის არჩევნებში განახლების მხრივ გადავაჭარბეთ. შედეგათ პირველმა დემოკრატიულმა არჩევნებმა მოგვცეს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების უფრო სუსტი შემადგენლობა, რამაც გავლენა იქონია მთელ მათ მუშაობაზე, მაშასადამე, მათი წევრების მეტი ნაწილის მოღვაწეობის შეფასებაზედაც“.

ამგვარად, ფაბრიკა - ქარხნის კომიტეტებში ძალიან ბევრი მოხვდა პროფკავშირულ გამოცდილებას მოკლებული და სუსტად მომზადებული პირი. თუმცა ახალი კომიტეტები თითქმის ყველგან ერთი წლით არიან არჩეული და მათ საკმაო დრო აქვთ გამოცდილება შეიძინონ, მაგრამ უახლოეს დროისათვის, ეჭვი არ არის, მოსალოდნელია პროფმუშაობის ერთგვარი შესუსტება წარმოებებში. ამავე დროს იქ ბათილდება მუშაობა, რასაც შესაფერისად თავს ვერ გაართმევენ ახალი მუშაკები, მით უმეტეს, როცა შემდგომ ჩატარდება სახელშეკრულებო კამპანია და საერთოდ მასსები სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებენ პროფორგანოებს.

„ამასთან დაკავშირებით,—წერს „ტრუდ“,—ყველა კავშირების წინაშე წამოჭრილია დიდი და გადაუდებელი ამოცანა დაეხმარონ ახალ პროფაქტივს, სწრაფად შეიყვანონ იგი საკავშირო მუშაობის კურსში და მიაღწიონ მისი პროფკავშირული კვალიფიკაციის ამაღლებას. ეს დიდი საქმეა. აქ უნდა ვიმოქმედოთ ყოველგვარი მეთოდებით: სხვადასხვა საკითხებზე საქარხნო აქტივის თათბირების უფრო ხშირი გამართვით, უფრო მუდმივი და სრული რჩევა-დარიგებით და ხელმძღვანელობით და სხ. მაგრამ უფრო მთავარი, რაზედაც იქნება ყველაფერი დამოკიდებული, ესაა ყველა კავშირების და საკავშირთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების გაძლიერება პროფესიულ მუშაობისადმი წარმოებაში“.

ამნაირად ჩვენს წინაშე დგას ძირითად პროფუჯრედების, საქარხნო - საფაბრიკო კომიტეტების, განმტკიცების ამოცანა. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი მასიური პროფკავშირული მუშაობის სათანადოთ წარმოება, თუ ძირითად პროფკავშირულ უჯრედების შემადგენლობა შესაფერ დონეზე იდგომება.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაკოშის პროცესი

ვენა, 13 ივლისი. რაკოშის საქმის გამო, **სასამართლოში გამოწვეულია 15 მოწმე,** მათ რიცხვში უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი **გოროვიცი,** რომელიც შარშანდელი ჩხრეკა-დაპატიმრების დროს თამაშობდა დამაბეზღებელის როლს. გოროვიცის ჩვენებით, სასამართლო შეეცადა დაემტკიცებია „კავშირი ბოლშევიკებთან“.

ერის დაკითხვა

ვენა, 13 ივლისი. მოდის დამატებითი ცნობები **ერის** დაკითხვის შესახებ რაკოში-ვაგის პროცესის პირველ დღეს.

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვას, თუ რა მიზანს ისახავდა მოძრაობა, ერიომ უპასუხა, რომ უახლოეს ამოცანას წარმოადგენს ჰუნგრეთში ლეგალური კომუნისტური პარტიის შექმნა.

შეკითხვაზე, გულისხმობს თუ არა ლეგალობა არსებულ კანონების პატივისცემას, ერიომ უპასუხა: **„ჩვენ ბურჟუაზიულ კანონებს ვემორჩილებით მხოლოდ ძალმომრეობის გამო. ეს სასამართლო კლასიური სასამართლოა და მისი განაჩენიც — გამზადებული კლასიური განაჩენია.**

სასამართლომ სიტყვა წაართვა ერის.

ვენა, 13 ივლისი. განახლდა ბრალდებულთა დაკითხვა. სასამართლოს თავმჯდომარემ მოითხოვა, რომ რაკოშის მხოლოდ თავის დასაცავად ელაპარაკა და არ დაეწყო კომუნისტური პროპაგანდა სასამართლოს დარბაზში.

რაკოშიმ ენერგიული პროტესტი განაცხადა ამის გამო და სთქვა, რომ ყოველ ბრალდებულს უფლება აქვს თავის დასაცავად სასამართლოში მოიყვანოს ისეთი დებულებები, რომელიც მას საჭიროდ მიაჩნია.

რაკოშის სიტყვა

რაკოშიმ თავის სიტყვაში მოიგონა ჰუნგრეთის პროლეტარული დიქტატურა და განაცხადა, რომ გამარჯვებული კონტრ - რევოლიუცია ყოვლივე ძალღონით ცდილობს ჩირქი მოსცხოს ჰუნგრეთის პროლეტარულ დიქტატურას, მის ბელადებს და ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას ჰუნგრეთის პროლეტარიატში და უმიწაწყლო გლეხობაში რევოლიუციონური იდეები. **მაგრამ მთელი ის ტანჯვა-წამება, რომელსაც ჰუნგრეთის პროლეტარიატი იტანს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვების დღიდან, მხოლოდ აძლიერებს მასში წყურვილს ბრძოლისას პროლეტარული დიქტატურის აღდგენისათვის.**

შემდეგ რაკოში შეჩერდა ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატების მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გაჩაღებულ ცილისწამების კამპანიაზე. „საბჭოთა კავშირი, სთქვა რაკოშიმ, მებრძოლი პროლეტარიატის დასაყრდენია; ის ერთად-ერთი ქვეყანაა, სადაც წინააღმდეგ სამეურნეო კრიზისში მყოფ კაპიტალისტური ქვეყნებისა, **სამეურნეო აღორძინების პროცესი წინ მიდის. მხოლოდ საბჭოთა კავშირის სოციალისტურ წარმოებას შეუძლია მოგვცეს საშუალება მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა, წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნებისა, სადაც ეს პირობები სულ უფრო და უფრო უარესდება.** მთელ მსოფლიოში მეცნიერები და უნივერსიტეტის პროფესორები სიმშილობენ, ვინაიდან ბურჟუაზიას არ სურს ცივილიზაციისათვის ხელის შეწყობა, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირი ყოველგვარ ზომებს იღებს მეცნიერთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად“.

რაკოშიმ განაცხადა, რომ მას თავისი საქმიანობით სურდა ხელი შეეწყო ჰუნგრეთის კომუნისტური პარტიის ამოცანების განხორციელებისათვის, იმ ამოცანების, რომელიც ჰუნგრეთის ტანჯული პროლეტარიატის განთავისუფლებაში მდგომარეობს.

სოციალ - დემოკრატების გამცემლობისა და ჰუნგრეთის რეაქციის გამარჯვების შემდეგ, პროლეტარიატი კომპარტიას სთვლის მუშათა მოძრაობის რევოლიუციონურ ავანგარდად.

ამ პარტიისათვის მუშაობას რაკოში სცნობდა თავის მოვალეობად, რის გამოც იგი დაბრუნდა ჰუნგრეთში. „მე პასუხს ვაგებ, სთქვა რაკოშიმ, მხოლოდ უნგრეთის პროლეტარიატის, კომპარტიის და კომინტერნის წინაშე; მხოლოდ ამათ აქვთ უფლება ჩემთვის განაჩენის გამოტანისა“.

სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე—ყალბი პასპორტების წარმოშობის შესახებ, რაკოშიმ განაცხადა, რომ იგი ერთხელ და უკანასკნელად უარს ამბობს კომპარტიის მუშაობის ტექნიკური მხარის შესახებ მისცეს ჩვენება.

წინასწარი დაკითხვის ოქმის წაკითხვის შემდეგ რაკოშიმ განაცხადა, რომ იგი უარს ამბობს ამ ოქმში მოყვანილ ჩვენებაზე, ვინაიდან ეს ჩვენება მიცემული იყო იმ მიზნით, რომ დანარჩენ ბრალდებულთა წამებას ბოლო მოღებოდა.

რაკოშიმ აღნიშნა, რომ სასამრთლოს არ შეუძლია წარმოადგინოს დასაბუთება იმისა, რომ კომპარტია ამ ჟამად სცდილობდა სამხედრო აჯანყების მოწყობას არსებულ წესწყობილების დასამხობათ, ვინაიდან კომპარტიის ტაქტიკა 1919 წლიდან შეიცვალა პოლიტიკურ მდგომარეობის შეცვლის გამო.

„ჩემი და ჩემი ამხანაგების მიზანი ლეგალურ ორგანიზაციის შექმნაში მდგომარეობდა“, სთქვა რაკოშიმ.

გეგეშის დაკითხვა

რაკოშის შემდეგ დაკითხულმა გეგეშმა განაცხადა, რომ პოლიციის მტკიცებანი ფულის ფონდების წარმოშობის შესახებ, არ შეეფერებიან სინამდვილეს. პოლიციამ ეს ჩვენებები სიკვდილის მუქარით მიიღო.

გეგეშმა განაცხადა, რომ იგი ჩვენებას, კომპარტიის ფულის ფონდების შესახებ მხოლოდ მაშინ მისცემს, როცა უნგრეთის ფაშისტები დაასახელებენ მათი ფულების წარმოშობის წყაროს. გეგეშის სასტიკი ტონის გამო სასამართლომ მის წინააღმდეგ დისციპლინარულ სასჯელს მიმართა.

ხამანის დაკითხვა

ბრალდებულმა კატერინა ხამანის ქალმა აღნიშნა, რომ „ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატია სცდილობს ჩააქროს მუშათა მოძრაობა, რის გამოც ბრალდებულები მიზნად ისახავდენ მასების კონტროლის დაწესებას სოციალ-დემოკრატ ბელადებზე“. ჩვენი მოღვაწეობის ძირითადი მიზანია, სთქვა ხამანის ქალმა, შევქმნათ უნგრეთში ლეგალური კომუნისტური პარტია.

კომუნისტების დევნა

ბროშიურების გავრცელებისა თვის

ვენა, 13 ივლისი. დებრიჩინში იწყება 1925 წ. ნოემბერში დატუსაღებულთა პროცესი. ბრალდებულებს ასამართლებენ, როგორც უნგრეთის სოციალისტურ პარტიის წევრებს, რომელთაც ბრალი ედებათ კომუნისტური მოწოდებების და ბროშიურების გავრცელებაში.

მარშალის რესპუბლიკაში

ფეიქრების გაფიცვა

ვარშავა, 13 ივლისი. **ბელოსტოკში დაიწყო ფეიქრების საყოველთაო გაფიცვა.** ბელოსტოკის ვოევოდა შუამავლად გამოვიდა. ლოძში საფეიქრო ფაბრიკის მუშამ, რომელიც შტატების შემცირების გამო დაითხოვეს, ფაბრიკის პატრონი მოჰკლა.

მთავრობის „ზომები“

ვარშავა, 13 ივლისი. მთავრობის კომისარმა ლეგალიზაციის ნება არ მისცა პოლიტიკური ტუსაღების დამხმარე კომიტეტს, რომელიც თვით ტუსაღების ოჯახებმა შეადგინეს.

მარცხის შედეგი

ვარშავა, 13 ივლისი. დანციგის ბაზრობის კომიტეტმა გადასწყვიტა ამა წლის შემოდგომაზე არ მოაწყოს მორიგი ბაზრობა, მიტომ რომ **უკანასკნელი ბაზრობა,** გერმანიისა და პოლონეთის ურთიერთობის მოუწესრიგებლობის გამო, **მარცხით დამთავრდა.**

ვიტოსის მომხრეების გაძევება

ვარშავა, 13 ივლისი. იუნკრების სკოლა, რომელიც გადატრიალების დროს აქტიურად ეხმარებოდა ვიტოსის მთავრობას, **სამხედრო მინისტრის განკარგულებაში გადაჰყავთ მიყრუებულ პროვინციაში, ლომჟის სავოევოდოში.**

კონსტიტუციის შეცვლის გარშემო

ვარშავა, 13 ივლისი. სეიმის კომისიამ მესამე წაკითხვით მიიღო კანონპროექტი კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. კანონპროექტის განხილვა სეიმის პლენუმზე მოხდება 15 ივლისს. შეიძლება, ამასთან დაკავშირებით პრემიერი **ბარტელი** პირველად გამოვიდეს სიტყვით სეიმში.

გამოსავალს დაეძებენ

ვარშავა, 13 ივლისი. პრემიერმა **ბარტელმა** თათბირი მოიწვია უმუშევრობის საწინააღმდეგო ზომების შესამუშავებლად. მეორე სხდომა შესდგება პრეზიდენტ **მოსციცკის** თავმჯდომარეობით.

თავდასხმა სამხედრო საწყობებზე

ვარშავა, 13 ივლისი. გაზეთების ცნობით **სამხედრო საწყობებზე კრაკოვის მახლობლად თავდასხმა მოახდინეს.** ერთი თავდამსხმელთაგანი მოკლულია, ორი დატუსაღებული.

რეაქცია ფრთებს შლის

ვარშავა, 13 ივლისი. რეაქციონური **„კავშირი რესპუბლიკის გაჯანსაღებისა“** ენერგიულად მოქმედობს. ამ დღეებში პოზნანში შესდგა კავშირის პროვინციული ორგანიზაციების ყრილობა. ვარშავაში შესდგა მონარქიულ-ქრისტიანული ჯგუფის ყრილობა, რომელიც მოაწყო „ვიზვოლენიეს“ პარტიიდან გამოსულმა დეპუტატმა ცვიაკოვსკიმ.

განიარაღების საქმე

პარიზი, 13 ივლისი. ანტანტის ელჩითა საბჭო განიხილავს ავსტრიის შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ მიეცეს მას ნება, საზღვარ-გარედ გაჰყიდოს იმ სამხედრო ქარხნების მოწყობილობა, რომლებიც სენ-ჟერმენის საზავო ხელშეკრულების მიხედვით უნდა მოსპობილიყო. **იუწყებიან, რომ ავსტრიას განზრახვა აქვს, რომ ქარხნების მოწყობილობა პოლონეთს მიჰყიდოს.**

კვიატკოვსკის განცხადება

ვარშავა, 13 ივლისი. გერმანიის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს პოლონეთის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კვიატკოვსკიმ განაცხადა, რომ მისი ღრმა რწმენით, პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკება სწორ გზაზე სდგას.

„მე მზადა ვარ, სთქვა კვატკოვსკიმ, რომ გერმანიაში შევსწყვიტო საბაჟო ომი იმავე წუთში, როგორც კი ჩვენი დასავლეთის დიდი მეზობელი პრინციპიალურად მიიღებს პოლონეთის მიერ წამოყენებულ ეკონომიურ დებულებებს, პოლონეთის სავაჭრო ბალანსი აქტიური უნდა დარჩეს. ჩვენ ყველა ზომებს მივიღებთ, რომ განმტკიცებულ იქმნას ჩვენი სამეურნეო კავშირი შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, ავსტრიასთან, რუმინიასთან, ბელგიასთან, ჩეხო-სლოვაკიასთან, საფრანგეთთან, ჰოლანდიასთან, უნგრეთთან, ბალტიის სახელმწიფოებთან და სამხრეთ სახელმწიფოებთან. **რ. ს. ფ. ს. რ. და უკრ. ს. ს. რესპუბლიკასთანაც. ვიწყობთ ინტენსიურ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას.** თუ ჩვენი მოთხოვნილებანი იქნება მიღებული, სხვა სახელმწიფოებს შეუმსუბუქებთ პოლონეთის საზღვარზე საქონლის გადატანას საბჭოთა კავშირში და აღმოსავლეთში.

ბულგარეთიდან გადმოხვეწილნი

მოსკოვი, 14 ივლისი. ამხ. **ჩიჩერინმა** ბულგარეთის გარეშე საქმეთა მინისტრს გაუგზავნა დეპეშა, სადაც აღნიშნულია, რომ მიუხედავად საბჭოთა მთავრობის მიერ ბულგარეთიდან ემიგრანტების შემოშვების აკრძალვისა, ბულგარეთის მთავრობა განუწყვეტლივ გზავნის საბჭოთა ნავთსადგურებში თეთრი ჯარების ყოფილ წევრებს, რომლებიც ბულგარეთში სცხოვრობენ. ბულგარეთის სხვადასხვა ქალაქებში ბულგარეთის მთავრობის მფარველობით მოქმედებენ განსაკუთრებული კანტორები, რომლებიც აგროვებენ საბჭოთა კავშირში დაბრუნების მსურველ ლტოლვილებს და განსაზღვრული ფასით პირდებიან საბჭოთა კავშირში გადაყვანას; საჭირო ფასის აღების შემდეგ კანტორის მფლობელები ლტოლვილებს სხამენ გემზე, გაჰყავთ ღია ზღვაში და სტოვებენ იქ ბედის ანაბარა. ხშირად ეს ლტოლვილები იღუპებიან და მხოლოდ მათი მცირე ნაწილი დიდი გაჭირვებისა და წამების შემდეგ აღწევს ოდესას ან საბჭოთა სხვა რომელიმე ნავთსადგურს.

საბჭოთა მთავრობა ბულგარეთის მთავრობას აკისრებს პასუხისმგებლობას იმ რეპრესიებისათვის, რომელსაც საბჭოთა მთავრობა იძულებული იქნება მიმართოს ასე უნებართვოდ ჩამოსულ პირების და მათი გადმომყვანი გემების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

აჯანყება ნირენაიკში

რომი, 13 ივლისი. **გამოქვეყნდა მთავრობის ოფიციალური ცნობა ნირენაიკში** (იტალიის ახალშენი ჩრდილოეთ აფრიკაში) **მომხდარ აჯანყების შესახებ. აჯანყებამ მიიღო საგრძნობი ხასიათი.** ცნობაში აღნიშნულია, რომ **ახალშენის ცენტრალურ ადგილებში მოხდა რამოდენიმე შეტაკება**, რომლის დროს იტალიელებს მოუკლეს ერთი ოფიცერი და დაუჭრეს 6 ჯარისკაცი.

არაბების მხრივ მკვდარია 100 კაცი.

მეჯლისის გახსნა

სეფეს სიტყვა

თეირანი, 13 ივლისი. სეფეს სიტყვაში, რომელიც 11 ივლისს იქნა წარმოთქმული მეჯლისის გახსნაზე, ნათქვამია: „ჩვენ ურთიერთობა მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოებისადმი მეტად გულწრფელი და გულითადია. ოსმალეთის მთავრობასთან დადებულია ახალი ხელშეკრულება, რომელიც ჩვენს ურთიერთობას ამ სახელმწიფოსთან მტკიცე საფუძველზე ამყარებს და რომელიც სავსებით უზრუნველყოფს ორივე ქვეყნის ინტერესებს. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ პოლონეთის მთავრობასთან დადებულია სავაჭრო ხელშეკრულება".

სახელმწიფოს მმართველობის დარგში მოქმედების შესახებ ნათქვამია: „მთავრობა ენერგიულად მუშაობს გზების გაყვანისა და შეკეთებისათვის. ჩვენ მოუწოდებთ ხალხის წარმომადგენლებს, რომ ყურადღება მიაქციონ სახელმწიფოს ეკონომიურ განვითარებისათვის ხელის-შეწყობას. ამისათვის მთავრობა წარუდგენს მეჯლისს კანონპროექტს რკინის გზებისა და გზა-ტკეცილების გაყვანისა, ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციისა, მრეწველობის, და მიწათმოქმედების განვითარებისათვის ხელის-შეწყობის შესახებ". მეჯლისის დროებით თავმჯდომარეთ არჩეულია თედაიო (?).

ახალი მინისტრი

თეირანი, 13 ივლისი. სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა მოშავეროლ მემალეკი, სპარსეთის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში.

დიქტატორის წინააღმდეგ

პარიზი, 13 ივლისი. კომპარტიის ორგანო „იუმანიტე"-ს ცნობით, **პრიმო-დე-რივერას პარიზში ჩასვლისას შეხვდენ მტრული დემონსტრაციით, სტვენით და ძახილით: „სისხლის მსმელი".** პოლიციელები დაერიან დემონსტრაციის მონაწილეებს და დაუწყეს ცემა.

დაპატიმრებულია რამოდენიმე დემონსტრანტი, რომელთაგან უმრავლესობას შეადგენენ დამოუკიდებელ კატალონიის (ესპანეთის პროვინცია) მომხრე ესპანელები.

გერმანია-პოლონეთის კონფლიქტი

ვარშავა, 13 ივლისი. მოწესრიგებულია პოლონეთ - გერმანიის კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ გერმანიის რკინისგზებმა უარი სთქვეს პოლონეთის ქვანახშირის გადატანაზე გერმანიის ნავთსადგურებში. გერმანიის მთავრობა დასთანხმდა შტეტინში ყოველდღე 8 მატარებელი ქვანახშირი გადაზიდონ, ხოლო ჰამბურგში ორიდან ოთხ მატარებლამდე.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მემაღაროების ცეკაში

მოსკოვი, 14 ივლისი. საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშების ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა ცეკას თავმჯდომარის ამხ. შვარცის მოხსენება მისი ბერლინში გამგზავრებისა და ინგლისის სამთამადნო მუშაკების წარმომადგენლებთან წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ. პრეზიდიუმმა მიიღო კონფერენციის დადგენილება და დაადგინა მოწოდებით მიმართოს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს, რათა ამ უკანასკნელმა ცხოვრებაში გაატარონ ინგლის-საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშაკების ბერლინის კონფერენციის დადგენილებები ინგლისის გაფიცულთათვის დახმარების გაწევის შესახებ.

ტრაქტორების ქარხანა

სტალინგრადი, 14 ივლისი. აუარებელ მუშების, წითელარმიელების და **გლეხების თანდასწრებით სტალინგრადში საძირკველი ჩაეყარა პირველ სატრაქტორო ქარხანას მთელ საბჭოთა კავშირში.** ქარხნის აშენება გაგრძელდება 3 წელიწადს; ყოველწლიურად დამზადებული იქნება 15 ათასი ტრაქტორი.

ამხ. შვარცის განცხადება

მოსკოვი, 14 ივლისი. საბჭოთა მაღაროელების ცეკას თავმჯდომარე შვარცმა შემდეგი განაცხადა ინგლის საბჭოთა კონფერენციის შესახებ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა ბერლინში:

„კუკმა და რიჩარდსონმა მიიღეს საბჭოთა დელეგაციის წინადადება ინგლის საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის მოწვევის შესახებ. საკითხი ინგლის-რუსეთის მაღაროელთა საბჭოს შექმნის შესახებ კონფერენციაზე არ გარჩეულა, რადგან ინგლისელ დელეგატებს ამის შესახებ არ ჰქონდათ შესაფერი რწმუნება; ამის შესახებ **კუკმა და რიჩარდსონმა განაცხადა, რომ ისინი სავსებით ეთანხმებიან საბჭოს შექმნის იდეას.**

კუკმა მხურვალე მადლობა გადაუხადა საბჭოთა დელეგაციას მაღაროს მუშებისათვის დახმარების მიწოდების გამო. შვარცმა მას უპასუხა, რომ საბჭოთა კავშირის მუშები მხოლოდ ასრულებენ თავის კლასიურ მოვალეობას. დელეგაცია დაიშალა იმ გრძნობით, რომ მიღწეულია შეთანხმება.

უკანასკნელი ცნობები

მემაღაროეთა განწყობილება მტკიცეა

ლონდონი, 14 ივლისი. კუკმა, რომელიც სტაფორშირიდან და ნოტინგემიდან დაბრუნდა, განაცხადა, რომ მემაღაროებმა და მათმა ცოლებმა გადასწყვიტეს არ შეუდგენ მუშაობას, თუ მუშაობის ძველი პირობები არ იქნება დაცული. მათი განწყობილება უფრო მტკიცეა, ვიდრე წინედ.

ბელგიის ფრანკის დაცემა

ლონდონი, 14 ივლისი. ანტვერპენიდან კორესპონდენტი იუწყება, რომ ფრანკის კურსი ძლიერ დაეცა, რამაც პანიკა გამოიწვია.

შეშინებული მცხოვრებნი შეუდგენ საქონლის მომარაგებას.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მთავრობა თავის მოწოდებაში აფრთხილებს ხალხს საზდისწერო შედეგებისაგან, თუ ეროვნული ნდობა შესუსტებულ იქნა.

უნგრეთის სოციალისტების პროცესი

ვენა, 13 ივლისი. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის 11 წევრის პროცესზე, რომელიც დებრეცენში სწარმოებს, ბრალდების მოწმედ გამოვიდა სოციალ-დემოკრატი დეპუტატი რეიზინგერი. მისი ჩვენება არსებითს არაფერს იძლეოდა სასამართლო ძიებისათვის.

ბრალდებულთა დამცველი ამტკიცებდა, რომ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია ლეგალურ პარტიას წარმოადგენს, რომელიც მომავალ საპარლამენტო არჩევნებში თავის კანდიდატებს აყენებს.

სასამართლომ ყველა ბრალდებულები გაამართლა ბრალდებათა დაუმტკიცებლობის გამო.

ბელგიის ფრანკი ლონდონის ბირჟაზე

ლონდონი, 14 ივლისი. ბელგიის ფრანკმა ძალიან აიწია ლონდონის ბირჟაზე: დღეს სტერლინგი 215½ ფრანკი ღირს, მაშინ როდესაც ორშაბათს 233 ფრანკი ღირდა.

ქემალ-ფაშას წინააღმდეგ შეთქმულთა საქმე

ანგორა, 13 ივლისი. სმირნის დამოუკიდებლობის ტრიბუნალში დამთავრდა ქემალ-ფაშას მოკვლის გამზრახველთა საქმის გარჩევა. 15 ბრალდებულს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. დანარჩენები გაამართლეს და განთავისუფლეს.

პროვოკატორ ვიშნის პროცესი

მოსკოვი, 14 ივლისი. გრძელდება ბრალდებულ ვიშნის დაკითხვა.

ბრალდებული აღიარებს, რომ ის 1919 წლიდან დაწყებული არ მუშაობდა, მოგზაურობდა უნგრეთში, ჩეხო-სლოვაკიაში, ავსტრიაში, სამხრეთ-სლავიაში, თავი მოჰქონდა პოლიტემიგრანტად და ცხოვრობდა მუშათა ორგანიზაციების დახმარებით. მრავალჯერ აპატიმრებდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ ყოველთვის ანთავისუფლებდნენ.

ვიშნი მოუთხრობს სასამართლოს, რომ უნგრეთის პოლიტიკურმა პოლიციამ ის ჩარიცხა აგენტად და დაარიგა, როგორ მოქცეულიყო, რომ უნგრეთის სოციალისტურ პარტიას ის გაეგზავნა საბჭოთა კავშირში პოლიტ-ემიგრანტად.

საბჭოთა კავშირში ის ჩამოვიდა ცოლთან ერთად, მაგრამ მისთვის ძალიან ძნელი გახდა უნგრეთის პოლიციის მიერ დაკისრებული ამოცანის შესრულება, სახელდობრ: კომინტერნთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან კავშირის დაჭერა. ის ცდილობდა საკავშირო კომპარტიაში შესვლას, მაგრამ ვერ მოახერხა.

ვიშნის შემდეგ დაკითხულ იქნენ მოწმეები.

ახალი აფეთქებანი

ლონდონი, 14 ივლისი. ნიუ-ჯერსეის ცნობით, კიდევ აფეთქდა თოფის წამლის სამი საწყობი და ირგვლივ მთელი ადგილი 14 დიუმიან ყუმბარებით და შრაპნელებით დაფარა.

სამხედრო სამსახურში გაწვევა

მოსკოვი, 14 ივლისი. საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანებით 1904 წელში დაბადებულ მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევა 15 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე იწარმოებს.

საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის მიმართვა

მოსკოვი, 14 ივლისი. საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირის ცეკამ წერილით მიმართა ყველა საკავშირო ორგანიზაციებს, რომელშიც სთხოვს მათ, რომ განაგრძონ ფულის მოგროვება ინგლისის სამთამადნო მუშების დასახმარებლად და შეკრებილი ფული დაუყოვნებლივ გადაგზავნონ დანიშნულებისამებრ.

თვითმფრინავი „ისკრა"

ბაქო, 14 ივლისი. დღეს, საღამოს 5 საათ. 32 წ. მოფრინდა თვითმფრინავი „ისკრა", რომელსაც მართავს მფრინავი მოისეევი. თვითმფრინავს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს აზერბეიჯანის ავიაქიმის განყოფილების, სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. მისალმებათა შემდეგ ავიაქიმის სახელით მფრინავსა და მექანიკს გადასცეს ადრესები და ჟეტონები საკავშირო მასშტაბით სისწრაფის რეკორდის მოხდენის აღსანიშნავად.

დღეს ღამით განზრახულია თვით მფრინავის თეირანში გადაფრენა. მფრინავების სულიერი განწყობილება საუცხოვოა.

თვით მფრინავმა გაიარა 2.500 კილომეტრი, დარჩა კიდევ გასავლელი 750. მისი საშუალო სისწრაფე 160—170 კილომეტრს უდრის. თვითმფრინავი თეირანში 2 დღის დარჩება.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

რემედასის შეფობა

ბაქო, 14 ივლისი. აზერბეიჯანის რემედასმა იკისრა ახალი შეფობა ოსმალეთის პოლიტ-ტუსაღებზე.

დღემდე რემედასი შეფობას უწევდა ტირნოვის ციხეს ბულგარეთში და ქალაქ შვეიდნიცის ციხის ზემო-სილეზიაში.

რადიო-სადგური

ბაქო, 14 ივლისი. **ამ მოკლე ხანში ბაქოში გაიხსნება შორს-მაუწყებელი რადიო-სადგური.** აზერბეიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტის სააგიტ.-საპროპ. განყოფილების კომისიამ დაადგინა სთხოვოს სახ. კომ. საბჭოს კომისიას, რომ მაზრებში გაგზავნონ ამხანაგები რადიო-მიმღებთა დადგმის შესაძლებლობის გამოსარკვევად.

ბრძოლა მალარიასთან

ბაქო, 14 ივლისი. მაზრებში მალარიასთან ბრძოლის მიზნით, გამოყოფილია 4 საექიმო რაზმი.

სამი მათგანი უკვე შეუდგა ჯებრაილის მაზრის გამოკვლევას, მეოთხე რაზმი შამქორის მაზრაში მუშაობს. მთელ რიგ მაზრებში სწარმოებს მალარიის სადგურების შეკეთება. ახალ სამეურნეო წლამდე სადგურების რიცხვი 30-დე იქნება აყვანილი.

იარმუკის შენობის აშენებისათვის

ბაქო, 14 ივლისი. ბაქოს საბაზრო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა, რათა მიეცეს მას 174.360 მანეთი იარმუკის შენობის დასამთავრებლად.

მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესება

ბაქო, 14 ივლისი. „აზნევტის" **მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად მიმდინარე წელში განზრახულია 1.900.000 მანეთის დახარჯვა.** ამ თანხიდან 200.000 მანეთი გადაიდება უბედურ შემთხვევებთან ბრძოლისათვის, მუშათა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად—250.000 მანეთი, წარმოების შენობათა და მუშების საცხოვრებელ ბინების გასათბობად—520.000 მანეთი, სპეცტანისამოსისათვის—850.000 მანეთი.

კრედიტი მეთამბაქოებისათვის

ბაქო, 14 ივლისი. აზერბეიჯანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკისაგან მიიღო აზერბეიჯანის რესპუბლიკის მეთამბაქოებისათვის მესამე კვარტალში მოკლევადიანი სესხის მისაცემად 42.200 მენათი და გრძელვადიან სესხის მისაცემად—17.200 მანეთი.

პროფესორთა მივლინებები

ბაქო, 14 ივლისი. მეცნიერული მიზნით მივლინებაში გაიგზავნა ლენინგრადსა, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში აზერბეიჯანის უმაღლეს სასწავლებლების 20 პროფესორი და მასწავლებელი.

აგურის ქარხანა

განჯა, 14 ივლისი. **განჯაში გაიხსნება კომუნალურ წარმოებათა ტრესტის ახალი აგურის ქარხანა.**

სომხეთი

ახალი ქარხნის ამუშავება

ერევანი, 14 ივლისი. **გორისაში ამუშავდა სახელმწიფო მექანიკური ქარხანა. ქარხანა დააკმაყოფილებს ფართო მოსახლეობის მოთხოვნილებებს.**

სას.-სამ. გადასახადი

ერევანი, 14 ივლისი. სახ. კომ. საბჭოს საგადასახადო განყოფილების ცნობით, ივნისის განმავლობაში მთელ სომხეთში შეკრებილია პირდაპირი გადასახადი—91.930 მანეთი, არაპირდაპირი—108.051 მან.

წვიმები

ახალ-ბაიაზეთი, 14 ივლისი. უკანასკნელ ათი დღის განმავლობაში მთელ მაზრაში განუწყვეტელი წვიმებია, რომელმაც აუტანელი პირობები შექმნა მომთაბარეთათვის.

უცხოეთში

ეკონომიური კრიზისი იტალიაში

მუსოლინის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი 9 ს. სამუშაო დღის შემოღების შესახებ. მუსოლინის მთავრობა ცხოვრებაში ატარებს თავისებურ „მომჭირნეობის რეჟიმს": აკრძალულია ახალი კაფეების, კლუბების და რესტორანების გახსნა, გაზეთების მოცულობა შემცირებულია 6 გვერდამდე და სხვ.

ყველა ამ ღონისძიებებით მთავრობას სურს იმპორტის (საქონლის შემოტანის) შემცირება მოხმარების სათანადო შემცირებით და წარმოების გადიდებით. ამავე დროს ეს ღონისძიებები ამტკიცებენ, რომ იტალია განიცდის ღრმა ეკონომიურ კრიზისს.

ფაშისტური მოძრაობა ანტიკაპიტალისტური ლოზუნგებით დაიწყო და წამოაყენა წვრილბურჟუაზიული, უტოპიური ლოზუნგები. ფაშიზმი დაპირდა იტალიის მოსახლეობას, რომ ბოლოს მოუღებს კლასობრივ ბრძოლას, დაამყარებს კლასთა თანამშრომლობას, მოსპობს სპეკულიაციას, კაპიტალისტურ ყვლეფის სისტემას დაუმორჩილებს საერთო-ეროვნულ ინტერესებს, მიწას გადასცემს გლეხობას, დააკანონებს 8 საათის სამუშაო დღეს, უზრუნველყოფს მუშებისათვის შრომის შესაფერ ხელფასს და ათასი სხვ.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მუსოლინიმ განაცხადა გენუაში, რომ თვითეულ იტალიელისათვის, რომელიც მუშაობს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ცხოვრების დამაკმაყოფილებელი პირობები. ფაშიზმი დაპირებას იძლეოდა, რომ მოაწესრიგებს ვალების საკითხს, განამტკიცებს ფინანსებს, წონასწორობას შეიტანს იტალიის ბიუჯეტში. ფაშიზმი სდევნიდა მუშებს, სისხლში ახრჩობდა გაფიცვებს, ხურავდა პროფკავშირებს, კანონიერი და არაკანონიერი გზით სდევნიდა სოციალისტებს და კომუნისტებს, აწამებდა და კლავდა იტალიის მუშათა კლასის ლიდერებს და ამავე დროს ირწმუნებოდა, რომ მისი მეთოდები იტალიას საყოველთაო კეთილდღეობამდი მიიყვანებენ: იტალია აყვავდება, შეიქმნება იტალიის დიდი იმპერია, განხორციელდება იტალიის მრავალი ათეული წლების ოცნებები და იმედებიო.

ამ ლოზუნგებით ფაშიზმმა თავის მხარეზე გადაიბირა გლეხობის წვრილ-ბურჟუაზიული მასები, სასოფლო-სამეურნეო მუშების მნიშვნელოვანი მასა და თვით სამრეწველო მუშების ნაწილიც.

მაგრამ ჩაიგდო თუ არა ხელში ძალა-უფლება ფაშიზმმა ყველაფერი დაივიწყა. წვრილ-ბურჟუაზიული გაზაფხული იტალიაში ხანმოკლე აღმოჩნდა. ფაშიზმი ნელ-ნელა ვითარდებოდა ფინანსიური და სამრეწველო ბურჟუაზიის დიქტატურის მიმართულებით; მატეოტის მოკვლისა და ფაშისტური პარტიის გენერალურ მდივნათ ფარრინაჩის დანიშვნის შემდეგ, ფაშიზმმა მოკლე ხნით თითქმის კიდევ იბრუნა პირი წვრილ-ბურჟუაზიული მასებისაკენ, მაგრამ, როგორც კი კრიზისმა განვლო, იგი კვლავ გადაიქცა მსხვილი ბურჟუაზიის იარაღად.

მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ფედერცონიმ ფარინაჩი, რომელიც წვრილ-ბურჟუაზიული მასების იდეალებს იცავდა. ფინანსიური კაპიტალის წარმომადგენელი ვოლპი დანიშნულ იქნა ფინანსთა მინისტრათ და იტალია გადაიქცა ამერიკული კაპიტალის „საქმიანობის" ასპარეზათ.

მუსოლინიმ აღუთქვა ხალხს, რომ „მოიგებს ბრძოლას პურისათვის", ე. ი. იმდენათ შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას, რომ იტალიას არ დასჭირდება პურის შემოტანა უცხოეთიდან. ფინანსთა მინისტრი ვოლპი საჯაროდ აცხადებდა, რომ ბიუჯეტი შედგენილია უდეფიციტოთ. ყველა ფაშისტური ბელადები ერთხმად აღნიშნავდენ, რომ იტალია ერთად-ერთი სახელმწიფოა, სადაც „წმინდათ" არის დაცული 8 საათის სამუშაო დღე. ინგლის-ამერიკის ფინანსიური კაპიტალი ფართო დახმარებას უწევდა ფაშიზმს. ამერიკამ სამი მეოთხედით შეუმცირა იტალიას ვალი (ეს იმ დროს, როცა „საყვარელმა" ბელგიამ, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ძლივს მოახერხა ვალის შემცირება 50 პროცენტით). ინგლისთანაც ხელსაყრელი ფინანსიური ხელშეკრულება დაიდვა. ინგლისის კაპიტალის დახმარებით, იტალიამ გზა გაიკაფა ბალკანეთზე და რუმინეთი, საბერძნეთი, სამხრეთ-სლავია და ალბანეთი იტალიის კაპიტალის სამოქმედო ასპარეზათ გადიქცენ.

თვით იტალიაში საშინელის სისასტიკით ებრძოდენ გაფიცვებს. ყველა პროფკავშირები, გარდა ფაშისტურისა, დაშლილ იქმნენ. მუსოლინი, როგორც კორპორაციების (პროფკავშირები მუშებისა და მეწარმოებლების მონაწილეობით, მინისტრი, დაპირებას იძლეოდა, რომ ჩამოაგდებს კლასობრივ ზავს, ბოლოს მოუღებს გაფიცვებს და დაამყარებს კლასთა თანამშრომლობას.

მდგომარეობას არაფერმა არ უშველა.

ფაშიზმმა ვერ შეასრულა ვერც ერთი დაპირება, რომელიც თავის განვითარების პირველ პერიოდში მისცა წვრილბურჟუაზიულ მასებს და მუშებს. იგი აშკარად ადგა მსხვილი ბურჟუაზიის მხარეზე, უკუაგდო ყველა სოციალ-დემაგოგიური ლოზუნგები და თავისი თავი გამოაცხადა კაპიტალისტური ყვლეფის იარაღათ.

ფაშისტური მთავრობის უკანასკნელმა დეკრეტებმა ფარდა ახადეს იმ ღრმა ეკონომიურ კრიზისს, რომელსაც ახლა იტალია განიცდის: იმპორტი (საქონლის შემოტანა) სჭარბობს ექსპორტს (საქონლის გატანას), არ არის ნახშირი, საკმაო რაოდენობით არ მოიპოვება პური, სახელმწიფო კაპიტალების ნაკლებობას განიცდის, ყოველ წლიურად იტალიას 500.000 მცხოვრები ემატება და ამიტომ მწვავედ დგას ამ ზედმეტი მოსახლეობის დასახლების საკითხი. ომის დროს ჩრდილოეთ იტალიაში განვითარდა მძიმე მრეწველობა, რომელსაც ახლა საკმაო რაოდენობით არ მოეპოვება არც ნახშირი და არც ნედლი მასალა. შინაური ბაზარი არ არის საკმაო იტალიის მრეწველობისათვის. შინაური და საგარეო ვალები მძიმე ტვირთად აწევება მოსახლეობას. ლირის კურსი ეცემა, სიძვირე იზრდება.

იტალიელი მუშები, გლეხები და ფაშისტების მიერ მოტყუებული წვრილ-ბურჟუაზიული მასები შესაფერ დასკვნებს გამოიტანებენ ამ ფაშისტური „ფერისცვალებიდან".

ილია ილიას-ძე მეჩნიკოვი

(გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების გამო. 15 ივლისი 1916-1926 წ.)



ი. ი. მეჩნიკოვი

დღეს შესრულდა ათი წელი ცნობილი მეცნიერის და შესანიშნავი მოაზროვნის ი. ი. მეჩნიკოვის გარდაცვალების დღიდან.

ვინ იყო მეჩნიკოვი? რა წვლილი შეიტანა მან მეცნიერების დარგში? როგორი იყო მისი მსოფლმხედველობა?

ილია ილიას ძე მეჩნიკოვი დაიბადა 1845 წ. 3 მაისს, ხარკოვის გუბერნიაში, შეძლებულ მემამულის ოჯახში. მისი დედა იყო ებრაელი პოეტის ნევახოვიჩის შვილის შვილი. ამ ოჯახიდან გამოვიდნენ საკმაოდ თვალსაჩინო პირები. ილიას უფროსი ძმა ივანე ცნობილი ვექილი და პირადი მეგობარი იყო მწერალ ლევ. ტოლსტოისა, მეორე ძმა, ლევანი ცნობილი გეოგრაფი, პუბლიცისტი და რევოლიუციონერი. ილია იყო მეხუთე შვილი ოჯახში. მას იმთავითვე კულტურულ ოჯახში უხდებოდა ცხოვრება. რვა წლის პატარა ილიას ამეცადინებდა სტუდენტი ბუნებისმეტყველი ხოდნევი, რომელსაც დაჰყავდა ის ექსკურსიაზე და მალე შეისწავლა მთელი ხარკოვის ფლორა (მცენარეულობა). მეჩნიკოვმა 1862 წ. ოქროს მედალზე დაამთავრა გიმნაზია და შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, რომლის 4 წლის კურსი 2 წლის განმავლობაში შეისწავლა და ჩააბარა გამოცდები კანდიდატის ხარისხზე 19 დეკ. 1864 წ.

უნივერსიტეტში პირველ ხანებში მეჩნიკოვი მუშაობდა ფიზიოლოგიის პროფესორის შჩელკოვის ხელმძღვანელობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მეჩნიკოვი გაემგზავრა ევროპაში, სადაც დაჰყო ორი წელი და 1866 წ. პეტერბურგში დაიცვა დისერტაცია Sepiola-ს (უხერხ. ცხოვ. ჯგუფ.) განვითარების ისტორიაზე და არჩეულ იქნა ზოოლოგიის დოცენტათ ნოვოროსიის უნივერსიტეტში, ხოლო 1870 წ. კი არჩეულ იქნა ამავე უნივერსიტეტის ზოოლოგიის პროფესორად.

ოჯახური ცხოვრება მეჩნიკოვისა დასაწყისში ვერ მოეწყო სასურველად. მისი პირველი ცოლი ჭლექით დაავადებული აღმოჩნდა. ამას დაერთო ნივთიერი ხელმოკლეობა მეჩნიკოვისა და ასეთ პირობებში დაჰკარგა მან ცხოვრების მეგობარი. მეჩნიკოვი ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რომ თვითმკვლელობაც კი განიზრახა. მას არ შეეძლო უმეგობროდ ცხოვრება: ის ეძებდა ადამიანს, რომელიც შეიძლებდა მის გაგებას, თანაგრძნობას და დახმარებას გაუწევდა მეცნიერულ მუშაობაში. მეჩნიკოვმა გადასწყვიტა ასეთი მეგობარი თითონ მას აღეზარდა. ასეთი შემთხვევაც მიეცა მას. მეჩნიკოვი აძლევდა ბუნებისმეტყველების გაკვეთილებს იმავე სახლის მდგმურს, სადაც თითონ ცხოვრობდა — ნიკოლოზ ბელოკოპიტოვის ასულს ოლღას, რომელიც შემდეგ კიდეც შეირთო. არჩევანში მეჩნიკოვი არ შემცდარა: ოლღა ნიკოლოზის ასული მისი ცხოვრების საუკეთესო ამხანაგი და მეგობარი გახდა.

მეჩნიკოვი მთელ თავის სერიოზულობასთან ერთად პირად ცხოვრებაში ცოცხალი და ხუმარა კაცი იყო; მას უყვარდა მუსიკა და თეატრი, თუმცა ტრაგედიაზე არ დადიოდა, რადგან წარმოდგენისას ტირილს ვერ იკავებდა (**Мельник: „Введение К изучен. Мечникова."**).

მეჩნიკოვს ყოველთვის ახასიათებდა ძლიერი შინაგანი რწმენა და მეცნიერული პრობლემებით გატაცება. მაგრამ მაშინდელი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება სრულიად არ უწყობდა ხელს მეცნიერების განვითარებას და მეჩნიკოვიც იძულებული შეიქნა დაეტოვებია რუსეთი და ევროპას შეხიზნებოდა. იმდენი ტკივილები მიაყენა მეჩნიკოვს ძველმა რუსეთმა, რომ მისი გული შემდეგ აღარ გამთბარა სამშობლოს მიმართ და ის გამოეთხოვა წუთისოფელს, როგორც მსოფლიო მასშტაბით სახელგანთქმული პროფესორი. „თქვენი ცეცხლი,—სწერდა მეჩნიკოვს პროფ. ე. რუ,—რწმენას ანიჭებს სკეპტიკოსსაც და გულცივსაც ცეცხლოვნად აქცევსო". და მართლაც, მისი ნათელი და უბრალოდ გამოთქმული მეცნიერული და გასაგები ხდება ყველასათვის. პარიზში, პასტერის სახელობის ინსტიტუტში, მეჩნიკოვმა 30 წელი დაჰყო. მან მთელი ენერგია [illegible] შესწირა.

თავისი ინტელექტის მთელი მეცნიერულ-ფილოსოფიური გასაქანით ეკვეთა იგი იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც ყოველ საუკუნეში აფიქრებდა და აღელვებდა მოაზროვნე ადამიანს. რა აზრი აქვს ჩვენს ცხოვრებას? შეიძლება თუ არა სიკვდილის დათრგუნვა ან სიცოცხლის გახანგრძლივება? როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორი უნდა იყვეს ჩვენი პრაქტიკული ფილოსოფია,—აი საკითხები, რომლებიც მეჩნიკოვის **რაციონალური მსოფლმხედველობის** ქვაკუთხედს შეადგენენ. მეჩნიკოვმა თავისი ნაშრომებით გაამდიდრა ბიოლოგიურ მეცნიერებათა მთელი რიგი. მისი ნაშრომები დიდის ინტერესით იკითხება ყოველთვის. მეჩნიკოვი გარდაიცვალა პარიზში 1916 წ. 15 (2) ივლისს, უკიდურესი პესიმისტი ახალგაზრდობაში, ის მოკვდა ოპტიმიზმით გაჟღენთილი, თავისი ორიგინალური თეორიის მემდევარი და მის მიერ შემუშავებული გონებრივი ცხოვრების პრინციპების პრაქტიკულად გამტარებელი.

ჩუმი, ენერგიული მუშაკი, ყოველმხრივ განათლებული და დიდად განვითარებული მეჩნიკოვი გვერდში ამოუდგა კაცობრიობის უდიდეს მეცნიერებს.

განვიხილოთ, რა სთქვა მეჩნიკოვმა, გავეცნოთ მისი მსოფლმხედველობა.

ადამიანის ბუნების შესწავლა, მისი რაობის გამოცნობა, მოხუცებულობის მიზეზები, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემები,—აი, რა აინტერესებდა მეჩნიკოვს. საიდან წარმოიშვა ადამიანი? რა იწვევს მის დაბერებას და სიკვდილს? როგორ შეიძლება გავახანგრძლივოთ ჩვენი სიცოცხლე—აი რა კითხვებით იყო გატაცებული მეჩნიკოვი.

მეჩნიკოვს დიდი ერუდიცია ჰქონდა და მისი ტალანტი მრავალმხრივი იყო. ზოოლოგი, ანტროპოლოგი, მიკრობიოლოგი, პათოლოგი, და ბოლოს შესანიშნავი მოაზროვნე—ფილოსოფოსი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში იმუშავებდა რაციონალურ მსოფლმხედველობას, აი ვინ იყო მეჩნიკოვი. ჩვენც ამჟამად სწორეთ ეს უკანასკნელი მხარე გვაინტერესებს, რადგან მეჩნიკოვის შემოქმედების მთლიანი განხილვა ჩვენ შორს წაგვიყვანდა.

მეჩნიკოვის რაციონალური მსოფლმხედველობა მოცემულია მის სამ ნაშრომში: 1) „Этюды о природе человека", 2) „Этюды оптимизма", 3) „Сорок лет искания рационального мировоззрения", რომელსაც ყველა კულტურული ადამიანი უნდა იცნობდეს. ის ინტელექტუალური მემკვიდრეობა, რომელიც მოცემულია აღნიშნულ ნაშრომებში, ბევრჯერ გამხდარა და მომავალშიაც შეიქნება კვლევისა და შესწავლის საგანი. პირველ ნაშრომში მეჩნიკოვი ამტკიცებს, რომ ჩვენ, ადამიანები, არ ვართ სრულქმნილი არსებანი, რომ ჩვენი ორგანიზმი დისჰარმონიულია, რასაც ამტკიცებს სქელი ნაწლავის, ბრმა წილის, სიბრძნის კბილების და სხვა რუდიმენტალური ორგანოების არსებობა. მაგრამ დისჰარმონია მეფობს მთელს ორგანიულ სამეფოში: აქ ძლიერი სჩაგრავს სუსტს, ცხოველი სჭამს თავის შვილს და სხვ.

ადამიანის ორგანიზმის შესწავლა ადასტურებს, რომ იგი უფრო ახლოს სდგას ანტროპომორფიულ მაიმუნებთან: გორილასთან, შიმპანზესთან და ორანგუტანგთან, ვიდრე ეს უკანასკნელი სხვა მაიმუნებთან. მსგავსება ემბრიოლოგიურ მდგომარეობაში და სისხლის შეზავებაში ხომ ცხადჰყოფენ ჩვენს ახლო ნათესაობას მაიმუნებთან. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ—როგორც ვთქვით—ადამიანის ორგანიზმი არ არის სრულქმნილი: მის აგებულებაში ბევრი ისეთი ნაწილებია, რომლებიც უსიამოვნებისა და ტანჯვის მიზეზები ხდებიან. მეჩნიკოვი ამტკიცებს, რომ ადამიანი მეტს იცოცხლებდა, რომ მას სქელი ნაწლავი არ გააჩნდეს. ბრმა ნაწლავი თუ რა ტანჯვას აყენებს ადამიანს, ეს ხომ ყველასათვის ცნობილია. ე. წ. სიბრძნის კბილების ამოსვლაც რამდენს ტანჯვას გვაყენებს ჩვენ და ამავე დროს დღეს მას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თვით ჩვენი მოხუცებულობა და სიკვდილი არ არის ბუნებრივი, ფიზიოლოგიური მოვლენა, იგი უფრო პათოლოგიურია (ავადმყოფური); ჩვენ ბუნებრივი სიკვდილით კი არ ვკვდებით, არამედ უფრო ადრე, იმიტომ, რომ ჩვენი სხეული ნიადაგ იჟამლება თვალით უჩინარ პატარა ცხოველებით—მიკრობებით, რომელნიც მომნელებელ ორგანოში და ნაწლავებში ხვდებიან და სწამლავენ მას. ჩვენი უდროვო სიკვდილიც ამით არის გამოწვეული. მეცნიერებამ უნდა გამოიგონოს საშუალება ადამიანის სხეულის გასაჯანსაღებლად და ნორმალური პირობების შესაქმნელად, რომ ჩვენ იმდენი ვიცოცხლოთ, რამდენიც ჩვენს სხეულს ფიზიოლოგიურად შეუძლია.

მეჩნიკოვმა დაამტკიცა, რომ თვით ჩვენი ორგანიზმი აწარმოებს დიდ ბრძოლას თავის დასაცავათ. ასე მაგალითად, ლეიკოციტები ებრძვიან ჩვენს სხეულში შემოჭრილ მიკრობებს მოსასპობად. ფაგოციტოზი ერთი ხერხთაგანია ბრძოლისა, რომელსაც ორგანიზმი თავის დასაცავათ აწარმოებს. ჩვენ ხელოვნურად უნდა შევაკეთოთ ორგანიზმი და ხელი შეუწყოთ ჩვენს სხეულს ამ ბრძოლაში. ნორმალური ცხოვრებისა და ჭამა-სმის რეჟიმის შექმნა (მცენარეულობა, მაწონი) ხელს შეუწყობს ჩვენი სიცოცხლის გახანგრძლივებას. ხოლო როცა ჩვენ ორტობიოზს მივაღწევთ და ჩვენი სხეული ბუნებრივად დაბერდება, მაშინ ჩვენს სხეულში აღმოცენდება ბუნებრივი სიკვდილის ალღო (ინსტიქტი), ჩვენს არსებაში გაქრება სიკვდილის შიში და ჩვენ ისე მოგვინდება სიკვდილი, როგორც დაღლილობის შემდეგ დასვენება ან წყურვილის დროს ცივი წყალი.

მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა მეჩნიკოვი და სწყვეტდა საკაცობრიო პრობლემებს ზოგად ბიოლოგიურის თვალსაზრისით.

როგორც ვთქვით,—მეჩნიკოვის აზრით, ადამიანის სიბერე-მოხუცებულობა და თვით სიკვდილიც არ არის ბუნებრივ-ფიზიოლოგიური მოვლენა. ამიტომაც ჩვენ ასე გვეშინია სიკვდილის. საიქიო ცხოვრების ილუზია და თვით რელიგიური მოძღვრებანიც ამ ნიადაგზე წარმოშობილია. ადამიანს არ აკმაყოფილებდა ამ ქვეყნიური ცხოვრება, რომელიც ასე ხანმოკლე არის და იმ ზღაპარით ინუგეშებდა თავს, რომ საიქიოში განაგრძობდა ამ ქვეყანაზე უდროოდ შეწყვეტილ ცხოვრებას. მეჩნიკოვს ასეთი საოცარი მაგალითიც მოჰყავს: კუნძულ ფიჯის მცხოვრებთ ისე ღრმად სწამდათ საიქიო ცხოვრება, რომ თურმე ცოცხალ მოხუცებულ ადამიანს ჰკლავენ (შვილები დედ-მამას) იმ მოსაზრებით, რომ მოხუცებულთათვის ცხოვრება არც ისე სასიამოვნოა, ხოლო საიქიოში განაგრძობენ ახალგაზრდულ მარადიულ ცხოვრებას. ასეთ სისულელემდის მიდის ამ ქვეყნიური ხანმოკლე სიცოცხლით უკმაყოფილო და სარწმუნოების ნიადაგზე დამდგარი ადამიანი.

ფილოსოფიურ და რელიგიურ მოძღვრებათა გაცნობამ ვერ დააკმაყოფილა მეჩნიკოვის მაძიებელი სული. ის დარწმუნდა, რომ უმწეოა ადამიანი, რომ უსაზღვროა მისი სევდა იმის გამო, რომ სიკვდილი ჩვენი აუცილებელი ხვედრია. და თუ ბუნების კანონს ვერ შევცვლით, თუ სიკვდილის დათრგუნვა ჩვენ არ ძალგვიძს, მაშინ რით და ვინუგეშოთ თავი?

მეჩნიკოვის აზრით, ადამიანმა ისევ მეცნიერებას უნდა მიმართოს. სიცოცხლის გახანგრძლივება შესაძლოა გონივრული ცხოვრების მეოხებით. ორტობიოზი—აი, რას უნდა მივაღწიოთ ჩვენ. და ცხოვრების აზრიც—მეჩნიკოვის გაგებით—ასეთ ნორმალურ ცხოვრების შექმნაში და ბუნებრივ სიკვდილში უნდა ვეძიოთ.

მეჩნიკოვის სიკვდილის შემდეგ, რასაკვირველია, მეცნიერების მაჯის ცემა არ შეჩერებულა: ის დაუცხრომლად მიისწრაფის წინ. და დღეს, ჩვენი ცხოვრების საერთო განახლების ჟამს, დიდ მიღწევებსაც აქვს ადგილი. დიდმა მეცნიერმა ევგენი შტეინახმა, ცხოვრების გახანგრძლივების მიზნით, გაახალგაზრდავების ცდები მოახდინა და ის, რაზედაც მეჩნიკოვი ოცნებობდა, რეალურ ფაქტათ აქცია. ბიოლოგია გაჰყვა ილია მეჩნიკოვის მიერ გაკაფულ გზას და გაამართლა იგი. ხოლო ორტობიოზი—ნორმალური ცხოვრების შექმნა მხოლოდ კომუნიზმის დამყარების შემდეგ იქნება შესაძლებელი. მეჩნიკოვი კი დარჩება მეცნიერების ისტორიაში, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ადამიანის სიცოცხლეს უვლიდა და სდარაჯობდა.

მ. ვასაძე.

ქართული ემიგრაციის დაშლა

2. ირ. წერეთელის „ოპოზიცია" და ნ. ჟორდანიას პოზიცია

ემიგრაციის მენშევიკურ ნაწილში საკმაოდ სერიოზულმა უთანხმოებამ იჩინა თავი პარტიული პოლიტიკის საკითხებში, დიდი ხანია შეიქმნა ოპოზიცია, რომელსაც ირ. წერეთელი მეთაურობს. უკვე ორი წელია, რაც ის ამ ოპოზიციის ბელადათ ითვლება და გარკვევით უნდა ითქვას: მან ამ ხნის განმავლობაში გამოიჩინა თავისი მენშევიკური, განსაცვიფრებელი თვისება—ყოველთვის შეგუება, ორ სკამზე ჯდომა, უკან დახევა. და ეს მოხნილი წერეთელი ასრულებს შუამავლის როლს, კისრულობს მუშების შერიგებას პარტიასთან, ურჩევს მუშებს არ დასტოვონ პარტია. „თქვენ ოპოზიციაში ხართ, თქვენ უკმაყოფილო ხართ პარტიის პოლიტიკით??—ეუბნება ის მუშებს. მეც თქვენთან ვარ. მეც ოპოზიციაში უდგივარ ბიუროს. მაგრამ დაიცადეთ, ნუ მიდიხართ. ჩვენ ერთად ყველაფერს გამოვასწორებთ, ყველაფერს მოვაგვარებთო"...

მაგრამ დრო გადის, წერეთელი კი წინანდებურათ „ოპოზიციაში" რჩება, ტკეპნის ერთ ადგილს. მუშებს ყველაზე უფრო მემარცხენე, რევოლიუციონური ელემენტები ვეღარ ითმენენ, ისინი სტოვებენ პარტიას, ბრუნდებიან საბჭოთა სამშობლოში. წერეთელი კვლავ რჩება ერთგულ მენშევიკად, ხელს აფარებს უთანხმოებას, ცდილობს მის მოგვარებას. მართალი უნდა ითქვას, რომ **ამ მხრივაც წერეთელი შეიძლება ვირტუოზად** ჩაითვალოს „ოპოზიციობის" თამაშში. ჯერ თვითონ ემიგრანტებს მივსცეთ სიტყვა წერეთელის შესახებ და შემდეგ შეუდგეთ წერეთელის უკანასკნელი თეზისების გარჩევას.

აი, რას სწერს მეხუნლა (წერილი 1925 წ. 21 იანვრით დათარიღებული): „რა სთქვა წერეთელმა? მისი პირველი მოხსენება და შემდეგ მისი განმარტებები მდიდარია ფაქტებით, რომელიც შეეხება მისი ხუთი წლის მუშაობას ევროპაში. წერეთელმა სთქვა: **უგუნურობად და თვით ბოროტმოქმედებათაც უნდა ჩაითვალოს ყოველივე ის, რაც მოხდა საქართველოში,** მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ევროპის სახელმწიფო მოღვაწეებმა აშკარად გაგვიცხადეს: ისინი ვერავითარ რეალურ დახმარებას ვერ გაგვიწევენ და უბრალო მეთვალყურეები იქნებიან იმისა, რაც საქართველოში მოხდება. ჩვენ გვაინტერესებს იმის გაგება, რისი გულისთვის და ვის სასარგებლოდ მოხდა ეს აქტი. ჩვენი მეგობარი - სოციალისტები ევროპაში და მე-2 ინტერნაციონალის ხელმძღვანელები გვაფრთხილებდენ ჩვენ არ გადაგვედგა სახიფათო ნაბიჯი, ვინაიდან ის არა თუ წინ ვერ წასწევს ჩვენს საქმეს, არამედ, პირიქით, შეიძლება ზიანიც მიაყენოს მას. ისინი ჩვენ გვეუბნებოდენ: **თუ ჩვენმა მთავრობებმა რაიმე დაპირება მოგცეთ დახმარების აღმოჩენის შესახებ გადამწყვეტ მომენტში,** და თუ მრავალი მოსაზრებით ამ დაპირებას ისინი არ შეასრულებენ, ამაში ჩვენ არავითარი ბრალი არ დაგვედოთ, ვინაიდან ჩვენ ყოველთვის საქართველოს მეგობრები ვიყავითო. ყოველივე ეს ჩემს (ე. ი. წერეთელს) გარდა იცოდენ ჩვენი მთავრობის (ე. ი. ცრუ, მენშევიკური მთავრობის) წევრებმა და ნუ თუ მათ, რომ მოინდომებიათ, არ შეეძლოთ თავიდან აეცილებიათ ის, რაც მოხდა და რაც სწორედ ისე უნდა მომხდარიყო, ძალთა განწყობილების გამო, როგორც ის დამთავრდა. განა მათ არ შეეძლოთ არა თუ შეეჩერებიათ ეს აჯანყება, არამედ ისე მოეხერხებიათ, რომ ის სრულებით არ დაწყებულიყო? მთავრობას შეეძლო დაერწმუნებია ხალხი იმაში, რომ ეს დიდი უბედურებით გათავდებოდა, მაგრამ ის არა თუ ასე არ მოიქცა, არამედ ახლაც კი ლაპარაკობს, რომ ყოველივე ეს მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყოო. ერთი სიტყვით, ირაკლი, როგორც კერძო საუბარში, ისე კრებებზე ლაპარაკობს: **მე მინდოდა ყოველივე ეს თავის დროზე გამეგებინებია აქაც—ჩემი ამხანაგებისათვის და იქაც—საქართველოში, მაგრამ ჩემი ამხანაგები აქაურ ბიუროში ყოველთვის პროტესტს აცხადებდენ ამის წინააღმდეგ და ნებას არ მაძლევდენ ეს საჯაროთ გამეცხადებია.** ისინი ამტკიცებდენ, რომ ხალხი ამით სასოწარკვეთილებას მიეცემა და ეს გამოიწვევს მის შერიგებას არსებულ მდგომარეობასთანო.

კერძო საუბარში მე მას ბრალს ვსდებდი დუმილში და ვაკისრებდი პასუხისმგებლობას ასეთი დუმილის შედეგებისათვის. შენ ჩვენ არ შეგვატყობინებდი აი შენი დუმილის შედეგები—ვეუბნებოდი მას. ამაზე ის დამეთანხმა. მან თავი დამნაშავედ სცნო და გვითხრა: ეხლა, როცა ვხედავ, რომ ჩემს თვალსაზრისს იზიარებს ჩემი ამხანაგების [illegible] ვერ შემაშინებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ თავისი შეასრულეს. ყოველივე ეს განაცხადა კრებაზე და სთქვა, რომ აქამდე მას აიძულებდენ ჩუმად ყოფილიყო... **მე არ მინდოდა**—სთქვა მან—რომ მარტო **მე ჩავეთვალეთ საქართველოს მოღალატედ,** მაგრამ, ვინაიდან ზოგიერთები, ყოველ შემთხვევაში, ეთანხმებიან ჩემს მთავარ დებულებას, ეხლა მე უკვე აღარ ვსდუმვარ"... (რა გაბედულათ არის ეს ნათქვამი, მოქ. წერეთელო!) ფრანგები ლაპარაკობენ: სტილი — ეს თვითონ ადამიანია. როგორი უმწეო, უხერხემლო, მხდალი, წმინდა მენშევიკური სტილი აქვს ამ წერეთელს. ის უგუნურებად და დანაშაულობად სთვლიდა ავგისტოს ავანტიურას, მაგრამ ამის შესახებ არავის არაფერი უთხრა. მან—პარტიის ერთ-ერთმა ბელადმა — ყველაფერი იცოდა და კრინტიც არ დასძრა.

განა შეიძლება ასე მოურიდებლად თამაში ხალხის ბედით,—განა ეს „ოპოზიციობიას" თამაში არ არის? განა ასე იქცევიან მასების ბელადები და ხელმძღვანელები,—ეს ხომ ამ მასების სავსებით აბუჩად აგდებაა, ეს ხომ ნამდვილი დანაშაულობაა. განა მომხდარი ავანტიურის შემდეგ რამეს ნიშნავს თავისი დანაშაულის და „პასუხისმგებლობის" „აღიარება"? მაშ რატომ ხდება ეს? ჯერ ერთი წერეთელის წვრილბურჟუაზიული უხასიათობის გამო, და გარდა ამისა იმიტომ, რომ მთელი თავისი ოპოზიციონურ განწყობილების მიუხედავად, წერეთელი მაინც მოწადინებულია იხსნას მენშევიკური პარტია აუცილებელ გახრწნისა და დაშლისაგან. რომ წერეთელი ბრძოლისათვის უვარგისია, ამის შესახებ თვით მარო მახარაშვილი შემდეგს სწერს (წერილი 1926 წ. 15 თებერვლით დათარიღებული):

„აქაური სოციალ-დემოკრატია ორ ბანაკათ არის გაყოფილი. ერთია ოპოზიცია—კაკი წერეთელის მეთაურობით, მეორე ნაწილი იცავს პოზიციას, მისი სულისჩამდგმელია ნოე რამიშვილი თავისი ჯაშუშებით. არის კიდევ ეგრედ წოდებული ცენტრი, რომელსაც ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე და (გაურკვეველია) მეთაურობს. მე ამ უკანასკნელ ჯგუფს ცენტრს ვუწოდებ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი ნოე რამიშვილის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. შენ ალბათ გიკვირს საიდან ვიცი მე ასე დაწვრილებით ყველაფერი ეს. მაგრამ ნუ [illegible] ფერს გულწრფელად მეუბნებიან. **უნდა გითხრა, რომ წერეთელი თურმე სრულებით არ ვარგებულა ბრძოლისათვის.**

დაკვირვების შემდეგ მე სავსებით შევისწავლე ნოე რამიშვილი. თავის მიზნების მისაღწევად ის არავითარ საშუალებას არ ერიდება. ამ ხალხს არც პატიოსნება შერჩენია და არც სინიდისი. წერეთელმა უკან დაიხია მას შემდეგ, რაც დამარცხება იგემა, ხოლო მისი ჯგუფი დაიშალა. მე ძალიან მაკვირვებს წერეთელის საქციელი. ის ზედმიწევნით კარგათ იცნობს რამიშვილს და მაინც უთმობს მას; ალბათ არ შეუძლია ბრძოლა. **ბევრ მუშას ენატრება სახლში დაბრუნება. მათ გადასწყვიტეს, რომ ემიგრაციაში ველარ მოუღებენ ბოლოს რამიშვილის ბატონობას და ამიტომ არჩიეს საბოლოოთ იბრუნონ პირი მისგან.**

ერთ-ერთმა მათგანმა მე პირდაპირ მითხრა, რომ **მას ბოლშევიკების დიქტატურა ურჩევნია ათას წილად, ვიდრე ნოე რამიშვილის".**

იმას, რომ წერეთელი მოწადინებულია დაიცვას მენშევიკური პარტია, მოწმობს ქარსელაძის წერილი—კოლია ჭუმბურიძისადმი (1926 წ. 16 აპრილით დათარიღებული). წერილში ნათქვამია: „ამ სხდომებს (რომელზედაც ირჩეოდა კრაძის მიერ აძრული საკითხი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების შესახებ) დაესწრო **ირაკლი წერეთელიც**, რომელმაც განაცხადა, რომ ის ყოველივე ზომებს იღებს, რათა ამხანაგები დააბრუნონ და ეძებს მხოლოდ უფრო უკეთეს პირობებს ამ დაბრუნებისას. ეს არაა იმის თანახმა, რომ დაბრუნებულები პარტიიდან გავიდენ". მაშასადამე, წერეთელი თამაშობს უბრალო მაკლერის როლს, რომელიც არა თუ არ კრძალავს, არამედ პირდაპირ თვითონ ჩადის თაღლითობას. ის თითქოს **„ყოველივე ზომებს ღებულობს"** ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებისათვის, **ნამდვილად კი ატყუებს მათ.** ის თითქოს „თანაუგრძნობს" მათ. **ნამდვილად კი** მათ ურჩევს არ ჩამოშორდენ პარტიას, ვინაიდან ის ამას „არ ეთანხმება". წერეთელი ემხრობა „ოპოზიციობის" თამაშს, „მცირეოდენ შესწორებებს", მაგრამ არ ეწინააღმდეგება პარტიას. პირიქით, წერეთელი როგორც გამოქექილი მენშევიკი, ამაოდ ცდილობს მთელი ძალღონით მენშევიზმის ცოცხალი ლეშის გადარჩენას, მის გაცოცხლებას და დაცვას. მაგრამ მუშები, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება სურთ, მას არ ეკითხებიან [illegible] ისინი [illegible] ლით, უწმინდურ მენშევიკურ პარტიიდან. წერეთელი კი კვლავ რჩება ერთსა და იმავე ადგილას, რაღაც მნიშვნელოვან ამოცანების შესასრულებლად. თვითონ წერეთელი თავის წერილში (დათარიღებულია 1925 წ. 16 ივლისით) კოლია ჭუმბურიძის სახელზე ასე მოკლეთ განმარტავს თავისი „ოპოზიციის" ამოცანებს: „ეს ამოცანები კი იმაში მდგომარეობენ, რომ გამოვასწოროთ ჩვენი პარტიული ხაზი, გავაცოცხლოთ იქ ძველი სული, გამოვასწოროთ შეცდომები, **რომელთა განმეორება ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხის მოსპობას.**

ვიცი, რომ გარედან რჩევის მიცემა ადვილია, ამ რჩევის შესრულება კი ძნელი ზოგიერთ ფსიქოლოგიურ პირობებში. მაგრამ მე მაინც ჩემს აზრს ვამბობ. რაც შეეხება აქაურ ჯგუფს, ჩვენ იმ პოზიციას ვადგივართ, რომ არ ღირს შეუწყოთ ხელი გათიშვასა და ახალი ჯგუფების დაარსებას მთელი ორგანიზაციის წინააღმდეგ"...

აქაც მოსჩანს ტიპიური, „ოპოზიციონურ" საქმეებში დახელოვნებული წერეთელი: წინად ამ გაბედულ რევოლიუციონერს ეშინოდა იმისი, თუ რას იტყოდა ნოე რამიშვილი და, მაგალითად, იგივე კნეინა „მარია ალექსეევნა" (ხოლო ასეთი ნაყარ-ნუყარი—როგორც კნეინები და თავადები ბევრი ყავს წერეთელს თავის გარშემო ემიგრაციაში), ეშინოდა, რომ მარტო მას, ამ საცოდავ დაარქმევენ (და განა მარტო მას არქმევდენ?) „საქართველოს მოღალატეს" და ამიტომ დაჩუმდა, თუმცა საჭირო იყო ახმაურება და ყიჟინი, ვინაიდან საქმე შეეხებოდა აჯანყებას—„უგუნურებას" და „დანაშაულებას" (წერეთელის სიტყვებია); ეხლა მან ძალა მოიკრიბა, ალაპარაკდა, მაგრამ მაინც **ეშინია**—აქაო და ჩვენ ვასწორებთ ხაზს, ვასწორებთ შეცდომებს, (ისე, როგორც წარწერა სახელოსნოზე: ვაკეთებთ და „ვაპაჩინკებთ" ყოველგვარ ჭურჭელს), ოღონდ, როგორმე განხეთქილება არ მოხდეს. თორემ მენშევიკურ პარტია დაიღუპება და წერეთელს კი ეს არ უნდა. და უკანასკნელ მოსაზრებას—გახრწნილი პარტიის გადარჩენას—ის ყველაფერს ანაცვალებს. მაგრამ ვის რაში ესაჭიროება ძველი მოღალატე პარტია, რომელიც, როგორც სამართლიანად აღნიშნავს თვითონ წერეთელი, თავისი „შეცდომების" წყალობით **„ხელს უწყობს ჩვენი ხალხის განადგურებას".** ასეთი პარტიის მოთმენა შეუძლებელია,—ეს თავიდან ბოლომდე დამპალი პარტიაა. განა შეიძლება ასეთი დამპალი პარტიის „გამოსწორება" კეთილი წერეთელის სათნოებით სავსე რჩევით? ეს ხომ წმინდა წყლის ავანტიურიზმი—დაშნაკიზმია: დეე, განადგურდეს ხალხი, ოღონდ გაიმარჯვოს ჟორდანია-რამიშვილის სიბრძნემ. არა, **ასეთი პარტია** დაწილოცნია ჟორდანიის, რამიშვილის, წერეთლისა და ყველა იმათთვის, ვინც მათ კუდში მისჩანჩალებენ. მშრომელთა მასებს ასეთი პარტია **არ ესაჭიროება:** მათ დიდი ხანია დაიწყეს მისი დასამარება და კიდეც დაასამარებენ საბოლოოდ და სამუდამოდ. და რამდენიც არ უნდა ეცადოს წერეთელი, იმას, რაც ისტორიის მიერ განწირულია, ვერავინ ვერასოდეს იხსნის.

* * *

ეხლა გადავიდეთ წერეთელის ახალ ნაწერებსა და თეზისებზე. ჩვენს განკარგულებაშია მისი სამი წერილი, ორი მიმართვა მენშევიკების ცეკასადმი და თეზისები. ორი წერილი შეეხება იმ დისკუსიას, რომელიც დაიწყო ემიგრაციის მენშევიკურ ნაწილში ავგისტოს აჯანყების შემდეგ, იმ მთლიან ეროვნულ ფრონტის მესამე საკითხს, რომელიც ხელ-ახლა შექმნეს მენშევიკებმა სხვა ნაციონალისტურ პარტიებთან ერთად. აქ ჩვენ უნდა შევეხოთ ამ წერილების გადმოგზავნის ისტორიას. გადმოგზავნა რა აქ, საქართველოში, რასაკვირველია, არალეგალურად და სავსებით კონსპირატიულად, წერეთლის სამი წერილი და აგრეთვე ჟორდანიას ვრცელი პასუხი მათზე, მენშევიკების საზღვარ გარეთელმა ბიურომ აქაურ ცენტრალურ კომიტეტს მისცა შემდეგი დირექტივა, თვითონ ნოე ჟორდანიის მიერ ხელმოწერილი: „უპირველეს ყოვლისა გაცნობებთ ამ წერილების ისტორიას. **ბიურო ფიქრობს, რომ მათ უნდა გაეცნოს ცენტრალური კომიტეტი, მაგრამ ისინი არვითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გამოტანილი სადისკუსიოთ არც ერთ ორგანიზაციაში, რადგან ასეთ დისკუსიას შეუძლია პარტიის მთლიანობის შერყევა** (პარტიიდან 25 ათასი მუშის გასვლის შემდეგ ეს მთლიანობა არამც თუ შერყეულია, არამედ დიდი ხანია სრულებით დარღვეულია, ბ-ნო ჟორდანია. მ. კ.) **და არევ-დარევის გამოწვევა, რითაც მტრები ისარგებლებენ. ამ დისკუსიამ ჩვენ დიდი ზიანი მოგვიტანა. ბოლშევიკებმა ისარგებლეს ამით და წერეთელის ზოგიერთი მომხრეები გადაიბირეს თავისკენ".** (წერილი პარიზიდან. 1926 წლ. იანვარი).

სამწუხაროთ, ჩვენ აქვე უნდა დავარღვიოთ ჩვეულებრივი [illegible] ტივებს (ის ხომ ჩვენთვის არ არის სავალდებულო) და უნდა გავაცნოთ ეს წერილები არა მარტო არალეგალური ცენტრალური კომიტეტის ვიწრო წრეებს, არამედ საბჭოთა საქართველოს მშრომელთაც. დაე, მშრომელთა ფართო მასებმა ყველაფერი გაიგონ თქვენს შესახებ, პატივცემულო ბატონებო. რატომ არ გსურთ თქვენ ეს,—ნუ თუ გეშინიათ? მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ გამოვაქვეყნოთ ყველაფერი ის, ყოველგვარ მოსაზრებების გარეშე, თუნდაც მენშევიკების საყვარელ დემოკრატიის ინტერესებისათვის... უხერხულიც არის, რომ ისეთ საკითხების შესახებ, როგორიცაა მენშევიკების შეხედულებები და ტაქტიკა, რამოდე კაცმა იცოდეს მხოლოდ, დეე ის ყველამ იცოდეს, დეე ყველა გაეცნოს მას და განიხილოს ის...

ამრიგათ გადავიდეთ „ოპოზიციონურ" წერეთელის წერილებზე..

მენშევიკების ცეკასადმი დაწერილ მიმართვაში (1925 წლ. 30 ნოემბრიდან) და თეზისებში წერეთელი ეხება იმ ხანგრძლივი დისკუსიის შედეგებს, რომელიც სწარმოებდა პარიზში მენშევიკების შორის აჯანყების და პარტიის შემდგომი ტაქტიკის საკითხების გარშემო. წერეთელი საზღვარ გარეთელ ბიუროს არ ეთანხმება მთელ რიგ საკითხებში. უპირველეს ყოვლისა, წერეთელი ჩქარობს ახაროს თავის მეგობრებს, რომ ის ბიუროს ეთანხმება ბოლშევიზმის შეფასებაში, მაგრამ მათი უთანხმოება იწყება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ისმება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი გზით უნდა სწარმოებდეს ბრძოლა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. და აქ წერეთელი აყენებს მნიშვნელოვან პრინციპიალურ საკითხს:

„მოითხოვს თუ არა პარტიის დგომა ნაციონალური დამოუკიდებლობის ნიადაგზე პარტიის ტაქტიკაში ისეთი ელემენტების შეტანას, რომელიც წინად—სოციალ-დემოკრატიის პრინციპების მიხედვით—**მიუღებლათ** ითვლებოდნენ. კონკრეტიულათ: შეუძლია თუ არა პარტიას საქართველოს განთავისუფლების საკითხი დაუკავშიროს ომის შესაძლებლობას რუსეთსა და სხვა რომელიმე სახელმწიფოს შორის და ამგვარ პერსპექტივას შეუფარდოს თავისი პოლიტიკა". როგორც ცნობილია მენშევიკური კონფერენცია და აგრეთვე ნოე ჟორდანიაც თავის წერილებში „ჩვენი ტაქტიკა" საკითხს სწორედ ასე სვამენ: **„საქართველოს განთავისუფლება შესაძლებელია, როგორც შედეგი საშინაო და საგარეო კონფლიქტებისა რუსეთში".** მათ განსაკუთრებით საგარეო გართულებების და შეტაკებების ე. ი. ომის იმედი აქვთ. საკითხის ასე დაყენებას წერეთელი არ ეთანხმება ორგვარი მოსაზრებით: პრინციპიალურით და პრაქტიკულით. წერეთელი მიუტევებელ შეცდომათ სთვლის იმედის დამყარებას ახალ ომზე, მაშინ, როცა ყველგან სწარმოებს ძლიერი მოძრაობა ახალი ომების შესაძლებლობის წინააღმდეგ. მართალია წერეთელი, როგორც მენშევიზმის ერთ—მთელი მიმდევარი ამბობს ასეთ სისულელესაც, რომ თითქოს ევროპის მთავრობები და საერთოდ სოციალისტები (მაგალითად, პოლ ბონკური ხომ არა, რომელიც ამას წინად პოლონეთის საზღვრებზე მგზავრობის დროს აღფრთოვანებაში მოვიდა პოლონეთის „ცივილიზაციის" დამცველი ოფიცრებით) ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ ომის წინააღმდეგ და ამით ამცირებენ ახალი სისხლის ღვრის შესაძლებლობას. მხოლოდ უიმედო მენშევიკ იდიოტებს და პირველ ხარისხოვან ჩერჩეტებს შეუძლიათ ილაპარაკონ ასეთი სისულელე დღეს ერთა ლიგის იმ კომედიის სამარცხვინოდ ჩაშლის შემდეგ, რომელსაც „განიარაღებას ანუ შეიარაღების შემცირების" კონფერენციას უწოდებენ. ერთა ლიგის ხსენებულმა კომედიამ აშკარათ დაუმტკიცა ყველას, რომ ბურჟუაზიული მთავრობები, ერთა ლიგა და მათი ლაქია მეორე ინტერნაციონალი, არამც თუ არ აწარმოებენ ენერგიულ ბრძოლას ახალი ომების თავიდან ასაცილებლათ, არამედ ერთნი მოურიდებლათ აშენებენ, მეორენი ხელს აფარებენ ახალ შეიარაღებას, ერთნი ემზადებიან ომისთვის, მეორენი ხელს უწყობენ ძალების გადაჯგუფებას ახალი ომებისათვის. ყოველივე ამის შემდეგ წერეთელის სიტყვები ბურჟუაზიულ მთავრობების მშვიდობისმოყვარეობის შესახებ სრული სიყალბე და თვალის ახვევაა...

მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ წერეთელი გამოდის ბურჟუაზიული მთავრობების „მშვიდობიანი" ზრახვების დამცველად (ის ტყუილად ხომ არ არის მეორე ინტერნაციონალის წევრი!), ის მაინც ეწინააღმდეგება იმ ტაქტიკას, რომელიც ემყარება კონფლიქტის მოლოდინს ან რუსეთთან ომის შესაძლებლობას. წერეთელის აზრით ასეთი ტაქტიკა არ შეეფერება სოციალიზმის პრინციპებს. (ეს პრინციპები მენშევიკურ პრაქტიკაში დიდი ხანია დაივიწყეს, მოქ. წერეთელო!) აშორებს მენშევიკებს მსოფლიო დემოკრატიას, ევროპის და რუსეთის „მოძმე" „სოციალისტურ" პარტიებს და სხვ. მაგრამ გარდა პრინციპია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

მეორე რაიკომის პლენუმი

14 ივლისს საღამოს 7 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის დარბაზში გაიხსნა ს. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის გაფართოვებული პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1) მუშკოპის გამგეობის მოხსენება.

2) მიმდინარე საკითხები.

მუშკოპის გამგეობის მუშაობის შესახებ 1926 წლ. პირველ ნახევრის განმავლობაში მოხსენება გააკეთა ამხ. ერისთავმა.

მუშკოპის მუშაობა და საერთოდ მისი მდგომარეობა წარსულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამჟამად მუშკოპს ჰყავს 27.262 წევრი. წარსულ წელთან შედარებით წევრთა რიცხვი 42 პროცენტით გაიზარდა. ამჟამად სწარმოებს წევრთა ხელახლი რეგისტრაცია. რეგისტრაციაში ჯერ-ჯერობით გატარდა 15.000 კაცი. საპაიო კაპიტალი 72.060 მანეთს უდრის. ამ 6 თვის განმავლობაში მაღაზიების რიცხვიც გაიზარდა. მოემატა მუშკოპს 8 მაღაზია. სულ ამჟამად მუშკოპი აერთიანებს 202 სავაჭრო წერტილს, იმათგან საწარმოო არის—101. 1926 წ. პირველ ნახევრის განმავლობაში გაყიდულია 6.334.000 მანეთის ღირებულების საქონელი. წარსულ წელთან შედარებით ამ მხრივ არის საგრძნობი მიღწევები. ხარჯები ბრუნვის 10 პროცენტს შეადგენს. წარსულ წელში კი ხარჯების პროცენტ. ბრუნავ თანხასთან შეფარდებით 13-ს შეადგენდა. საცალო ფასები ბაზრის ფასებზე დაბლა სდგას 7 პროცენტით. ზედნადები ხარჯები (расходы) თანდათანობით მცირდება. მომხსენებელმა დაახასიათა რა მუშკოპის სავაჭრო მუშაობა შეეხო მის ფინანსიურ მდგომარეობას. წარსულ წელში მუშკოპს ჰქონდა დეფიციტი 3.000.000 მანეთის. ამჟამად კი ფინანსიური მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება. 1926 წლ. პირველ ნახევრის განმავლობაში მუშკოპს 400.000 მანეთი მოგება დარჩა, რაც შეეხება მომჭირნეობის რეჟიმს, ასეთი ტარდება ორი მიმართულებით: ერთი მხრით მუშაობა სწარმოებს პირდაპირი ხარჯების შესამცირებლად (შტატის შემოკლება), ხოლო მეორე მხრივ მიღებულია ზომები აპარატის რაციონალიზაციისთვის. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უჯრედების ბიუროები საკმაო ყურადღებას არ უთმობენ კოოპერაციის საკითხებს. მომავალში ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს შემდეგი ნაკლულევანებანი:

1) წევრების პასიობა—წევრები არ არიან დაინტერესებული მუშკოპის ცხოვრებით.

2) ნოქრების არა წესიერად მოპყრობა მყიდველებისადმი; ხშირად უყურადღებობა.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ უნდა იქნეს მიღებული ყოველგვარი ზომები ზედნადები ხარჯების კიდევ უფრო შესამცირებლად.

კოოპერატიული დუქნები უნდა დაუახლოვდეს ქალაქის გარე უბნებს. მიზანშეწონილი იქნება ქალაქის გარეუბნებში ახალი კოოპერატიული დუქნების გახსნა. რაც შეიძლება მეტი წევრები უნდა იქნას ჩაბმული კოოპერაციაში.

პლენუმმა მუშკოპის გამგეობის მუშაობა 1926 წ. პირველ ნახევრის განმავლობაში სცნო დამაკმაყოფილებლად და, გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები მუშკოპის მომავალ მუშაობის გასაუმჯობესებლად. დასასრულს პლენუმმა გამოსთქვა აზრი რათა რაიკომის მომავალ პლენუმის სხდომაზე მოსმენილ იქნეს მოხსენება პარტამშრომლობითი მუშაობის შესახებ.

ლ.

რაიონებზე მიმაგრებული ინსტრუქტორების მუშაობა

(სენაკის მაზრა)

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან თემკომების ჯამაგირიან მდივნების თანამდებობა მაზრაში გაუქმებულ იქნა. სამაგიეროთ სამაზრო კომიტეტებმა გაადიდა ინსტრუქტორთა კადრი. მაზრა დაყოფილ იქნა 9 რაიონად, თითეულ რაიონზე მიმაგრებულია სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორი, რომლის რაიონში შედის ხუთი—ექვსი თემი. ინსტრუქტორები შეუდგენ მუშაობას 20 ივნისიდან,—მათ მიეცათ შემდეგი დავალებები: 1) თემკომების და უჯრედების ბიუროების რეორგანიზაცია. 2) მოხსენებების ჩატარება 1926—27 წ. წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და 3) ღარიბესი გლეხთა ორგანიზაციის მიზნების და ამოცანების შესახებ. ეს დავალება შესრულებული იქნა 30 ივნისამდე, რის შემდეგ იყო მოწვეული სამკომის გაფართოვებული პლენუმი.—პლენუმის დამთავრების შემდეგ გაიმართა რაიონში მიმაგრებული ინსტრუქტორების თათბირი, სადაც მოსმენილი იქნა მოხსენებები ადგილებიდან ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ ორგანიზაციებში მუშაობა მოისუსტებს, რაც აიხსნება ადგილობრივი ამხანაგების მოუცლელობით, (უმრავლესობა ყანებს ამუშავებს) და აგრეთვე სათანადო მომზადებულ ხელმძღვანელ ძალთა ნაკლებობით. პარტ-ამხანაგები კმაყოფილი არიან თემკომის ჯამაგირიანი მდივნის თანამდებობის გაუქმებით და იმედს გამოსთქვამენ, რომ ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით უფრო გააცხოველებენ მუშაობას უჯრედებში.

თათბირის შემდეგ ინსტრუქტორებს მიეცათ ივლისის თვის სამუშაო გეგმა: მათ უნდა ჩაატარონ ღარიბესი და ღარიბ გლეხთა კრებები, თემებში გააკეთონ მოხსენებები სამაზრო კომიტეტის პლენუმის შედეგებზე.

3 ივლისს ინსტრუქტორები დაუბრუნდენ თავთავიანთ რაიონებს და შეუდგენ მუშაობას.

ღარიბეს გლეხთა კრებების ჩატარება დაიწყება 15 ივლისიდან.

ლ. თოდუა.

ორგანიზაცია იზრდება და ჯანსაღდება

როგორც ყველგან, ისე ზუგდიდის მაზრის კ. კავშირის ორგანიზაცია ჩქარი ტემპით იზრდება. ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში ორგანიზაციაში მიღებულია 500 წევრი.—კავშირში უმთავრესად შემოდის ღარიბესი და საშუალო გლეხობა. დღეს მაზრაში არის 103 უჯრედი, 28 თემკომი 2800 წევრით.—ჯერ-ჯერობით ზრდის საკითხი მოგვარებულია და არავითარ გაუგებრობას ადგილი არა აქვს. მაზრის ორგანიზაციას თითქმის ყველგან ხელმძღვანელობენ გლეხური წრიდან გამოსული აქტივისტები, რომელმაც ხელი შეუწყო ნორმალური მდგომარეობის შექმნას მაზრაში. თუ წინა წლებში მაზრის ორგანიზაციაში ყველაფერი ვერ იყო რიგზე, დღეს ამას ბოლო აქვს მოღებული პარტიული კომიტეტის სწორი და პროლეტარული ხელმძღვანელობის საშუალებით.

კ. კავშირის ორგანიზაცია გადავიდა გეგმიანი მუშაობაზე და შეუდგა არსებულ ნაკლის გამოსწორებას. ნახევარი წელია რაც ორგანიზაციაში შეიქნა ნორმალური მდგომარეობა, დაიწყო საქმიანი მუშაობა და კ. კავშ. ორგანიზაციას მიეცა საშუალება მოეპოვა ავტორიტეტი უპარტიო მასაში. მაზრაში არ აქვს ადგილი თავისი ნებით ორგანიზაციიდან წევრთა გამოსვლას და სისტემატიურად დისციპლინის დარღვევას. ორგანიზაციის შემადგენლობა გლეხურია. დიდი ლტოლვაა სწავლის და თვითი განვითარების მიღებისაკენ. ორგანიზაცია მოკლებულია სათანადო გლეხური ლიტერატურას, რაც აფერხებს თვითეული წევრის თვით განვითარების საქმეს.

აგრეთვე აღსანიშნავია ახალგაზრდა ქალთა ლტოლვა და მათი აქტივობა ორგანიზაციაში.

უნდა ითქვას, რომ იმ საშუალებით, რომელიც ამჟამად მოეპოვება სამაზრკომს, ის ვერ უხელმძღვანელებს ორგანიზაციას შესაფერისად. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. მეტი საშუალება უნდა იქნეს გამონახული ახალგაზრდობის ლენინისტური ხაზით აღზრდისათვის.

მცოდნე.

ქალთა შორის

სადელეგატო მუშაობა ქალთა შორის სიღნაღის მაზრაში

მუშაობა ქალთა შორის სიღნაღის მაზრაში მიმდინარეობს წარმატებით. მეცადინეობა კრებებზე სწარმოებს სისტემატიურათ, როგორც ქალაქში, ისე რაიონებში. დელეგატი ქალები მიმაგრებული არიან დაწესებულებებზე და ეცნობიან მის საქმიანობას. მთელს მაზრაში წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა დაამთავრა 189 ქალმა, საიდანაც ნაწილი გამოშვებული იქნა 8 მარტს. სიღნაღის მაზრაში არსებობს 8 პროფესიონალური სკოლა, სადაც ქალები სწავლობენ ჭრა-კერვას. აღნიშნულ მაზრაში არსებობს 6 მუშა და გლეხ ქალთა კუთხე, სადაც სწარმოებს ხმამაღალი კითხვა. იქვე სწავლობენ წერა, კითხვას და ჭრა-კერვას. სიღნაღის მაზრაში არსებობს რამოდენიმე ქალთა არტელი, სთესენ და მოჰყავთ ბამბა, აბრეშუმი, თუთუნი და სხვა.

ამჟამად სიღნაღში გაიხსნა ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორების გადასამზადებელი ერთთვიანი კურსები, ქალთა შორის მუშაობის გაღრმავების მიზნით. მუშაობას ქალთა შორის ძლიერ აფერხებს სათანადო ხელმძღვანელობის უქონლობა, აგრეთვე ჯამაგირიანი ორგანიზატორების რიცხვის სიმცირე რასაც თავის დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. ამ უკანასკნელ ხანებში სიღნაღის მაზრის ქალთა განყოფილების გამგის მიერ მოწყობილი იქნა ექსკურსია თბილისში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 50 დელეგატმა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად. ექსკურსანტებმა გამოფენის გარდა დაათვალიერეს სხვადასხვა წარმოებები და დაწესებულებები.

ს. ჩხენკელი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ფოთის ჯებირი

ფოთი, 14 ივლისი. მუშაობა ფოთის ხუთვერსტნახევრიანი ჯებირის გასაყვანად ორი თვის განმავლობაში შესრულებულია თითქმის ნახევროდ. ამ ჯებირმა ქალაქი წყალდიდობისაგან უნდა დაიცვას. გატანილი იქნა 574,55 კუბ. საჟ. სილა და თიხა. ახლო მომავალში განზრახულია ქვის სატეხის გახსნა რიონის სამხრეთი ტოტის კუნძულზე. დღეს ჯებირი უკვე დამთავრებულად 17 პიკეტისა და ფერდობის მანძილზე. ორ—სამ თვეში ალბათ მთელი ჯებირი დამთავრდება.

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე

ფოთი, 14 ივლისი. შესდგა ქალაქის მუშამოსამსახურეების საერთო კრება, სადაც საფუძვლიანი მოხსენება წაიკითხა საერთაშორისო მდგომარეობაზე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ესტონეთში ალ. ლომბაროვმა, რომელიც ამ ხანად ფოთში იმყოფება.

ხე-ტყის გამოზიდვა

ქუთაისი, 14 ივლისი. მდინარე ცხენისწყალზე სწარმოებს ტივების ჩამოტანა, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინის-გზების სატყეო სამუშაოთა განყოფილებამ დაამზადა ლეჩხუმის რაიონში და ქვემო სვანეთში. ეს ნამორები—20.000 ცალის რაოდენობით იგზავნება საჯილაოში, ამხ. ბოზდეევის სახელობის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში.

კრამიტის ქარხანა

ქუთაისი, 14 ივლისი. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებამ გორდის თემისთვის გასცა გრძელვადიანი სესხი 3.000 მანეთის რაოდენობით, კრამიტის ქარხნის ასაშენებლათ. ამ დღეებში დამატებით გაიცემა კიდევ 2.000 მანეთი.

ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გახსნა

ქუთაისი, 14 ივლისი. ქუთაისის საოლქო ფოსტა-ტელეგრაფის კანტორამ სოფელ ორპირში გახსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

მალარია

ქუთაისი, 14 ივლისი. მალარიით დაავადმყოფებულთა მოძრაობა ქუთაისის, წითელი ჯვრის ამბულატორიაში ივლისის თვეში შესამჩნევათ გაძლიერდა. სულ ამბულატორიაში გაიარა 7.611 პირმა. დაიხარჯა 31935 გრამი ქინაქინა.

აჭარისტანი

გემზე ხანძარის გავლენის გამო

ბათომი, 14 ივლისი. 12 ივლისს ხანძრისაგან დაზიანებული გემი „მაზუთი" რეიდიდან ნავთსადგურში არის გადაყვანილი და გადარჩენილ ბენზინისა და ნავთის პროდუქტების გადატვირთვა ხდება გემ „ვალტუზე".

გემ „მაზუთის" კორპუსი ხანძრით დაზიანებულია. გადამწვარია ხის ნაწილები. სამანქანო განყოფილება ცოტად დაზიანდა.

სპეციალური საგამომძიებლო კომისია განაგრძობს მუშაობას გადარჩენილი ნავთის პროდუქტების აღსარიცხავად და ზარალის გამოსარკვევად.

სამხრეთ ოსეთი

ზარალი სტიქიურ უბედურებათაგან

ცხინვალი, 14 ივლისი. სამხრეთ-ოსეთის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კომისიამ გამოარკვია სტიქიურ უბედურებათაგან მიყენებული ზარალი მიმდინარე წლის 10 ივლისამდე. კოდის წუწერის და სხვა რაიონებში დაზიანებულია 304 ნათესი დესეტინა, რომელთა შორის 5% ბაღ- ვენახებია. მოსავალი დაიღუპა 60%-ით. წუწერის რაიონში დაიღუპა 20 წვრილ-ფეხა საქონელი, განადგურდა 5 წისქვილი და 7 სახლი.

წერილები

ერთი „ოჩერედის" ამბავი

(სურათი სინამდვილიდან)

თბილისელი მუშკორი, სტეფანე, სტუმრად მოხვდა გურიაში, ოზურგეთში.

ქუთაისის ქუჩაზე, ბაზრის ზემოთ, მან გრძელი და მაღალი, რამოდენიმე სართულიანი, სახლები შეამჩნია.

ახლოს მივიდა და ნახა, რომ ჯერ ქუჩაშივე გრძელი „ოჩერედი" სდგას.

ქალი, კაცი, დიდი თუ პატარა კალათებით და გოდრებით ჩაეუკრიბნებულიყვნენ რიგში.

გაუკვირდა სტეფანეს.

1921 წელი ხომ არ დაგვიბრუნდა? იფიქრა მან.

ვეღარ მოითმინა ახლოს მისულიყო და იქვე „ოჩერედის" ბოლოში მდგომ პატარა გურულ გოგონას დაეკითხა:

— ეს „ოჩერედი" რისია!.. პატარა გოგომ თავისი შავი, დიდრონი თვალები შეანათა სტეფანეს და თამამად სხარტლად მიუგო:

— აქანეი აბრეშუმის პარკს ყიდულობენ, ბატონო!—ქალმა თავი დაბლა დაღუნა და მორცხვად უფრო ახლოს მიიწია თავის კალათთან.

სტეფანეს შერცხვა თავისი შეკითხვის.

რატომ ვერ მივხვდი ამ ახალმოდის სახლებთან რა იქნებოდა? რას იფიქრებს იგი გოგო ახლა ჩემზე! ფიქრობდა სტეფანე და ის ჩავიდა დიდ ეზოში, რომელიც სამი მხრიდან მაღალი უძღელო სახლებით იყო შემოვლებული.

სტეფანე გაიტაცა აქ ნახულმა.

სახლების დაბლა სართულები ერთი საჟენის სიმაღლეზე აბრეშუმის პარკებით სავსე იყო სხვა სართულებზე კი (თითო სახლს ასეთები 5—10 ჰქონდა) ოდნავ იყო პარკი დაპნეული გასაშრობად.

სტეფანეს ამდენი პარკი თავის დღეში არ ენახა.

— ეს რომ ეხლა საბჭოთა რესპუბლიკების მტრებს ანახვა გულზე არ ვასკდებოდენ ჯავრით?.. იფიქრა ჩვენმა მუშკორმა.

— ინგრევა ყველაფერიო! არ კეთდება არაფერიო! განსაკუთრებით გურულებზე რას არ ლაპარაკობენ. აი მოვიდენ და ნახონ რამდენი სიმდიდრე შეუქმნია გურულ ქალებს... ფიქრობს სტეფანე და გულმოდგინეთ უვლის ირგვლივ ხან პარკის საშრობ სახლებს, ხან პარკისაგან გამოსახარშავ ღუმელებს, ხანაც ეზოში გამშრალ პარკებიან ყუთების დასალაგებს.

ეს უკანასკნელი ხან გაივსება პარკიანი ყუთებით, ხან ისევ დაცარიელდება. აქედან რიგი ყუთებისა შეაქვთ გამოსახარშავად ღუმელებში, რიგი გამოაქვთ ღუმელებიდან და აქ აწყობენ.

ოდნავ შემშრალი პარკი მიაქვთ მაღლა პერიატაჟზე, საბოლოო გასაშრობათ.

სასიამოვნო სანახავი იყო მართლაც.

გურული გოგო-ბიჭები სიამოვნებით და ცქვიტად დახტოდენ სამუშაოზე.

დაუღალავათ, ენერგიულად მიჰქონდათ მათ პარკიანი ყუთები ხან ზევით, ხან ქვევით.

აგერ ერთი პატარა გოგონა ძირს დაბნეულ პარკებს კრიფს, კალათში აწყობს და თავის ალაგას მიარბენინებს...

— რამდენს იღებულობ, პატარავ, დღეში? დაეკითხა მას ჩვენი მუშკორი.

— ათ შაურს! მიუგო გოგომ და განზე გადახტა, დაეწაფა პარკის ასაღებად.

— რამდენ საათს მუშაობთ, ამხანაგებო დღეში? მიუბრუნდა ახლა სტეფანე ორ ახალგაზრდა ქალებს რომლებსაც ტომრით პარკი მაღლა მიჰქონდათ.

— ორივე ქალმა უცხვათ და გაკვირვებით შეხედეს ამ უცხო სტუმარს და ერთმა გაკვირვებითვე გასცა პასუხი:

— სადაური ხართ, ამხანაგო, თქვენ? განა არ იცით, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში რვა საათის სამუშაო დღეა დაკანონებული?.. ამათ აღარცკი შეუხედნიათ სტეფანესთვის და განაგრძეს თავიანთი გზით და მიიმალენ ფარდულის მაღლა სართულში.

სტეფანე მივიდა ახლოს შეგროვებულ ხალხთან და აქ ფულის მისაღები რიგები იდგა. პირველ ალაგას პარკს წონიდნენ, ღებულობდენ. იქვე აძლევდენ პარკის ჯიშის რაოდენობის ბარათს. აი ამ ბარათებით ახლა ამ მეორე ალაგას ღებულობდენ ფულს.

— რამდენი ფუთი აქვთ წერილს პარკი, თეკლე? დაეკითხა რიგში მდგომი ერთი ქალი მეორეს.

— მაგ მხრივ ბედნიერი ვარ, მიუგო მოხუცმა ქალმა.

— ერთი ბოზოლი რაა არ მომეყვანა. თუთხმეტი გორიცაი (მაღალი და შუაში წვრილი კალათა) გავამსეთ. როგორი მეგონა თუ ხუთი—ექვსი ფუთი არ გამოვიდოდა და აი სამ ფუთნახევარი ჩამიწერეს აგერ ბარათში, რომ ჩამომეხნათ მაინც ვიტყვი, რომ იმ ყანთარს (სასწორი) კი აქვს რაცხა ნაკლი.

— უკანასკნელი ნახევარი ფუთი-კი დამაკლეს ვილება არ დამეხოლვის—ჩაერია ლაპარაკში ახლა სხვა დედაკაცი და წავიდა სასწორის ამბავი ამ გრძელ რიგში სალაპარაკოდ.

სტეფანემ კარგა ხანს უგდო ყური ამ უსიამოვნო ლაპარაკს. ვეღარ მოითმინა. ახლოს მივიდა და ლაპარაკში ჩაერია.

— მე კი მგონია, რომ თქვენ სტყუვდებით, თქვენ შეცდომაში შეგყავხართ იმ გარემოებას, რომ პარკი მოცულობით დიდ ალაგს იჭერს. ხოლო გაივიწყდებათ რა მსუბუქია წონაში პარკი. ამწონავები ხომ ქურდი პირები არ არიან. ისინი ჯამაგირს ღებულობენ. ისინი ვერ ისარგებლებენ იმ პარკით, თქვენგან რომ მეტი აიღონ.

— კი, ნენაცკი! მეც ასე ვფიქრობ! გააწყვეტინა სტეფანეს სიტყვა იმავე დედაკაცმა, რომელმაც პირველად დაიწყო სასწორის ნაკლზე ლაპარაკი.

— მადლობის მეტი რა გვეთქმის, ნენავ! თესლს მთავრობა გვაძლევს და ახლა აი თვით მთავრობა ყიდულობს პარკს დაუმატა მან.

— დიდ სიკეთეს გვიშვება მთავრობა, ცოტა მარილსაც რომ მოგვყრიდეს. გუშინა ვიყავი სახაზინოში ერთი მოხუცი კაცი. 30 ივნისს ჩავაბარე პარკი, დღეს 12 ივლისია. აი მთელი დღე. ფული და ფულის მიღებას ვერ ვიღირსე. შორიდან ვარ მოსული. სახლში ცოლ-შვილი მიცდის, საქმე მიზრკოლდება. აქ კიდევ ფული მეხარჯება...

ახლა ფულის დაგვიანებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. აქ სტეფანემ ხმა ვეღარ ამოიღო, თავი დამნაშავეთ იგრძნო.

— მართლა რათ უნდა აცდიონ ხუთი, ექვსი და მეტი დღე შორიდან ჩამოსული პარკის გამყიდველები! ხუთი ექვსი დღე რა ღირს ამ სამუშაოში გლეხს სახლში?

— სადაა აქ მომჭირნეობა გლეხისთვის.

ვის დაეკითხო! ვის მოველაპარაკო. ფიქრობდა სტეფანე და ბოლოს გადასწყვიტა ისევ პრესის საშუალებით ამოეღო ხმა.

იქაური გიორგი.

წერილებიდან

ს. კოდა, (თბილ. მაზრა)

ამ სოფელში ქოხ-სამკითხველოს და საბჭოს ბინები ყოვლად შეუფერებელია. ორივე დაწესებულებას უკავიათ სახლის ზედა სართული. ქვევით კი მოთავსებულია სამიკიტნო. სამიკიტნოში არის ერთი აყრ-ზაური, სიმღერა და ღრიანცელი.

იქაური.

წირქვალის თემი, (შორ. მაზრა)

ნიაღვარი. ივლისის პირველ რიცხვებში დაიწყო წვიმები, რასაც ნიაღვარი მოჰყვა. ნიაღვარმა დიდი ზიანი მიაყენა სოფელ ჭალუანს, ვანსა და ზედუბანს. გადარეცხილია ყანები. ზედუბანში ნათესების ორი მესამედი სავსებით გაანადგურა ნიაღვარმა.

ლაშხიშვილი.

მუშათა ცხოვრება

გამოიწერეთ ნაღდ ფულზე გაზ. „კომუნისტი" და „მუშა"

გაზეთი მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში დიდ როლს თამაშობს. გაზეთი მშრომელი მასის ბრძოლის საუკეთესო იარაღია. გაზეთის გარშემო იგამება საზოგადოებრივი აზრი. თვითეული ადამიანი გამოდის კარჩაკეტილობიდან და უკავშირდება საზოგადოებას—გებულობს მის ავ-კარგს. ამიტომ გაზეთი ყველას უნდა უყვარდეს, კითხულობდეს მას სისტემატიურად. გარდა იმისა, რომ კითხულობდეს უნდა თვითეული მოქალაქე დაინტერესებული იყოს გაზეთის არსებობის და გაუმჯობესების საკითხებით. თუ ავიღებთ დღეს „კომუნისტი"-ს და „მუშა"-ს მდგომარეობას, ჩვენ დავინახავთ, რომ მათი კითხვის ინტერესი ბევრს ჰქონია. ამას ამბობს მათი ტირაჟი, მხოლოდ მისი არსებობის საკითხზე კი ნაკლებად უფიქრიათ ზოგ მკითხველებს. ამას ადასტურებს 80.000 მანეთი. მკითხველების დავალიანება, რითაც გაზეთები საგრძნობ ზარალში ჩააყენეს.

რომ ასეთი მდგომარეობა არ განმეორდეს, საჭიროა, კრედიტში გაზეთის გამოწერაზე უარი ვთქვათ. თითეულ მუშას აქვს შეძლება 70-90 კაპ. შეიტანოს გაზეთის გამოსაწერად. მთელი თვის ბოლოს და ბოლოს სულ ერთია თვის ბოლოში თუ დასაწყისში გადიხდის ამას. სამაგიეროთ, კი გაზეთს ადრე შეტანილი ფულით, მიეცემა არსებობის უკეთესი პირობები და საშუალება. დღითი-დღე მკითხველებს გაუმჯობესებული სახით ვაგზავნით გაზეთებს. შეგნებული მკითხველი მის არსებობის საკითხს გვერდით არ აუვლის და „კომუნისტი"-ს და „მუშის" გამოწერის დროს წინაწინვე შეიტანს ფულს, რაიც იქნება ზემოაღნიშნული მდგომარეობის პრაქტიკული შეგნება და გატარება ცხოვრებაში.

მუშკორი ი. ჯავახიშვილი.

მშრომელ ქალთა საკითხების შესასწავლათ

შრომის კომისარიატმა გამოიმუშავა გეგმა 6 თვის ქალთა შრომის საკითხის შესწავლის გასაუმჯობესებლად, რომლითაც შრომის კომისარიატი იღებს ზომებს, რომ უფრო პოპულარული გახადოს ქალთა შორის საკითხი როგორც პრესაში, ისე მუშების საერთო კრებებზე.

ამ გეგმით საწარმოო კვალიფიკაციის ასამაღლებლად წარმოებებში მომუშავე ქალებისა და უმუშევარ ქალების კვალიფიკაციურად გადარჩევის მიზნით უნდა მოეწყოს პროფტექნიკური კურსები, წრეები და ჯგუფური მეცადინეობა. ზაფხულის განმავლობაში უნდა მოეწყოს სკოლა-კურსები ახალგაზრდა ქალების მოსამზადებლად საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისათვის.

შრომის კომისარიატთან არსებულ ქალთა შრომის შესწავლის კომისიამ უნდა მოახდინოს მეცნიერული გამოკვლევა შრომის დაცვის და მისი გამოყენების მიზნით. გამოკვლევა უნდა მოხდეს შემდეგ ტიპიურ წარმოებებში: თამბაქოს, აბრეშუმის საქსოვ (ქუთაისში) და სახვევ, სართავ, ბამბის საქსოვ, ბამბეულობის ქარხნებში, საქართველოს სახელმწიფო სამკერვალოში, ტყავეულობის წარმოებაში, პოლიგრაფიულ წარმოებაში, ტელეფონის სადგურში და მემანქანეთა შრომა.

ქალთა შრომის შესასწავლად უნდა მოეწყოს წარმოებებში ქვეკომისიები, რომლებშიაც შევლენ—წარმოების შრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე, წარმოების სამეურნეო ორგანოს წარმომადგენელი და ქალთა უჯრედის ხელმძღვანელი.

უნდა გამოკვლეულ იქნას რაოდენობა და თვისება იმ ბაგეებისა (ბავშვის მოსათავსებელი ადგილები წარმოებებში) რომელნიც არსებობს და უნდა დამუშავდეს საკითხი ახალი ბაგეების გასახსნელად.

უნდა გამოირკვეს რეგისტრაციაში გატარებულ ქალთა საერთო რიცხვი შრომის ბირჟაზე რესპუბლიკის მაშტაბით და ქალთა რაოდენობა მამაკაცთა რაოდენობასთან შედარებით, რომლებიც ჩაბმული არიან შრომის არტელებში და კოლექტივებში.

წარმოებათა გამოკვლევის საფუძველზე შესწავლილ უნდა იქნას საკითხი, რაც შეეხება ქალების მეტი რიცხვის ჩასაბმელად სხვადასხვა ტიპის წარმოებებში.

ქ. ქ.

რა ვაკეთებთ

ივნისის თვეში კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალ"-ში დამზადდა: თამბაქოს ტრესტის ქარხნების საჭიროებისათვის — 2.296.778 ცალი პაპიროსის კოლოფი; სახელმწიფო დაწესებულებებისა და კერძო პირებისათვის (საკანდიტროებისათვის) —რეალიზაციის მიზნით სხვადასხვა სახის 96.100 ცალი კოლოფი.

ამავე თვეში ქარხანამ მიიღო სადგ. ბორომვენკოდან—794 ფ. კარდონი.

ქარხანაში დაარსდა თვით მოსწავლე წრეები—ქართულ და რუსულ ენაზე, რომლებიც შეუდგებიან მეცადინეობას, რეგულიარულად 1 აგვისტოდან, როდესაც მუშები შვებულებიდან დაბრუნდებიან.

ქარხანაში დაარსდა აგრეთვე — მუშკორთა წრე, რომელშიც შედის 15 კაცი.

მუშკორი— ვანო.

თბილისის რკ. გზ. საჟუდში

თბილისის რკ. გზის საჟუდს ჩვენ წარმოება-დაწესებულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აქ მუშაობს 2.120 კავშირის წევრი. პირველ მარტიდან პირველ ივნისამდე 3 თვის განმავლობაში დეპოს ადგილკომს ჰქონდა 8 სხდომა, სადაც გაირჩა 50 საკითხი. ადგილკომის მუშაობის გეგმა გატარებულია 95 პროცენტით. აღნიშნულ წარმოებაში დაარსებულია შემდეგი კომისიები: საორგანიზაციო, საგანმანათლებლო, შრომის დაცვის, საწარმოო ადგილკომის, სადელეგატო და სხვა.

საორგანიზაციო საგანმანათ. კომისიას საანგარიშო ხნის განმავლობაში ჰქონდა 3 სხდომა, სადაც გაირჩა 15 საკითხი.

წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო პუნქტში გაიგზავნა 40 კაცი. მათ შორის უკან გამოვიდა 14 კაცი, გაათავა 26 კაცმა.

პლეხანოვის, ორჯონიკიძის და მუშათა ცენტრალურ კლუბში წრეებად არიან ჩაწერილი 390 კაცი. აქედან სხვადასხვა წრეების მუშაობაში ჩაბმულია 50 კაცი.

გამოდის კედლის გაზეთი „თავისუფალი გზა"-ს სახელწოდებით. გამოსულია უკვე ხუთი ნომერი. შრომის დაცვის კომისიას ჰქონდა 5 სხდომა. გაირჩა 15 საკითხი. საწარმოო კომისიას ჰქონდა 3 სხდომა, გაირჩა 30 საკითხი. საწარმოო თათბირი იყო ერთხელ, სადაც გაირჩა 24 საკითხი.

ადგილკომის სადელეგატო კრება იყო 3-ჯერ, სადაც გაკეთდა 4 მოხსენება 2% ანარიცხის აკრეფის შესახებ 65-დან 75 პროცენტამდე. 35-დან 45 პროცენტამდის აუკრეფლობა ხდება თვით მუშა-მოსამსახურეთა დაუდევრობით.

საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიას ჰქონდა 90 განსარჩევი კონფლიქტი. აქედან გაირჩა—71 მუშების სასარგებლოდ 4 ადმინისტრაციის სასარგებლოდ და 15 მომრიგებელ კამერას გადაეცა.

ექსკურსიები კი როგორც აქ, ისე სხვაგანაც ხშირად არ ეწყობა, რაც უნდა მომავალში მოეგვარდეს.

მუშკორი რადიუმი.

შენიშვნები

1. მეტი ყურადღება მუშა-გამომგონებს

საბჭოთა ხელისუფლებამ მუშის ნიჭს გაუხსნა ფართე გზა. მუშათა თვითგანვითარების და კულტურულობის საქმეს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. დაარსებულია საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, ინდუსტრიალური ტექნიკუმები, მუშათა ფაკულტეტები და სხ., სადაც უმეტეს ნაწილად ახალგაზრდა მუშები იძენენ თეორეტიულ და ტექნიკურ ცოდნა-გამოცდილებას. თვით ძველ მოხუც მუშებშიც დიდია სწავლის სურვილი. მათ კარგად იციან, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა და სახელმწიფოს მეურნეობა ყოვლად შეუძლებელია ცოდნისა და კულტურის და მათი საშუალებათა გარეშე. მუშა იძენს სწავლას და მასთან ერთად ხმარობს ყოველგვარ ღონისძიებებს, რომ ის მანქანა-ჩარხი ხელსაწყო იარაღები, რომელზედაც იგი რამოდენიმე ათეულ წლებში განუწყვეტლივ სწავლობს და შრომობს, შესცვალოს უკეთესით, რომელიც მუშას გაუადვილებს შრომის მძიმე პირობებს, ხელს შეუწყობს შრომის ინტენსივობა-ნაყოფიერებას და შრომის პროდუქციის გაორკეცებას.

ჩვენი მუშის ასეთი წარმოებასთან მეგობრული განწყობილება, იწვევს მასში (მუშაში) განუსაზღვრელ წყურვილს თვითმოქმედების და ხელსაწყო იარაღების გარდაქმნა-გამოგონებისა.

ამ ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა მუშათა გამოგონებანი, რომელთაც ჩვენ წარმოებათათვის აქვთ დიდი მნიშვნელობა; მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი მუშების გამოგონებებს ნაკლები ყურადღება ექცევა, რაც მუშა გამომგონს უცრუებს იმედებს და გულს უტეხს თავისი ნიჭის ნაყოფის ფართოდ გამოყენებაში.

მაგ. ამას წინად მუშა ზეინკალმა ამხ. ქიტესა ვაშაკიძემ, გამოიგონა საუკეთესო თვისების ხელსაწყო „პურის დამკვრელი" მეპურეთათვის. ამ ხელსაწყოს შეუძლიან ერთგვარი რევოლიუცია მოახდინოს პურის ცხობის დღევანდელ სანიტარულ-ჰიგიენაში.

ამხ. ვანე მაღლაკელიშვილმა (მთავარ სახელოსნოს მუშა-დურგალი) ამ ერთი წლის წინეთ გამოიგონა ერთი სადურგლო იარაღი, რომელსაც შეეძლო მოეტანა წარმოებისთვის დიდი სარგებლობა.

ორივე გამომგონზე მიცემულია განცხადებები და შუამდგომლობები, რომ მათთვის ხელი შეეწყოთ, მაგრამ ამაოდ.

ასეთი გულგრილობა მუშა-გამომგონთადმი ყოვლად დაუშვებელია.

საჭიროა ამოძრავდეს ეს ძრავი პროფსაბჭოსთან არსებული ინჟინერ-ტექნიკოსთა სექცია, რომელსაც დაევალოს მუშათა გამოგონებებზე ყურის დგენა და დაუყონებლივ სათანადო დასკვნების მიცემა და მათთვის ხელის ყოველმხრივი შეწყობა.

2. ესეც დაუშვებელია

ზოგიერთ ჩვენ წამოწყება-დაწესებულებებში ზოგიერთ ადმინისტრატორებმა თითქმის ჩვეულებად გადააქციეს შემდეგი მოვლენა: მაგ.-შტატის შემცირების ან და სხვა რაიმე მიზეზების გამო ხსნიან სამუშაოდან ამა თუ იმ მუშა-მოსამსახურეს, ანგარიშის მათთან გასწორებას კი აჭიანურებენ რამოდენიმე კვირის და თვის განმავლობაში ვითომდა საჭირო თანხის უქონლობის გამო. ამასთან ერთად დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეს ანგარიშს უსწორებენ სამსახურიდან დათხოვნის დღიდან. მაშინ როდესაც თანახმად ამიერ-კავკასიის საკომშრომის დადგენილება № 17-ისა (1924 წ. 20 თებერვლიდან) სამსახურის უკანასკნელ დღედ ითვლება ის დღე, როდესაც ადმინისტრაცია ფაქტიურად უსწორებს მუშა-მოსამსახურეს ანგარიშს.

ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას ქმნის მუშებში, ამიტომ საჭიროა მას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს.

ფარი.

მუშათა ქრონიკა

ტრამვაის მოძრაობის დარგში

— **შუამდგომლობის აღძვრა.** ვინაიდან კონდუქტორებს ხშირად ეკარგებათ მოძრაობის დროს თვეში სამ მანეთამდე, რომელსაც იხდიან, ტრამვაის ადგილკომმა სთხოვა დირექციას არ გადაახდევინოს მათ ეს ფული.

— **დათხოვნილი მუშების მიღება.** ის დათხოვნილი მუშები, რომელნიც დირექციამ გადაუგზავნა კომისიას, ტრამვაის ადგილკომმა დააბრუნა თავის ალაგზე სამუშაოდ.

— **კომპენსაციის ნაცვლად.** ვინაიდან ვატმანები ატარებენ საკუთარ ტანსაცმელებს, ტრამვაის ადგილკომმა სთხოვა დირექციას [illegible] მათ რიგს გარეშე სპეცტანსაცმელები.

ლურ მოსაზრებებისა, არის პრაქტიკული ხასიათის მოტივებიც, რომელნიც, უმთავრესად, აიძულებენ წერეთელს გადაჭრით უარყოს საზღვარ-გარეთელ ბიუროს ასეთი „საომარი" ტაქტიკა. (ჩვენ ამ ბიუროს თამამად შეგვიძლია უწოდოთ „რამიშვილის ბიურო", რამდენათაც იქ ფაქტიურად დიქტატორობს რამიშვილი, ხოლო ბიუროს თეზისებს და წერილებს ხელს აწერს ჟორდანია).

წერეთელი 5 წლის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას სოციალისტებთან და ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან. დაბოლოს ის დარწმუნდა, რომ ასეთი ტაქტიკა დამღუპველია და სცდილობს „გამოასწოროს" პარტიის ხაზი. წერეთელი აცხადებს: „ევროპაში არამც თუ ჩვენ მეგობარ სოციალისტებს შორის, არამედ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მოღვაწეებშიაც მე არ შემხვედრია არც ერთი ისეთი პიროვნება, რომელსაც არ განეცხადებინოს, რომ სამხედრო კონფლიქტის საშუალებით თავის დახსნის მოლოდინი—საქართველოსათვის **უნიადაგო და საზიანო ილიუზიაა**".

თავის თეზისებში წერეთელი ამ დებულებას შემდეგნაირად განმარტავს: **„ევროპის დემოკრატიის ისეთ ნაბიჯებს, როგორიცაა ერთა ლიგის და მეორე ინტერნაციონალის მიერ რეზოლიუციების მიღება ჩვენთვის დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ევროპის სახელმწიფოების საზოგადოებრივი აზრი იმდენათ ანგარიშს უწევს რუსეთს და იმდენათ აფასებს ურთიერთობის აღდგენას მასთან, რომ ამ სახელმწიფოების ხელმძღვანელნი, თითქმის ისეთებიც კი, რომელნიც მტრულ განწყობილებაში არიან საბჭოთა მთავრობასთან და სცნობენ ჩვენს იურიდიულ უფლებებს, შეუძლებლათ სთვლიან არამც თუ ომს საქართველოს გულისათვის, არამედ მწვავე დიპლომატიურ კონფლიქტსაც კი".**

იღებს რა მხედველობაში ამ პრაქტიკულ მოსაზრებას და აგრეთვე იმას, რომ საქართველო, როგორც პატარა სახელმწიფო, შეიძლება დარბეულ იქნეს ომის დროს, წერეთელი გადაჭრით უარყოფს საქართველოს განთავისუფლების გზას სამხედრო კონფლიქტების საშუალებით. ასეთია პირველი უთანხმოება და საკმაოდ მნიშვნელოვანი უთანხმოება. წერეთელი ეთანხმება საზღვარგარეთელ (რამიშვილისეულ) ბიუროს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში. რაც შეეხება სპეციალურ საკითხს რუსეთთან ურთიერთობის შესახებ, წერეთელი წერილებში გამოსთქვამს იმავე აზრს, რომლისათვისაც მას რამიშვილის მომხრეებმა დასწამეს რუსოფილობა და რუსეთის ორიენტაციისაკენ გადახრა.

წერეთელი თეზისებში სწერს: **„ქართველმა ხალხმა სწორედ უნდა შეაფასოს ევროპის დამოკიდებულება მისდამი და ის როლი, რომელსაც მის ცხოვრებაში რუსეთი თამაშობს. საქართველო, დაშორებული მსოფლიო პოლიტიკურ ცენტრებს, ვერ იპყრობს მაინც და მაინც ევროპის სახელმწიფოების ყურადღებას".** შემდეგ კიდევ უფრო ნათლად: **„რუსეთი ჩვენი ერის ცხოვრებაში ისეთი დიდი ფაქტორია, რომ მასთან შეთანხმების გარეშე, რუსეთის ხალხში თანამგრძნობი ელემენტების გამონახვის გარეშე, საქართველო თავის ცხოვრებას მკვიდრ ნიადაგზე ვერ მოაწყობს".**

რასაკვირველია, წერეთელი იქვე აცხადებს, რომ მას არ უნდა მიაწერონ ყველა ცოდვები, რომ ის ბოლშევიკებთან შეთანხმების წინააღმდეგია. მაგრამ მისი განცხადებები რუსეთის და მისი როლის შესახებ ქართველი ხალხის ცხოვრებაში—მნიშვნელოვანი პოლიტიკური განცხადებებია და ღირსია ყურადღებისა.—არ ვარგა, სრულებით გაკოტრდა ორიენტაცია ევროპაზე, საჭიროა ორიენტაცია რუსეთზე! მართალია, რომ ორიენტაცია ევროპაზე მაინც რუსეთი,—მაგრამ მენშევიკს სხვანაირად არ შეუძლია იფიქროს, მას ბურჟუაზიული რუსეთი ურჩევნია საბჭოთა, მუშურ-გლეხურ რუსეთს. აუცილებელია, რომ ორიენტაცია ევროპაზე მაინც გაკოტრდა—ამას აღნიშნავს წერეთელიც. ამიტომ აქედან პირდაპირი დასკვნაა—საჭიროა უარყოფილ იქნეს ყველა ეს ევროპიული იმედები, ილიუზიები, კომბინაციები და ყველაფერი ის, რაც ამასთან დაკავშირებულია და რაც პირდაპირ, ან არა პირდაპირ ავანტიურებს იწვევს... და საზღვარგარეთელ ბიუროს და წერეთელის უთანხმოების ამ მეორე არსებით მუხლს ჩვენ დავიხსომებთ, ჩავიწერთ და ჩვენს გზას განვაგრძობთ.

მეორე მიმართვაში მენშევიკურ ცეკასადმი (1925 წ. 5 დეკემბრიდან) წერეთელი საკითხს სვამს, ეგრედწოდებულ „ეროვნულ ფრონტის" შესახებ, მენშევიკების და ეროვნულ-დემოკრატების იმ ახალ შეთანხმების შესახებ, რომელმაც გამოიწვია ეროვნულ-დემოკრატების ხმების და ხვედრითი წონის გადიდება. წერეთელი ფიქრობს, რომ საქართველოს პარტიების საერთო ბრძოლაში ბოლშევიზმის წინააღმდეგ შენარჩუნებულ უნდა იქნეს სოციალ-დემოკრატების ჰეგემონია და საორგანიზაციო პრინციპები. მაგრამ წერეთელი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ როცა ისინი (ე. ი. მენშევიკები) ხელს კიდებენ საქმეს **„ხშირად გვერდზე სდებენ თავის პრინციპებს".** ბ-ნო წერეთელო, განა ეს თქვენ მხოლოდ ეხლა დაინახეთ? ხომ სწორედ ამაშია მენშევიზმის ოპორტიუნისტული ბუნება. და განა კლასობრივი ბრძოლის პრინციპი,—რომელიც დიდი ხანია—ჯერ კიდევ 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ საბოლოოდ დაივიწყა წერეთელმა,—ნებას აძლევს „სოციალისტურ" პარტიას შეკრას ბლოკი ნაციონალისტებთან—თავადების, მემამულეების და ბურჟუების პარტიასთან—„ეროვნული ფრონტის გაერთიანების" მიზნით. რატომ ასე კარდინალურად არა სვამს საკითხს წერეთელი? ეს მთავარი საკითხი ჩვენმა „ოპოზიციონერმა ბრძენმა" ჩვეულებისამებრ მიაფუჩეჩა. წერეთელი უკმაყოფილოა „შეთანხმებით", რომლის **შინაარსი და მიღების წესი არ ეთანხმება არც ჩვენ პრინციპებს, არც საქმის ინტერესებს".** წერეთელი პროტესტს აცხადებს ეროვნულ-დემოკრატებისათვის ორი ხმის მიცემის გამო—მაშინ როცა დანარჩენ პარტიებს თითო ხმა აქვთ—რითაც ირღვევა ცნობილი „პარიტეტი". (ე. ი. ბ-ნო წერეთელო, ირღვევა ქართული კონტრრევოლიუციის „პარიტეტულობა"). დათმობის დამცველები ამას ასაბუთებენ იმით, რომ შეთანხმება ეროვნულ - დემოკრატებთან აუცილებლათ საჭიროა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხოელების თვალში „მთავრობა ნაციონალურ ხასიათს" ჰკარგავს. წერეთელი აღშფოთებასაც გამოსთქვამს ამის გამო და აცხადებს: **„მე მგონია და ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ასეთი მოსაზრებებით, პარტიისათვის საეჭვო გახდება არამც თუ ჰეგემონია, არამედ თავისი საკუთარი სახის შენარჩუნებაც კი. თუ მთავრობა დამოკიდებულია ეროვნულ - დემოკრატებიდან, ხოლო პარტია მთავრობიდან, მაშინ სადღაა ჩვენი დათმობის საზღვარი?"**

ასეთ კითხვას იძლევა და დამაკმაყოფილებელ პასუხს კი ვერ ღებულობს ჩვენი ოპოზიციონერი წერეთელი. ასეთია მესამე უთანხმოება წერეთელსა და საზღვარ გარეთელ ბიუროს შორის. და დაბოლოს უთანხმოების მეოთხე მუხლი ეხება პარტიულ საორგანიზაციო საკითხებს. წერეთელს არ მოსწონს ის, რომ „მთავრობას" ძლიერ ბევრი უფლებები აქვს, ხოლო პარტიას არავითარი. „როგორი ნდობითაც არ უნდა ვეპყრობოდეთ ჩვენ მთავრობას—ამბობს წერეთელი—შეუძლებელია ქვეყნის მთელი ბედ-იღბალი მას **უკონტროლოთ** გადავსცეთ ხელში".

„აქაურ მუშაობას ის ნაკლი აქვს, რომ პარტიული კონტროლი არ სდგას სათანადო სიმაღლეზე და ეს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ორგანიზაციის მხრივ". წერეთელი ფიქრობს, რომ საზღვარ გარეთელი ბიურო არ არის სწორათ აგებული, რადგან მასში **უმთავრეს როლს თამაშობენ მთავრობის წევრები.** ბიუროში შედის მთავრობის სამი წევრი: ჟორდანია, რამიშვილი, გეგეჭკორი და კიდევ ყოველთვის ყველაზე მემარჯვენე ჩხენკელი, რომელიც საზღვარ გარეთ აქამდის „დემოკრატიულ" საქართველოს ელჩის როლს თამაშობს, და კიდევ ორი „მათი კაცი"—ვასო წულაძე და იოსებ სალაყაია (ეს დემოკრატიის დასანახავად). ოპოზიციიდან ბიუროში შედიან წერეთელი, არსენიძე და ჩხეიძე, რომელიც უკვე ცოცხალი აღარ არის. მაგრამ, როგორც წერეთელი მოგვითხრობს: **„ბიუროში უმრავლესობას შეადგენს თვით მთავრობა, რომელსაც შეუძლია ყოველი თავისი დადგენილება, რომელიც მან მიიღო, როგორც მთავრობამ, შემდეგ მოიწონოს და დაადასტუროს ბიუროში".**

ასეთი მდგომარეობა პარტიაში წერეთელს დაუშვებლად და არანორმალურად მიაჩნია. არ არის პარტია, არ არის პარტიის ხელმძღვანელი ბიურო, არამედ არის მთავრობის ბიურო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება და თვითონ ადასტურებს ამ გადაწყვეტილებას პარტიული წესით. ეს დემოკრატიზმის უახლოესი ნიმუშია...

წერეთელი ხედავს ყველა ამ უმსგავსოებას, ის გაცნობილია ყველა ბოროტმოქმედურ და არანორმალურ მოვლენებს პარტიაში, მშვენივრად იცნობს საზღვარგარეთელ ე. ი. რამიშვილისეულ ბიუროს ახალ ავანტიურისტულ ტაქტიკას, მაგრამ როგორ წინადადებას აყენებს ეს „ბრძენი"? როგორც მართლმორწმუნე მენშევიკი, წერეთელი შეკოწიწებისა და რემონტის შემწეობით ფიქრობს პარტიული ორგანიზმის გაჯანსაღებას. ის, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც უიმედო საქმის დამცველად გამოდის. წერეთელი პარტიას ურჩევს აირჩიოს ეხლანდელ პირობებში შემდეგი ტაქტიკა: **„პარტიის მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აგიტაციას და პროპაგანდას... პარტიამ უნდა აწარმოოს მუშაობა მშრომელი მასების პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდისათვის სოციალ - დემოკრატიული პრინციპების მიხედვით... პარტია უნდა სარგებლობდეს თვითეული შემთხვევით ხალხის ყოველდღიური ცხოვრებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ, როგორც ის (პარტია) იქცეოდა თვითმპყრობელობის დროს".** მე გონია, საკმარისია! „ოპოზიციური" წერეთელი თავის მსჯელობაში მივიდა საზიზღარ, მდაბალ, უხამს, „ნაღდ" მენშევიზმამდე, შეადარა რა ჩვენი დიადი ეპოქა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ეპოქა, უკვე დიდი ხნით დასამარებულ თვითმპყრობელობის ეპოქას. თუ რამიშვილის ფაშისტები მხარს უჭერენ პირდაპირ და აშკარა და ამიტომ ყველასათვის გასაგებ ავანტიურიზმს, „ოპოზიციონერი" წერეთელი ქადავს შეგუების ტაქტიკას საბჭ. ხელისუფლების შიგნიდან ასაფეთქებლათ, მისთვის ძირის გამოსათხრელად. წერეთელსაც მიზნად დასახული აქვს ბოლშევიზმის დამხობა, მაგრამ ამისათვის სხვა გზებს მიმართავს. წერეთელის თეზისები გვაგონებს მეორე „რევიზიონისტის" გრ. ლორთქიფანიძის თეზისებს. და მართლაც, არის ცნობები, რომ წერეთელს გრ. ლორთქიფანიძესთან მიწერ-მოწერა აქვს და ისინი ერთმანეთს ეთანხმებიან. ეს ბუნებრივია. მენშევიკი მენშევიკს შორიდან ხედავს და მიუხედავათ დიდი მანძილისა, ეს ორი მენშევიკი შეხმატკბილებული მღერიან... მართალია, ჟორდანია თავის წერილებში,—რომელთა შესახებ ჩვენ ლაპარაკი გვექნება შემდეგ, ჟორდანიას პოზიციის გამორკვევის დროს,—წუწუნებს, რომ წერეთელი ზიანს აყენებს მათ საქმეს, ხსნის დისკუსიას, ხოლო ამით სარგებლობენ ბოლშევიკები. (მაინც დიდია შიში ბოლშევიკების წინაშე ბ-ნო ჟორდანიავ!). ეს ადვილი შესაძლებელია, რომ ისინი ერთი მეორეს ხელს უშლიან „საერთო" საქმეში. **მაგრამ მუშათა კლასისათვის, ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლიუციისათვის ჟორდანიაც, წერეთელიც და გრ. ლორთქიფანიძეც ერთნაირ საფრთხეს წარმოადგენენ და მათი პოზიციების წინააღმდეგ საჭიროა გადამჭრელი, დაუზოგავი ბრძოლა.**

წერეთლის ძირ დამპალი „ოპოზიციურობა" ისევ ფარავს და თითქოს ფერუმარილს სცხებს მენშევიზმს. წერეთელი, როგორც სჩვევია მის ბუნებას, ხელ-ახლა სულმდაბლად ლაქობს ბურჟუაზიის წინაშე, რათა მან მუშათა კლასის რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა აწარმოვოს. და მისი ეხლანდელი მოღვაწეობა ძალა-უნებურად გვაგონებს იმ დროს, როცა ის ამასვე სჩადიოდა დროებითი (ანუ უკეთ ვსთქვათ უდღეურ) მთავრობის მინისტრათ ყოფნის დროს. 1917 წლის ივლისის დღეებში წერილში „რევოლიუციის გაკვეთილები" ამხ. ლენინი იძლევა წერეთელის დაუნდობელ და სხარტულ დახასიათებას: **„რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზია განსაკუთრებით იყენებდა მინისტრს წერეთელს... წერეთელი ეს ტიპიური წარმომადგენელი ჩერჩეტი, დამფრთხალი ფილისტერებისა ყველაზე უფრო „კეთილსინდისიერად" ევებოდა ბურჟუაზიულ წახნიანების ანკესზე, ყველაზე უფრო ერთგულათ „არბევდა და ამშვიდებდა" კრონშტადტს. მას არ ესმოდა, რომ კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის ლაქიის როლს თამაშობდა. იქ, სადაც მთავრობის დასაცავად არ შეეძლო გამოჩენილიყო მინისტრი—ბურჟუა, მაგალითად რევოლიუციონურ მუშების წინაშე ან საბჭოებში, იქ გამოდიოდა (უკეთ ვსთქვათ, იგზავნებოდა ბურჟუაზიის მიერ) „სოციალისტი მინისტრები სკობელევი*), წერეთელი, ჩერნოვი და სხვ. და კეთილ სინდისიერათ ასრულებდენ ბურჟუაზიის საქმეს, წელებზე ფეხს იდგამდენ სამინისტროს დასაცავად, აქებდენ კაპიტალისტებს, აბრიყვებდენ ხალხს დაუსრულებელ დაპირებების განმეორებით, დაუსრულებელ მოლოდინის რჩევით".**

ამას ვეღარაფერს მიუმატებთ გარდა იმისა, რომ წერეთელი უკვე მეათე წელია განაგრძობს კონტრ-რევოლიუციონურ—ბურჟუაზიის წინაშე ლაქიობის და ხალხის (მართალია, მას ხალხი უკვე აღარ ჰყავს ემიგრანტული „მრევლს" გარდა) დაპირებებით გაბრიყვების ამ პროფესიას. განაგრძეთ, განაგრძეთ ბ-ნო წერეთელო! იჯექით მენშევიკურ ჭაობში. მშრომელთა მასებმა თავისი გზა უკვე გამონახეს, მათ უკვე ყველა დასკვნები გააკეთეს.

მიხ. კახიანი.

---

*) სკობელევმა დიდი ხანია გასწყვიტა ყოველიფე კავშირი მენშევიზმთან და გადავიდა მუშათა კლასის და კომპარტიის ბანაკში.

მ. კ.

„პარტიის წევრი" ალავერდოვი

ამას წინათ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროს ეცნობა ვინმე ისაკა ალავერდოვის შესახებ, რომელიც მსახურებდა საქართველოს განათლების სახკომის პირად მდივნის თანამდებობაზე. ხსენებული ალავერდოვი თავის-თავს პარტიის წევრად ასაღებდა. ის გაბედულად აცხადებდა, რომ ის არის 1917 წლიდან პარტიის წევრი და დიდი პარტიული დამსახურება მიუძღვის.

შეიტყო რა ეს ფაქტი, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიურომ აცნობა სახალხო განათლების კომისარიატს; ამ უკანასკნელმა კი ალავერდოვი მოხსნა პირადი მდივნობიდან, და მაინც დასტოვა კომენდანტათ.

ამიტომ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიურომ საქმის გამოძიების შემდეგ, დაადასტურა რა ყველა ის ბრალდებები, რომელნიც მიმართული იყო ალავერდოვის წინაალმდეგ, დაადგინა:

1) მოხსნილ იქნას ალავერდოვი ყოველგვარ სამსახურიდან და 2) მთელი საქმე მის შესახებ გადაცემულ იქნას ალმოსავლეთ საქართველოს პროკურატურაში.

ი. ხ.

ა.-კ. სატარიფო თათბირის რეზოლუცია

1. ხელფასის ნორმების სახელ. მოწესრიგების შესახებ

1. ვინაიდან, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების მუშაკთა ჯამაგირებში შემჩნეულია მეტის-მეტი სიჭრელე და თანამდებობათა განაკვეთები, რომელნიც აღნიშნულია ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახარჯთაღრიცხვო—ცხრილებში უმეტეს შემთხვევაში დაწესებულებებს შიგნით ფონდების ხელახლა განაწილების და ხელფასისათვის ბიუჯეტის სხვა პარაგრაფების გამოყენების გამო, ნაკლებია იმაზე, რასაც ფაქტიურად ღებულობენ ამ თანამდებობისათვის, მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგების გატარება, რომელსაც მიზნათ აქვს ხელფასის სიჭრელის მოსპობა.

2. 1926—27 საბიუჯეტო წლიდან ხელფასის ნორმების სახელმწიფო მოწესრიგების გატარება ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებებში შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ 1926—27 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი იქნება:

ა) ხელფასის ფონდი მუშაკთა ამჟამად არსებულ კონტინგენტისათვის იმ რაოდენობით, რომ შესაძლებელი გახდეს ხელფასის ნორმების დაწესება ისე, რომ ჯამაგირის შემცირება არ შეეხოს მთელი მუშაკების 5 პროცენტზე მეტს.

ბ) იმ დამატებითი თანხების, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაყვანილ დაწესებულებათა მუშაკების, ახლად მოხსნილ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების მოსამსახურეთა გასასტუმრებლად. და აგრეთვე იმ შტატის დასაკმაყოფილებლად, რომელიც, შესაძლებელია, 1926—27 წლისათვის ამჟამად ფაქტიურად არსებულ შტატთან შედარებით გადიდებულ იქნეს.

3. 1926—27 ხელფასის ფონდი მუშაკთა არსებულ კონტინგენტისათვის ხელფასის ნორმების სახელმწიფო მოწესრიგების დროს აუცილებლად გადააჭარბებს არა მარტო 1925—26 წლის ბიუჯეტით დადგენილ ფონდს, არამედ ხელფასის იმ ფონდსაც, რომელიც ფაქტიურად იხარჯებოდა მიმდინარე წლის ხელფასის გასასტუმრებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელი გახდება ხელფასის ფონდის განაწილება მუშაკთა (ცალკე ჯგუფებს შორის, რაც გამოიწვევს მუშაკთა დიდი ნაწილის ხელფასის შემცირებას, ეს კი დაუშვებელია, რადგან ხელფასის დონე ისედაც დაბალია.

4. ვინაიდან ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დამუშავებული განაკვეთების სქემა იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ მუშაკთა 18—20 პროცენტის ფაქტიური ხელფასის ყოვლად შეუწყნარებელ შემცირებას, ასეთი შედეგების ასაცილებლად, აუცილებლად ცნობილ იქნეს შრომის სახ. კომისარიატის მიერ დამუშავებულ სქემაში ზოგიერთ ცვლილებების შეტანა დამატებითი ჯამაგირების დაწესების სახით. ეს შესწორებები ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა უნდა მიიღოს რესპუბლიკების პროფსაბჭოების და შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დასკვნის წარდგენისთანავე.

5. აუცილებლად იქნეს ცნობილი ბიუჯეტში თანხების შეტანა შემდეგი მუხლებისათვის: ზედმეტი სამუშაოებისათვის, საშვებულებო კომპენსაციისათვის, სპეცტანსაცმელისათვის,—დაწესებულებებში არსებულ შრომის პირობებთან შეფარდებით.

6. სახელმწ. ბიუჯეტზე მყოფ სამოსწავლო დაწესებულებების პედაგოგიურ პერსონალზე ხელფასის ნორმების სახელმწიფო მოწესრიგების გავრცელების მიზნით, დაევალოს რესპუბლიკების პროფსაბჭოებს და შრომის სახ. კომისარიატებს სასწრაფოთ შეისწავლონ საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია ხელფასის ნორმების მოწესრიგების გავრცელება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სასწავლებლების პედაგოგიურ პერსონალზე.

7. აუცილებლად იქნეს ცნობილი შტატების დასაწესებლად და საშტატო კომისიების მუშაობის ხაზის გამოსასწორებლად წარმოებული მუშაობის სასწრაფო დამთავრება სახელმწიფოს ფინანსიურ შესაძლებლობასთან შეფარდებით.

8. ცნობილ იქნეს სავალდებულოდ, რომ რესპუბლიკების პროფსაბჭოებმა დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭირო ფონდების ჯამის გამოყვანის დროს, გამოარკვიონ მიზეზები, რომელნიც იწვევენ ფონდების გადიდებას მიმდინარე წლის ასიგნობასა და ხარჯებთან შედარებით; პროფსაბჭოებმა უნდა გამოარკვიონ შემდეგი:

ა) დაწესებულებების ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაყვანის და სახელმწიფო ბიუჯეტზე ახალი დაწესებულებების გახსნის შედეგები.

ბ) მიმდინარე წლის ფაქტიურად არსებულ შტატებთან შედარებით შტატის გადიდების შედეგები.

გ) ფაქტიური ჯამაგირების ნომინალურად დაწესებულ (ხარჯთაღრიცხვით) ჯამაგირებზე გადაჭარბების შედეგები.

დ) იმ გადიდების შედეგები, რომელსაც უშუალოდ იწვევს ხელფასის ნორმების მოწესრიგება. (ფაქტიური შტატის მიხედვით).

9. ვინაიდან აღნიშნულია სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებებში ფაქტიურ ხელფასის აღრიცხვის უქონლობა, აუცილებლად იქნეს ცნობილი ამ დაწესებულებებში ხელფასის წესიერი და რეგულიარული აღრიცხვის შემოღება.

10. აღნიშნულია რა პროფორგანოების მეტისმეტი სუსტი მონაწილეობა 1925—26 წლის ბიუჯეტის შედგენაში, საჭიროდ იქნეს ცნობილი პროფორგანიზაციების მონაწილეობის გაძლიერება ბიუჯეტის შესადგენ მუშაობაში და მუშაობის შეთანხმება და ურთიერთ ინფორმაცია ქვედა და მაღალ საკავშირო და საკავშირთაშორისო ორგანიზაციებს შორის. (კერძოთ, რესპუბლიკების პროფსაბჭოების მხრივ ცნობების რეგულიარული მიწოდება ა.-კ. პროფსაბჭოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესადგენად წარმოებულ მუშაობის შესახებ).

ავიაქიმის დღე თბილისში

ავიაქიმის დღე 14 ივლისი თბილისში ზეიმით ჩატარდა. დილით ჰაეროდრომიდან გაფრინდა ორი ჰაეროპლანი გორამდე და თელავამდე. მესამე ჰაეროპლანი თავის დასტრიალებდა ქალაქს.

თვით ჰაეროდრომზე თვითმფრინავ „იუნკერსი"-თ მოხდა ავიაქიმის უჯრედების წევრთა „საჰაერო ნათლობა"—გაფრენა. სულ აფრინდა 39 კაცი.

საღამოს წითელი არმიის და ფლოტის ბაღში საქართველოს ავიაქიმის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით გაიმართა საზეიმო სხდომა ავიაქიმის დღის აღსანიშნავად.

სხდომაზე მისალმებებით გამოვიდნენ ამხანაგები: ვარვარიკი—არმიის პოლიტსამმართველოდან, ბუნიატოვა—ს. კ. პ. თ. კ. ქალთა განყოფილებიდან, მაჭავარიანი—სამხედრო-საჰაერო ძალებიდან, დიმიტრიევი—სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებიდან, ლეინი—ა.-კ. რკ. გზებიდან, ბზეკალავა—საქ. ავიაქიმიდან და მელნიკოვი—ფიზკულტურის საბჭოდან.

დასასრულ ამხ. ეგიკოვმა გააკეთა მოხსენება ავიაქიმის მნიშვნელობისა და მომავალი ომის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მომავალი ომები იწარმოებს ავიაციის და ქიმიის საშუალებით, რისთვისაც ყოველი მოქალაქე მზათ უნდა იყოს და იცოდეს ამ ომების დროს თავდაცვის წესები. ამ საქმეში კი ავიაქიმს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს.

მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

სხდომის შემდეგ ბაღში გაიმართა კინო. უჩვენეს ეკრანზე ქიმიური ომის მეთოდები და ქიმიის გამოყენება სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლაში.

ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საექიმო დახმარების ქვე-განყოფილება ენკენისთვიდან ორჯონიკიძის (ყოფ. ანდრეევის) ქუჩაზე № 30 გახსნის ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტს.

ინსტიტუტი დაარსდა ამხ. ჯავაირა ხუტულაშვილის თაოსნობით; პროექტი შედგენილია ექიმ ზანდუკელის მიერ, რომელიც ხელმძღვანელობს ინსტიტუტის მოსაწყობად წარმოებულ მუშაობას.

ინსტიტუტის მიზანია, ყოველგვარ სნეულებათა მკურნალობა ფიზიკური მეთოდით. უკანასკნელი წლების განმავლობაში ფიზიკურ მეთოდს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა მედიცინაში. ამ მეთოდმა თანდათან მოიპოვა უპირატესობა მედიკამენტებით მკურნალობასთან შედარებით.

ინსტიტუტში იქნება შემდეგი განყოფილებები:

წყლით სამკურნალო, სადაც იქნება ყოველგვარი „დუშები" (შარკო-შოტლანდიური, ცირკულიარული და სხვა, ყოველგვარი ვანები (ნახშირმჟავის, მარილის, დასაჯდომი ვანები და სხვა) და სინათლის და ორთქლის ვანები.

წყლით სამკურნალოს გარდა, ინსტიტუტში იქნება მთელი რიგი ელექტრო-კაბინეტები: ფინზენის, სინათლის, რადიოლოგიური, ელექტრო-სამკურნალო, რენტგენო-დიაგნოსტიური, რენტგენო-თერაპევტიული. ელექტრო-კარდიოგრაფიული და საკონსულტაციო კაბინეტები; ამასთანავე ინსტიტუტში ეწყობა მზის ვანების მისაღები განყოფილება. ლაბორატორია და მთელი რიგი საექიმო კაბინეტები.

ინსტიტუტი მოწყობილი იქნება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით; ზედმიწევნით დაცული იქნება ჰიგიენური პირობები (საექიმო ოთახები იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ყველა ოთახებში ჰაერი გაიწმინდება ხუთჯერ ერთი საათის განმავლობაში); ამას გარდა ყველა განყოფილებებში გატარებულია მოწყობილობის მექანიზაცია.

მოწყობილობა ინსტიტუტისათვის ჩამოტანილია მოსკოვიდან, ნაწილი გამოწერილია საზღვარ-გარეთიდან.

თავისი მოწყობილობით თბილისის ფიზიოთერაპევტიული ინსტიტუტი ერთ-ერთ პირველ ადგილს დაიჭერს მთელს საბჭოთა კავშირში.

წითელი ჯვარი

ქუთაისის განყოფილების გამოკვლევა

საქ. მ.-გ. ინსპექციამ გამოიკვლია წ. ჯ. ქუთაისის განყოფ. მუშაობა და გამოიტანა შემდეგი დასკვნები:

ქუთაისის განყოფ. დიდ ნაკლს წარმოადგენს ორგანიზაციული მოუწყობლობა, მასასთან შესაფერი კავშირის დაუმყარებლობა, საზოგადოების წევრების ნაკლები აქტივობა, განსაკუთრებით საფინანსო დარგში, რასაც შედეგად მოჰყვა საზოგადოების მატერიალური მდგომარეობის გაუარესება და სხვადასხვა დარგების შეუთანხმებელი მუშაობა.

სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად, საბრუნავი თანხების უქონლობის გამო წ. ჯ. საზოგადოება მიმართავს კერძო კაპიტალის დახმარებისათვის და ბანკებიდან კრედიტების სარგებლობისათვის, რითაც დაწყებული ყოფილა ფქვილის ოპერაციები, მაგრამ ფაქტიურად ფქვილის მიღება-განაწილების საქმე კონტრ-აგენტებს ჩავარდნიათ ხელში, რაიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა შინა-ვაჭრობის სახკომის დადგენილებებს.

ქუთ. წ. ჯ. კომიტეტის საქმიანობაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ფართლეულობით ვაჭრობას, მაგრამ აქედან მიღებული დიდი მოგება, რომელიც 1-ლ ივნისისათვის შეადგენდა 14.660 მანეთამდის, აიხსნება იმით, რომ წ. ჯ. კომიტეტს აუწევია ფასები ფართლეულობაზე.

რაც შეეხება წ. ჯ. საექიმო-სასანიტარო დარგში მუშაობას, გამოირკვა, რომ ამ დარგს არ სჭერია საზოგადოების მოქმედებაში სათანადო ადგილი, უმთავრესად კი საზოგადოებას არ მიუქცევია სათანადო ყურადღება სოფლად საექიმო-სასანიტარო საქმის განმტკიცებისათვის; მთელი ხარჯი სამედიცინო მკურნალობის საქმეზე უდრიდა 1925 წ. 1-ლ ოქტომბრიდან 1926 წ. 1-ლ მაისამდე 6.342—22, რაც საკომერციო საქმეში დაბანდებულ თანხებთან შედარებით უმნიშვნელო ჯამს წარმოადგენს.

ამრიგათ გამოირკვა, რომ წ. ჯ. ქუთაისის განყოფილებას უფრო საკომერციო ხასიათი ჰქონდა ვიდრე საექიმო-სასანიტარო, რაიც სრულებით ეწინააღმდეგება მის ამოცანებს მშვიდობიანობის დროს.

სომხური ლექსიკონი

სორბონის უნივერსიტეტის (საფრანგეთში) პროფ. მაიემ მიმართა სომხეთის უნივერსიტეტის პროფ. აჭარიანს, რათა ამ უკანასკნელმა ფრანგულ ენაზე გადათარგმნოს მის მიერ შედგენილი სომხური ლექსიკონი. აჭარიანი ამ ლექსიკონის შედგენაზე მუშაობდა 40 წელიწადი. ლექსიკონში შეტანილ ყოველ სიტყვას აქვს ფართო ახსნა მისი წარმოშობისა და ძირის შესახებ.

მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა გადამზადება

13 ივლისს კოჯორში მოხდა მასწავლებელთა და განათლების ინსტრუქტორთა გადასამზადებელი კურსების საზეიმო გახსნა. შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა განათლების კომისარიატის სასკოლო განყოფილების გამგემ ამხ. გოგუაძემ, რომელმაც მოკლეთ განმარტა კურსების მიზანი და მოუწოდა კურსანტებს ნაყოფიერი მუშაობისაკენ.

მასწავლებელთა კურსებზე წარმოდგენილი არიან ზუგდიდის, ოზურგეთის, ფოთის, აჭარისტანის და აფხაზეთის 4 წლიანი შრომის სკოლის მასწავლებლები, ხოლო ინსტრუქტორთა კურსებზე კი მეცადინეობენ თითქმის მთელი რესპუბლიკის განათლების ინსტრუქტორები.

კურსებზე მეცადინეობას ექნება უფრო პრაქტიკული ხასიათი და სწავლა იწარმოებს განსაკუთრებით სამ საგანში: ბუნებისმეტყველება, საზოგადო მეცნიერება და შრომის სკოლის პრინციპები.

საექიმო იარაღები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა შეიძინოს საზღვარ-გარეთ თბილისის საექიმო დაწესებულებათათვის ახალი გაუმჯობესებული სექიმო იარაღები.

იარაღების შესაძენათ გადადებულია 17 ათასი მანეთი, რომელიც ჯანმრთელობის კომისარიატმა მიიღო საკავშირო ფონდიდან.

ხელსაწყო-იარაღების შესაძენათ ყოველი სამკურნალო დაწესებულება ცალკე ადგენს საჭირო ინსტრუმენტების სიას და აგზავნის მას ჯანმრთელობის კომისარიატში განსახილველად.

ყველა დაწესებულებათაგან წარმოდგენილ მოთხოვნილების სიების გადამუშავების შემდეგ, ჯან. სახ. კომისარიატი გაგზავნის შეკვეთას ევროპაში; მიღებულ ხელსაწყო-იარაღებს პირველ რიგში დაურიგებენ ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტს, გამასწორებელ სახლების საავადმყოფოს, სულით-ავადმყოფთა სამკურნალოს. სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტს, თვალის სნეულებათა ინსტიტუტს და სხვა.

საქონლის მიღება

1-დან 9 ივლისამდე ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველომ საზღვარგარეთიდან მიიღო შემდეგი საქონელი: 11 ფუთი ელექტრო ხელსაწყოები, 6 ფუთი ხელსაწყო ფეხსაცმელების სამკერვალოებისათვის; 2 ფუთი წყლის საქაჩავები; 3 ფუთი „ფიატი"-ს ავტონაწილები; 2 მოტოციკლეტი; 3 ავტომობილი „რენო"-ს სისტემის; ველოსიპედები 1 ფუთი კინო-კლიონკები და სხ.

ამერიკელ სტუდენტთა დელეგაცია მოდის საქართველოში

სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ აცნობა საქართველოს პროფსაბჭოს, რომ 22 ივლისს საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვა ამერიკელ სტუდენტთა დელეგაცია 8 წევრის და 2 მხლებლების შემადგენლობით. დელეგაცია დაათვალიერებს თბილისს და ბათომს.

დელეგაციაში შედიან: **ვან ალსტეინ, პირს ბეკერ, შუმაკერ** (კოლუმბიის უნივერსიტეტიდან), **სმიტ** (პიტსბურგის უნივერსიტეტიდან), **სტაბერ** (მიჩიგანის უნივერსიტეტიდან), **კრაუზ** (შტატ ინდიანის უნივერსიტეტიდან), **დავის—ხანგი** (მუშა ბროკვიდის უნივერსიტეტიდან) და **კარრინგტონ** (ნიუ-იორკის სოციალოგიური სკოლიდან).

დელეგაციის შესახვედრათ საქართველოს პროფსაბჭოს და პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს მიერ გამოყოფილი იქნება სპეციალური კომისია.

კოოპერაციის ფონდის განაწილება

ა.-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტით 1925—26 წლისათვის გადადებული იყო 864.000 მანეთი კოოპერაციის საშუალებათა გასაძლიერებლად. ამ თანხიდან 768.060 მან. დაურიგდა აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკებს. დანარჩენი თანხა კი მოხმარდა რამოდენიმე კოოპერატიულ ორგანოს.

ალნიშნულ თანხიდან საქართველოს წილად ხვდა 307.223 მან. ე. ი. მთელი თანხის 40%.

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ამ თანხიდან უნდა მიეცეს: 1) შინა-მრეწველობის კოოპერაციას—39.163 მან., 2) სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციას — 167.478 მან. და 3) სამომხმარებლო კოოპერაციას—100.582 მან.

სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გაანაწილა ალნიშნული თანხა საქართველოს და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად:

სამომხმარებლო კოოპერაციას: საქართველოსათვის 85,3% ე. ი. 85,796 მან. 41 კ. აფხაზეთს—6,0% ე. ი. 6,034 მან. 92 კ., აჭარისტანს—6,7% ე. ი. 6,738 მან. 99 კ. და სამხრეთ-ოსეთს —2,0% ე. ი. 2.011 მან. 64 კ., სულ—100.582 მან. 60 კ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას: საქართველოსათვის — 143.028 მან. 63 კ. (85,7%), აფხაზეთს — 15.910 მან. 41 კ. (9,5%), აჭარისტანს — 4.689 მან. 38 კ. (2,8%) და სამხრეთ-ოსეთს—3.849 მან. 56 კ. (2,0%). სულ — 167.478 მან.

საერთო ჯამი ორივე დარგისთვის უდრის:

საქართველოსათვის — 228.825- მან. 10 კ. (86,2%).
აფხაზეთისათვის — 21.945 მან. 33 კ. (8,2%).
აჭარისტანისათვის — 11.428 მან. 37 კ. (4,3%).
სამხრეთ-ოსეთისათვის — 5.861 მან. 20 კ. (1,3%).
სულ — 268.060 მან. 00 კ. (100%).

შინამრეწველობის კოოპერაციისათვის კუთვნილი თანხის 39.163 მან. განაწილება მოხდება დამატებით.

ახალი ადმინისტრატიული გადამიჯვნა

ცაკთან არსებულმა თემების რიცხვის შემამცირებელმა კომისიამ, უკვე დაამთავრა მუშაობა და დაადგინა შემცირების თემების რიცხვი მაზრებში შემდეგნაირათ: ახალქალაქის მაზრაში დატოვებული იქნება 10 თემი და ერთი სასოფლო საბჭო; ახალციხის მაზრაში—12 თემი, გაუქმდა—8; ბორჩალოს მაზრაში 17 თემი; გორის მაზრაში—27 თემი, გაუქმდა—7; დუშეთის მაზრაში დარჩა 18 თემი, გაუქმდა—2; თელავის მაზრაში დატოვებულ იქნა 16, გაუქმდა 3 თემი; სიღნაღის მაზრაში დარჩა 29 თემი, გაუქმდა 3; შორაპნის მაზრაში დაარსდა ორი ახალი თემი: ჭიათურის და შორაპნის, ხოლო გაუქმდა 8 თემი; ზემო-სვანეთის მაზრაში დარჩა 11 თემი, გაუქმდა 4 თემი; ზუგდიდ. მაზ. დატოვებულია 38 თემი, გაუქმდა—11 თემი; სენაკის მაზრაში დარჩა 31 თემი, გაუქმდა—8; ლეჩხუმის მაზრაში დარჩა 14 თემი; რაჭის მაზრაში დარჩა—21 თემი, გაუქმდა—8; ოზურგეთის მაზრაში დარჩა 30 თემი, გაუქმდა—11; ქუთაისის მაზრაში დარჩა 40 თემი, გაუქმდა—5.

თბილისის მაზრის ადმინისტრატიული დაყოფის გადასასინჯათ და თემთა სისტემაზე გადასვლის შესაძლებლობის გამოსარკვევად, ცაკში გამოიყო ცალკე კომისია ამხ. დ. ბუციაურის თავმჯდომარეობით. კომისიას დაევალა დაამუშაოს საკითხი თბილისის თემებათ დაყოფის შესახებ და თავისი დასკვნები წარუდგინოს ცაკს დასამტკიცებლად.

ხორცი

13 ივლისიდან კოოპერატიულ ხორცით სავაჭროებში ცხვრის ხორცი გაიაფებულია. იგი ეხლა იყიდება 35 კაპ. გირვანქა.

ამ დღეებში დაიკლებს ძროხისა და ღორის ხორცის ფასიც.

„მწყემსი"-ს გამსაღებელ პუნქტს განზრახვა აქვს ერთ კვირაში დასწიოს გირვანქა ძროხისა და ხარის ხორცის ფასი 30 კაპეიკამდე.

მაუდის ფაბრიკა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა და მოიწონა ეკონომიური სამმართველოს მიერ წარმოდგენილი გეგმა მაუდის ფაბრიკის აგების შესახებ.

გეგმით გათვალისწინებულია ფაბრიკის ასაგებ სამშენებლო შტატის მოწყობა 18 თანამშრომლის და ერთი სამუშაოთა მწარმოებლის თანამდებობით.

მოსამსახურეები აყვანილ უნდა იქნან ფაბრიკის ასაგებ სამუშაოების გაფართოებასთან დაკავშირებულ საჭიროების მიხედვით.

ს. მ. უ. ს. აპარატი

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოახდინოს ს. მ. უ. ს. აპარატის რეორგანიზაცია და გამოიმუშაოს მოსამსახურეთა ახალი შტატი.

ახალი პროექტის თანახმად, მიღებულია, შეძლებისდაგვარად ს. მ. უ. ს. განყოფილებათა გამგეების პრეზიდიუმთან უშუალოდ დაქვემდებარების პრინციპი; მთელი ს. მ. უ. ს. აპარატი დაყოფილია შემდეგ განყოფილებებათ: ადმინისტრატიულ-სამეურნეო, საწარმოო-საგეგმო, ტექნიკური, სამთო განყოფილება (გეოლოგიურ და სამთამადნეთმრეწველობის ქვე-განყოფილებით), შინამრეწველობის და კერძო მრეწველობის განყოფილება, სტატისტიკური განყოფილება, სარევიზიო განყოფილება და ცენტრალური ბუხჰალტერია.

შტატების შესახებ მიღებულ იქნა დადგენილება, რომ ალარ მოხდეს მისი შემცირება და დარჩეს შტატში 131 მოსამსახურე. ალნიშნული დადგენილება გამოწვეულია მით, რომ ს. მ. უ. ს. განზრახვა აქვს გააფართოოს თავისი მუშაობა (ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგება, შინა-მრეწველობის განყოფილების დაარსება და სხ.).

ქრონიკა

„დორნიე-კომეტა"

გუშინწინ თბილისში მოფრინდა უკრაინის სამოქალაქო ფრენოსნობის საზოგადოების სამგზავრო ჰაეროპლანი „დორნიე კომეტა", რომელიც გუშინ გაფრინდა მოსკოვში ბაქოს ხაზით. ბაქოში ჰაეროპლანს გაჰყვა საზოგადოების თბილისის სადგურის უფროსი ამხ. ქებურია.

ბარიტის წისქვილი

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა დაჩქარებით შეუდგეს ბარიტის წისქვილის აგებას ქუთაისში.

სამუშაოთა მწარმოებლათ დაინიშნა ინჟ. შენგელიძე. წისქვილის სამშენებლო შტატი კი განისაზღვრა 10 კაცით.

თბ. აღმასკომში

— **მცენარეულობის მოშენება.** კეთილმოწყობის განყოფილებას დაევალა ხილიანულას, ვაკის და სოლოლაკის რაიონებში გააშენოს მცენარეულობა.

— **დედათა და ბავშვთა სახლის** საფუძვლიან შეკეთებას შეუდგებიან ამ დღეებში. განზრახულია სახლის გაფართოება.

— **მარტყოფის** სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ გლეხების ზარალის გამოსარკვევად შესდგა კომისია.

— **წითელ ლაშქრის** ზოგიერთ შენობათა შესაკეთებლად გადადებული იქნა 20,000 მან.

— **მუშტაიდის** ბაღის გასაფართოებლად და საბოლოოდ კეთილმოსაწყობად, დამატებით გადაიდო 3785 მან.

— **მტკვრის ნაპირების გამაგრება.** ამ დღეებში შეუდგებიან ვერის ხიდის ზევით მტკვრის ნაპირების გამაგრებას ქვითკირით.

სხვადასხვა

— **მალარია.** თებერვალში მთელ რესპუბლიკაში მალარიით დაავადმყოფებული იყო 5800 კაცი, აპრილში ეს რიცხვი გაიზარდა 6852 კაცამდე, ხოლო მაისში მალარიით დაავადებულთა რიცხვი აღწევდა 14.000 კაცამდე.

— მალაროებში ამჟამად მუშაობს 6557 მუშა.

— თბილისში მწარმოებელ კავშირთა შორის ყველაზე მეტი წევრები ჰყავს გემო-კვების კავშირს—რიცხვით 3179.

— **შრომის პირობების გამოკვლევა.** გორის, ბორჩალოს, სიღნაღის და თელავის მაზრებში სწარმოებს მოჯამაგირეთა პირობების გამოკვლევა.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში შემთხვევებში აღნიშნული იყო, რომ სისტემატიურ ქურდობისათვის დაპატიმრებულია ილიკო ზერაძე. ეს ცნობა არ შეეხება პირველ საბჭოთა აფთიაქის თანამშრომელს ამხ. ილიკო ივანეს ზერაძეს. ქურდობა ჩადენილია კორონან საკანდიტეროს ნოქრის ფერაძის მიერ, რომელიც დაპატიმრებულია.

ხელოვნების ქრონიკა

— **მუშათა ახალ კლუბში.** დღეს გაიმართება აღმოსავლურ ცეკვის და მუსიკის სალამო ოლანეზაშვილის მონაწილეობით.

— ამავე კლუბში ხვალ გაიმართება სიმფონიური კონცერტი სტოლერმანის ხელმძღვანელობით.

— **„რობინ გუდ".** „აპოლოში" დაიწყო „რობინ გუდ"-ის ჩვენება დუგლას ფერბენკსის მონაწილეობით.

შემთხვევები

— **ქურდი ავადმყოფი.** 13 ივლისს სასახლის ქ. № 6 კბილის ექიმ ეკატერინე ხოფერიასთან ვითომდა კბილის საექიმოთ შესულა უცნობი პირი, რომელსაც ექიმის მეორე ოთახში გასვლის დროს მოუპარავს 30 მან. ფულად და 110 მან ნივთები. ქურდი მიიმალა.

— ამავე დღეს თვალის ექიმ შატილოვთან შესულა როგორც ავადმყოფი, უცნობი ახალგაზრდა, რომელმაც დროს შერჩევისთანავე მისაღებ კაბინეტიდან მოიპარა ოქროს სათვალე და საათი. ქურდი მიიმალა.

— **ძარცვა.** სოფ. სარვანში (ბორჩ. მაზრა) მწყემსებმა ხანჯლით დასჭრეს მეველე ალავერდოვი.

— **ვერ მოასწრო.** 13 ივლისს, ელისაბედის ქ. № 58 შეიპყრეს სირატიანის ბინის გაქურდვის განმზრახველი.

— **შეიპყრობა.** 13 ივლისს შეიპყრეს კახეთის ქ. მდებარე ბაქის დარაჯი გოგიაშვილი სიკო და სარდიონ ტოკრიშვილები გაქურდვისათვის.

— ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს მცირე წლოვანი ხალიმ მურუჯი.

— **ქურდი ქალები.** 13 ივლისს, გრიბოედოვის ქ. № 27 ანდრო მაქსიმოვის ბინა გაქურდა მასთან დროებით მცხოვრებმა ანნა ოგანეზოვამ, რომელიც იმავე დღეს დააპატიმრეს.

— ამავე დღის პლეხ. პრ. № 169 ივანე ტალახაძის ბინა გაქურდა დუსია ჩერნოვამ. ქურდი შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 13 ივლისს პლეხ.პრ. № 121 მე-14 მუშკოოპის მაღაზიიდან მოიპარეს 300 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ყიფიანოვის ქ. № 11 კესარია აზრამაძის ბინიდან მოიპარეს 400 მან ნივთები.

— ახალ მუშათა კლუბის ბაღში მებაღეს ბალიაშვილს მოპარეს ხალათი.

— ამავე დღეს სომხის ბაზარში სახ. № 5 კოჩაროვის ფართლეულობის მაღაზიიდან ვაჭრობის დროს მოიპარეს 250 მან. ნივთები.

სასამართლო

„ქეიფის მოყვარულთა საზოგადოება"

აბრამ ვართანოვი და კარაპეტ პაპაიანცი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. ერთ დღეს შეხვედრისას მათ გაცხოველებული სჯა-ბაასი გამართეს „საჭირბოროტო" საკითხებზე. კარაპეტი თავგამოდებით იცავდა იმ აზრს, რომ უფულოდ ცხოვრება არა ღირს. აბრამი კი უფრო ოპტიმისტურად უყურებდა ცხოვრებას და ამტკიცებდა უფულოთაც შეიძლება კარგათ ცხოვრებაო;—აგრე შევადგინოთ ჩვენებრ მხიარული ვაჟკაცთა გუნდი და რაც ვიშოვოთ სულ ღხინში ვხარჯოთ—„სწრაფია ვით ტალღა ცხოვრება ჩვენი"—დაუმატა აბრამმა.

„მეგობრებმა" სიტყვა საქმეთ აქციეს და დაარსეს მემუშტი-კრივეთა გუნდი, სახელწოდებით „ჩოფკა" და „კარო".

ამ ჯგუფებმა მიზანში ამოიღეს შინა-მრეწველთა ხელოსანთა კლუბი.

ალნიშნული მოქეიფე ავარათა „ჩოფკა"-ს და „კარო"-ს წევრები, თითქმის, ყოველ ღამე დადიოდენ ამ კლუბში და მიმართავდენ მუშტი-კრივს და აყალ-მაყალს; ამათში პირველობას „ჩოფკა"-ს და „კარო"-ს წინამძღოლები აბრამ და კარაპეტ იჩენდენ.

საქმე იქამდის მივიდა, რომ ხელოსნის კლუბის გამგეობამ დაადგინა ეთხოვოს ამხ. ხმალაძეს, რომ გააძევოს ალნიშნულ კლუბიდან „ჩოფკა"-ს და „კარო"-ს წევრები—ავარები.

10 ივლისს, სალამოს ჟამს, როდესაც ხელოსანთა საზაფხულო კლუბში მომხიბლავი მუსიკის ხმა გაისმოდა, რაღაცნაირათ მოახერხეს შესვლა ბაღში ვართანოვმა და პაპაიანცმა და ლამაზ სუფრაზე წამოსკუპდნენ.

— კარაპეტ ფული გაქვს?

— რის ფული—„ქვლემი და გაღია, მე და ფული"—როდის მქონია, ეხლა რომ მქონდეს—იყო პასუხი.

— მაშ, ეხლა რა ვქნათ ჩემო აბრამ?

— საჭმელი მოვითხოვოთ, შევჭამოთ და გზა შემდეგ გამოჩნდება.

მართლაც, მოითხოვეს და ძალზედ შეზარხოშდენ. [illegible] მორიგე წევრმა, რომ ანგარიში მოსთხოვა, მათ აყალ-მაყალი ასტეხეს და კარაპეტი სადღაც გაქრა. იქ დარჩენილი აბრამი კი ირწმუნებოდა, რომ ფული კარაპეტს აქვს თანაო.

— ვინ ხართ თქვენ!—ეუბნებოდა მილიციელებს მთვრალი ვართანოვი.—დედაკაცები იქნებით თუ არ მესროლეთ. ამ დროს პაპაიანციც გამოჩნდა,—ორთავემ „შეხმატკბილებულად" ფიზიკური შეურაცყოფაც კი მიაყენეს მილიციელებს.

მილიციელებმა „გმირები" ძლივს მიიყვანეს კომისარიატში. მათ თავიანთი „დაშაქრული" ენით შეამკეს თანამშრომლები და შემდეგ მოისვენეს საპატიმრო კაბინეტში.

გუშინ სახალხო სასამართლოს მორიგ კამერაში გაირჩა მათი საქმე.

— მე არა ვარ დამნაშავე —განაცხადა სასამართლოში ვართანოვმა—ღვინის სმის და სეირნობის უფლება ყველას მინიჭებული აქვს, ხოლო ვერ ვითმენ, როცა მიშლიან სმას. იმედია, ეხლა გამანთავისუფლებთ—დასძინა ბოლოს.

ბრალდებულმა პაპაიანცმა უტიფრად განაცხადა, რომ მას სიმთვრალის გამო არაფერი არ ახსოვს.

სასამართლომ დაჰკითხა მოწმეებს, დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებულნი სისტემატიურად არღვევდენ ალნიშნულ კლუბში წესრიგს.

სასამართლომ ბრალდებულ ვართანოვს მიუსაჯა 1 ნახ. წლით გამსახლში დაპატიმრება, ხოლო ბრალდებულ პაპაიანცს კი ათი თვით.

კ.

მეცნიერება და ტექნიკა

მამონტის გვამის პოვნა

პროფ. ნეჩაევმა, რომელიც ციმბირში გაგზავნილ გეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობს მდ ამურის ნაპირებზე იპოვა მამონტის გაყინული გვამი.

დღემდი მეცნიერების მიერ მთელ მსოფლიოში ნაპოვნია მხოლოდ ორი მამონტის გვამი.

პირველი გვამი იპოვეს 1799 წ., ტუნგუზებმა. მდ. ლენის ნაპირებზე. ხორცი, ტყავი და ბალანი საუცხოვოდ იყო შენახული, მიუხედავათ იმისა, რომ მამონტმა გაყინულ მიწაში დაჰყო 20—30 ათასი წელიწადი. 1806 წ. მამონტის გვამი გადმოიტანეს პეტერბურგში და მოათავსეს სამეცნიერო აკადემიის მუზეუმში, სადაც ინახება დღემდი.

მეორე მამონტის გვამიც ნაპოვნი იქნა ციმბირში. მისი ხორციც მშვენიერათ შენახული იყო.

ის გარემოება, რომ ორივე მამონტის ხორცი მშვენიერათ შენახულ მდგომარეობაში იქნა ნაპოვნი, აიხსნება იმით, რომ უკანასკნელი მამონტები ცხოვრობდენ რაიონებში, სადაც ნიადაგი გაყინული იყო.

ამრიგად პროფ. ნეჩაევმა აღმოაჩინა მესამე მამონტი.

ელექტრობა სოფლის მეურნეობაში

დღემდი ბალახის გახმობა ბევრათ არის დამოკიდებული ამინდზე. საკმაო მოცელილ ბალახს წვიმამ მოუსწროს, რომ იგი სრულიად დაილუპოს ყოველწლიურად მოულოდნელი წვიმა ბევრ ზარალს აყენებს სოფლის მეურნეობას. გაზ. „ნიუ-იორკ-ტაიმს"-ის ცნობით, ამერიკაში დაუმზადებიათ ბალახის საშრობი მანქანები. ეს მანქანები საუცხოვოდ ასრულებენ მზის მაგიერობას და ერთი დღის განმავლობაში ახმობენ მოცელილ ბალახს.

კინო-ავტომატები

პარიზის ქუჩებზე დადგმულია კინო-ავტომატები, რომლებიც დიდის წარმატებით სარგებლობენ. ავტომატს გვერდზე გაკეთებული აქვს ჭუჭრუტანა ფულის ჩასაგდებათ. როგორც კი ავტომატში ფულს ჩააგდებენ, თავისით აენთება ელექტრონის ლამპა და მანქანა იწყებს მუშაობას. პროგრამა ყოველკვირაში იცვლება და შესდგება მიმდინარე მოვლენების ქრონიკიდან.

ნარევი

მეფეების დამხმარე სალარო

მილანში (იტალია) შესდგა იშვიათი კრილობა. თავის მატერიალურ საჭიროებათა და ურთიერთ დახმარების საკითხების განსახილველად შეიკრიბენ ბურბონების (საფრანგეთი) და გაბსბურგების (ყოფ. ავსტრია-უნგრეთი) ყოფ. სამეფო გვარეულობის უკანასკნელი წარმომადგენლები.

შეკრებილმა პრინცებმა, რომლებიდანაც ზოგიერთი დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდის (ალარ აქვთ ძველებურის განცხრომით ცხოვრების საშუალება) გადასწყვიტეს დაარსონ ურთიერთ დამხმარე სალარო.

მოსახლეობის ცარცვა-გლეჯა

ილინოისის შტატის (ამერიკა) აღმოაჩინეს აღმაშფოთებელი ფაქტი: ადგილობრივმა კერძო „ელექტრონის საზოგადოებამ" აბონენტების ბინაზე დადგა დახარჯული ენერგიის მთვლელი აპარატები, რომლებიც 1½-ჯერ უფრო მეტს უჩვენებდნენ, ვიდრე ფაქტიურად იხარჯებოდა ენერგია. ამ შანტაჟის წყალობით „ელექტრონის საზოგადოება" დღეში რამოდენიმე ასი ათას მანეთს იგებდა.

უდიდესი კინო-ფაბრიკა

კანადაში გაიხსნა მსოფლიოში უდიდესი კინო-ფაბრიკა, რომელიც ამერიკულ კინო - ტრესტს „უნიონ - ფილმს" ეკუთვნის. კინო-ფაბრიკაში მუშაობს 17.000 არტისტი. სურათების გადაღების დაჩქარებისათვის ზოგიერთ გამოჩენილ მსახიობებს ორეულები ჰყავთ და შესაძლებელი ხდება ერთი სურათის სხვადასხვა ეპიზოდის ერთსა და იმავე დროს გადაღება.

ყველაზე დიდი სურათების დასამზადებლათ ამ კინო-ფაბრიკაში საჭიროა 1—2 დღე.

„არ გაახალგაზრდავდეთ"

ამ ლოზუნგით, როგორც გაზეთი „ჩიკაგო ნიუს" იუწყება, გაიმართა დიდი დემონსტრაცია ქ. ჩიკაგოში. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდენ ის პირები, რომლებმაც თავი გაიახალგაზრდავეს. დემონსტრაციის შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელზეც მომხსენებლები ერთხმად აცხადებდენ: „არ გაახალგაზრდავდეთ", არ დაიღუპოთ თავი. გაახალგაზრდავებული არა ჰგავს ნორმალურ ადამიანს. ის სულით ბებერია, ტანით კი ახალგაზრდა. ეს ღუპავს მათ და ხელს უშლის ნორმალურ ცხოვრებას".

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 85

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

მემკვიდრეობისა და ჩუქებების წესით გადასასვლელი ქონების რაოდენობის შეზღუდვის გაუქმების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 16-ის თარიღის და 77 №-რის დადგენილების მე-3 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I

სამოქ. სამ. კოდ. 138, 416, 119 მუხ., 420 მუხლის შენიშვნისა, 421 მუხლის მე-2 შენიშვნისა, 428 მუხლის 1-ლი შენიშვნის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 138. ხელშეკრულება ისეთი ქონების უსასყიდლოთ დათმობის შესახებ (ჩუქება), რომლის ღირებულებაც ათას მან. აღემატება, ბათილობის რიდით დადებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით.

მუხ. 416. კანონით ან ანდერძით ქონების დამკვიდრება მოწესრიგდება ქვემოაღნიშნული მუხლებით.

მუხ. 419. ქონების კანონით დამკვიდრება შეიძლება ყველა შემთხვევაში, უკეთუ ის შეცვლილი არ არის ანდერძით.

მუხ. 420. შენიშვნა: 1. სახლის მოწყობილობა ფუფუნების საგნების გამოკლებით, გადადის თანასწორ წილად 418 მუხლში ჩამოთვლილ მემკვიდრეთა შორის იმათზე, რომელნიც გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ, ან იმ პირებზე რომელნიც ანდერძში არიან ალნიშნული.

მუხ. 421. შენიშვნა: 2. მოანდერძეს უფლება აქვს დაუტოვოს მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი კულტურულ, განმანათლებელ ან სხვა, კანონის არა საწინააღმდეგო, საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს.

მუხ. 428. შენიშვნა: 1. უარი მემკვიდრეობაზე განცხადებულ უნდა იქნეს სათანადო სასამართლოში სამი თვის განმავლობაში დღიდან მემკვიდრეობის გახსნისა. იმ პირის წილი, რომელიც უარს განაცხადებს გადადის სხვა მემკვიდრეებზე 418 მუხლში ალნიშნული წესით.

II

417. მუხ. ამოიშალოს.

III

დადგენილება ესე ძალაში შედის 1926 წლის მარტის 1-დან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თოდრია**

1926 წ. ივლისი
თბილისი—სასახლე

დადგენილება № 41.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

არაპირდაპირ გადასახადთა თაობაზე მომქმედ დადგენილებათა დარღვევისათვის 1924 წ. აპრილის 22 გამოცემული დასჯის წესების გაუქმების შესახებ

რადგანაც ს. ს. რ. კ. ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1925 წ. ოქტომბრის 23 გამოსცეს დადგენილება-სპირტის სასმელებისა და თამბაქოს ნაკეთობის გამოშვების არასწორი აქციზის და განსაკუთრებული საპატენტო გამოსაღების თაობაზე გამოცემულ დადგენილებათა დარღვევისათვის გადასახდელის წესის შესახებ („იზვესტია"-ს 1925 წ. 258 №-რით), სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. აპრილის 22 თარიღის და 84 №-რის დადგენილებით დამტკიცებული წესები არაპირდაპირ გადასახადთა თაობაზე მომქმედ დადგენილებათა დარღვევისათვის დასჯის შესახებ (კან. კრებული 1924 წლ. № 1, მუხ. 16).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თოდრია.**

1926 წ. ივნისი.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 15 ივლისს, დღის 2 საათზე, ს. ა. ლ. კ. კ-ს თბილისის კომიტეტის შენობაში შესდგება ს. ა. ლ. კ. კ-ს თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომა.

ს. ა. ლ. კ. კ-ს ყველა კანდიდატების, რომელთა ანკეტები მიმღებ კომისიამ უნდა დაამტკიცოს, დასწრება სავალდებულოა.

კომკავშირის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქართულ მუშთა კომკავშირის უჯრედის ყველა წევრებს, რათა გამოცხადდენ სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედში [illegible] 16 ივლისს, სალამოს 5 საათზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამხანაგები, რომელნიც არ გამოცხადდებიან ალნიშნულ დღეს, ჩაითვლებიან კავშირიდან მექანიკურად გამორიცხულად.

სრულიად საქართველოს ცაკის საქმეთა მმართველობის კანცელარიის თანამშრომლები მწუხარებით აცხადებენ ცაკის თანამშრომლის, უძვირფასესი მეგობრის და პატიოსანი მუშაკის

ამხ. არჩილ ნესტორის ძე მაჭარაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 2—2 ქვ. 3115

---

13 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

არჩილ ნესტორის ძე მაჭარაშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მისს თანამოსამსახურეებს გულდამწვარი მშობლები ნესტორ და ეკატერინე, მეუღლე მარიამ ფილიპეს ასული, ძმები: ვასო, კოტე და ლეო; დები: ელენე და თამარი, რძლები: ნინო, კატო და სიძე კოლია სულიკაშვილი. პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 7 საათზე მამადავითის ეკლესიაში. დაკრძალვა ხუთშაბათს, 15 ამა თვეს 4 საათზე. კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე წირვა და ანდერძი 12 საათზე. 2—2 ნ. 1554

დამწუხრებულნი მეუღლე სევერიანე ალექსისძე ელიავა შვილებით: მარო, ვერა, ნუცა, თამარა, ალიოშა და ტიტიკო. მულები ანნა მიქელაძისა და როსკან ელიავასი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის დაუვიწყარ და საყვარელ

ეკატერინე სატო ზურაბ გაბუნიას ასული ელიავასი

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის აღსანიშნავად გადახდილი იქნება პანაშვიდი სოფ. ლანირში. წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე შაბათს 17 ივლისს 1 ნახ. საათზე ქვ. 3139

ღრმად დამწუხრებულნი: მამა გიორგი (გიტო) დედა სურათი, ძმები დათა ცოლშვილით და ლონგინოზი, რძალი ნინო, ძმისშვილი რეზო და კატო კალანდაძისა მეუღლეთი მასიკო კალანდაძე, ამით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ 13 ივლისს, დილის 8 საათზე ქალაქის მეორე (ყოფილი ალექსანდროვის) საავადმყოფოში ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა შვილი, დანარჩენთა ძმა, ძვირფასი და დაუვიწყარი

ავგაროსი გიორგის ძე (გიტოს ძე) მახარაძე

გამოსვენება სასაფლაოზე ხუთშაბათს, 15 ივლისს, დილისით, 5 საათზე ქალაქის მეორე (ალექსანდროვის ყოფილ) საავადმყოფოდან. ფ. უ.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ქეთო და ნიკოლოზ ლომთათიძეები, ბებია ანუშკა და ბაბუა გიგო. ბიძები ალექსანდრე, ანდრო, არტემა, თომა და აკაკი. რძლები: ნურა და ფენია, მამიდები: სარალა და მარუსია აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

რუსაკი | იგივე ბიჭუნი | ნიკოლოზის ძე ლომთათიძე

დაკრძალვა მოხდება სოფელ მეწიეთში 15 ივლისს. ქ. 3144

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

სოლეი

ნ. 1446 0—12

შესანიშნავი სურათი
რობინ გუდ
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
ყოველდღე ანშლაგი. ვინც აიღებს კინოს ბილეთს—ბაღში შესვლისათვის არაფერს არ იხდის.

კომპანიო, კოლინზ და ანჯელო პრემიერაში
„გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა"
ტურგენიევის რომანის მიხედვით.
ანონსი: ამ დღეებში „შოპენის 15 ტე პრელუდია".

სათავგადასავლო სურათი უშიშარ ედდი პოლოს მონაწ.
საბედისწერო ხანჯალი
6 სერიათ. 1 და 2 სერია (12 ნაწილი) ერთად. ფასები ჩვეულებრივია

იოსებ იმედაშვილი
მზეთა მზე
ახალი პოემა
5 სურათით
ფასი 25 კპ.
ნ. 1544 6—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკური განყოფილებაში დღის 1—4-მდე. ალექსანდროვის ბაღთან № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი)
ტელ. 13—63.

საქართ. საზ.-ბა „ქართული მარგანეცი"

აცხადებს იმათ საყურადღებოთ, ვისაც სურს აიღოს თავის თავზე

500 კუბ. საჟ. შეშის მიწოდება

რომ ამ. 15 რიცხვამდე შემოტანილ უნდა იქნეს წერილობითი განცხადებები საზ.-ბის მთავარ კანტორაში, ჭიათურაში

მიწოდების პირობები: მაგარი ჯიშის შეშა 24 ვერშოკიანი, სატყეო დაღდასმით, ჩაბარებით ფრანკო-ვაგონი ჭიათურა

ჩაბარების ვადა: 2 თვის განმავლობაში დღეის რიცხვიდან

ანგარიშის გასწორება: ნაღდათ ჭიათურაში შეშის მიღებისთანავე.

2—2 ნ. 1556

განცხადება
ბათომის საბაჟო საბაჟო

ბათომის საბაჟო აცხადებს, რომ 1926 წლის 19 ივლისს, ორშაბათს დილის 10 საათზე, საბაჟოს საუქციონო დარბაზში დაიწყება

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება კონფისკაცია ქმნილი დიდი ძალი კონტრაბანდა საქონელი

საქონლის სახელწოდება	რაოდენობა	ჯამი საბაჟოს შეფასებით
პუდრი „კოტი"	48.496 კოლ.	223.747 მ.
ფილდეკოსის ჩულქები	2.590 დუჟ.	97.285 მ.
ლაქიანი ტყავი	15.839 ფუტი	79.187 მ.
შალის ქსოვილი „ინდიგო"	4919 მეტრ.	100.527 მ.
შევიოტი № 3003	1676 მეტრ.	21.653 მ.
შევიოტი № 3001.	2200 მეტრ.	20.507 მ.
სამართებელი „ერნ".	368 დუჟ.	4.560 მ.
შალის ქსოვილი კოვერკოტი	950 მეტრ.	18.898 მ.
ქიმიური კარანდაშები	1.822 დუჟ.	2.629 მ.
ტყავი შევრო	708 ფუტი	1.746 მ.
ლიონის შარფები		8.658 მ.
ლილა		
ქალის ტყავის ჩანთები		
რეზინის სარტყელები		
ბოქსის ტყავი და სხვა საქონელი		

2—1 ნ. 1550

ბათომის საბაჟო

სენაკის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების კომუნალური ქვე-განყოფილება

ამით აცხადებს, რომ მის მიერ 1926 წ. 25 ივლისს დღის 12 საათზე, განყოფილების დარბაზში დანიშნულია

იჯარით გაცემა

ქვა-ფენილის (МОСТОВАЯ) გაკეთება ქ. ახალ-სენაკში, რუსთაველის ქუჩაზე გასაკეთებელია 4.000 ოთხ. კუთ. საჟ.

შეჯიბრება იწარმოებს ღია ვაჭრობით. მესამე დღეს, 28 ივლისს, დღის 12 საათზე მოხდება გადავაჭრება.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეიძლება მთელი სამუშაოს ღირებულების 2 პროც. წინდაწინ შემოტანის შემდეგ, რომელი თანხა დაუბრუნდება იჯარის ამღებს სამუშაოს შესრულების შემდეგ, ხოლო დანარჩენ მონაწილეებს დაუბრუნდებათ საჯარო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივი მეურნეობის კომუნალურ ქვე-განყოფილების კანცელიარიაში სამუშაო საათების განმავლობაში.

სენაკის მაზრაღმასკომის ადგ. მეურნ.
ნ. 1560 განყ. კომუნ. ქვე-განყოფილება

ახმეტის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი გელოვანი

ამით აცხადებს, რომ ივლისის 24 დღეს, დილის 10 საათ. სოფ. ახმეტაში, ახმეტის საკრედიტო ამხანაგობის 47 მან და 64 კაპ. ვალის დასაფარავად, თანახმად ახმეტის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლის 1925 წლ, 15 მაისის თარიღით № 179, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდული იქნება ახმეტაში მცხ. დავით ზაქარიასძე საღირაშვილის, როგორც თავდების ახმეტაშივე მცხ. საშა ბუღათრიშვილის, ერთი ფიცრული საბძელი, კრამიტით დახურული, სიგრძით 7 არშ. სიგანით 6 არშ. შეფასებული 60 მანეთად, რომელ ფასიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ქ. 3133

გარე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 17 ივლისს 1926 წ. საათის პირველზე ლიბკნეხტსდორფში მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ამოტ ვინატიანცის მოძრავ ქონებას ოთხ ჯიშიან ძროხას, რომლებიდან ერთი მაკეა და სამი იწველება შეფასებულს ათას მ. დასაკმაყოფილებლად მევენახე და მეღვინეთა კავშირის „უნიონი"-სა ვაჭრობა დაიწყება თავისუფალი ფასიდან. ქვ. 3141

ალბულახ-ასურეთის რაიონის სასამართლო აღმასრულებელი ქ. კამოევი

აცხადებს, რომ ის 22 ივლისს, დღის 12 საათზე სოფ. ალბულახში სახალხო სასამართლოს ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მცხოვრებ სოფ. სამშვილდოში მარტიროს გალუსტოვის იგივე ავაქოვი მოძრავ ქონებას: ორ დეკეულს შეფასებულს 70 მანეთად, იოსებ გრიქუროვის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ალბულახის სახალხო სასამართლოსაგან 30 ივნისს 1926 წ. თარიღით № 872 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

თბილისის ტელეფონის ქსელის გამგისაგან

ცხადდება თბილისის ტელეფონის ქსელის აბონენტთა საყურადღებოთ, რომ 20 ივლისიდან დაიწყება 300×2 მიწქვეშა ჯირკვის კაპიტალური შეკეთება და ამის გამო ტელეფონების მოქმედება ჩერქეზიშვილის, პლეხანოვის პრ. კრილოვის, ელიაბაშვილის და კირკის ქუჩების რაიონებში შეწყვეტილი იქნება 3—4 კვირის განმავლობაში

ნ. 1561 ქსელის გამგე ა. ლომაი

მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ვასილი მიხეილისძე ქუთლაკოვმა შემოიტანა განცხადება მის გვარის მიხაილოვზე შეცვლის შესახებ. 3123

პროფ. ზ. მ. მუხაძე
ზაფხულში მიიღებს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს სალამოობით 6—7 საათამდე გარდა შაბათისა და კვირა დღისა. მისამართი პლეხანოვის პროსპ. № 58. ტელ. 5—77
25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., სალამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

სურამი
ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის სალამოზედ 5 საათიდამ - 7 საათამდის
მისამარ.: [illegible]

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და სალამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიროვის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა ხაექიმოა, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი
მებრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის საკურნალო კაბინეტში სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და სალ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

კბილის სნეულებათა კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

დაკარგვი მოწმობები. უნივერსიტეტიდან გაცემული ა) პარადობის ბ) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების გ) ლიტერი წალვერამდე, მე-102 შრ. სკოლიდან გაცემული ა) პირადობის ბ) მიმართვა ზუბალაშვილის სამკითხველოს, განათლების კომისარიატიდან, (ეროვნ. უმც. საბჭოდან) გან. მუშაკთა კავშირიდან და სხვ. უმნიშვნელო ქაღალდები გერცელ დავითისძე ბაზოვის სახელზე, ჩ. გ. 3147

დაკარგვე მეტრიკული ამონაწერი № 975, ონოფრე ყანჩაველის სახელზე, ჩ. გ. 3130

დაკარგვე პირადობის მოწმობა, მოცემული სოფ. წყნეს აღმასკომის მიერ, გემოკვების კავშირის წიგნაკი მეორე რაიკომიდან მოცემული და სამხ. შუალიდან განთავისუფლების მოწმობა. ზაქრო ალექსისძე კერესელიძის სახელზე, ჩ. გ. 3144

დაკარგვე ბახვის თემის მე-2 საფეხურის 7 წლედის შრ. სკოლის დამთავრების მოწმობა № 59 დავით ურუშაძის სახელზე, ჩ. გ. 3143

დაკარგვე ოჯახური მდგომარეობის მოწმობა ალექსანდრე სილიბისტროსძე ვაშაკიძის სახელზე, ჩ. გ. 3133

დაკარგვე პირადობის მოწმობა № 819, გაცემული მილიციის უფროსის სამმართველოდან ეკატერინე გიორგის ასული ჩხეიძის სახელზე, ჩ. გ. 3136

დაკარგვე პირადობის მოწმობა და საალრიცხვო ბარათი, გაცემული ხიდისთავის აღმასკომის მიერ ლეონტი ზურაბისძე ბერიძის სახელზე, ჩ. გ. 3140

დაკარგვე პირადობის მოწმობა და სარეგისტრაციო წიგნაკი № 1205 ივანე ნესტორისძე ყაჯიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3126

დაკარგვე კავშირის წიგნაკი № 85, გაცემულ საბჭოთა და სავაჭ. მუშაკთა კავშირის მიერ, რაჭ. მაზ. დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 113. ბავშვის საკვების წიგნაკი № 207 გაცემული კოწია თედ. დარახველიძეს სახელზე, ჩ. გ. უ.

დაკარგვე ს. ა. ლ. კ. კ. დროებითი მანდატი № 2494, გაცემული მანგლისის ა. ლ. კ. კ. თემ-კომის მიერ მარია ანდრიას ასული ფოცხიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3128

დაკარგვე პარტიის მანდატი № 500073, სახ. უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა, სამხედრო წიგნაკი ფორმა 4, განათლების კავშირის წიგნაკი და კომ. კავშირის მანდატი. დავით გ. ნუცუბიძის სახელზე, ჩ. გ. 3124

დაკარგვე პარტ-ბილეთი № 493640; გორის მაზრკომის პრეზიდიუმის წევრობის მოწმობა № 1502 | 1 და სხვადასხვა სახის პირადობის მოწმობები ესტატე გიორგისძე ბუზრიკიძეს სახელზე, მპოვნელს ვთხოვ გადმოგზავნოს ასეთები გორის თემაღმასკომში, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს 10 მ. 3127

დაკარგვე პარტ-კანდიდატის ბარათი ბაგრატა მიხასძე მეჟებაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3126

დაკარგვე ხბოიანი ძროხის მოწმობა № 714, მოცემული ლეხაინდრაოს თემის აღმასკომის მიერ ისიდორე იოსებისძე მიქაიას სახელზე, ჩ. გ.

დაკარგვე საწევრო წიგნაკი 5301, კომუნალურ მეურნეობის კავშირის ვ. კ მხეიძის სახელზე, ჩ. გ. 3138

დაკარგვე მეტრიკული ამონაწერი № 174 გიორგი ლაზარესძე ხმიადაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3133

დაკარგვე ცხრა-წლედის კურსის დამთავრების მოწმობა № 413, მოწმობა სოხუმის 9 წლედის მიერ მოცემული და მეტრიკული ამონაწერი № 1845 ალექსანდრე სილიბისტროსძე ვაშაკიძის სახელზე, ჩ. გ. 3133

დაკარგვე პირადობის მოწმობა, მოცემული გარე-კახეთის სატყეოდან, კულტურულ ტექნიკური სასწავლებლის გათავების ატესტატი, მიწა-ტყის რის წიგნაკი და სახ. აღრიცხვის წიგნაკი კოტე ნიკოლოზისძე კანდელაკის სახელზე, ჩ. გ. 3183

ალური კომიტეტის სტამბა; კამოს ქუჩა, 68